საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 იანვარი **შაბათი** 2012
№016(13622) ფასი 80 თეთრი



## ზელანდიელი გუნდი უკვე თბილისშია

13

# შოკი რეკორდმაისტერს!

## ბუნდესლიგა სუპერსენსაციით განახლდა




7

როისმა და ჰანკემ ბაიერნი მოარბიეს

### ლეგენდების დაბრუნება

ინგლისი. პრემიერლიგა 5

### მთავარი ინტრიგა მეაცაზე

იტალია. სერია A 6

### ნაკლასიკოევს... კლასიკომდე

ესპანეთი. ლა ლიგა 9

# ჰეთ თრიკი ერთი ნახვით

## სუპერლიგა, თასი, ახლა მემორიალიც

12





8

# პელემ ბლატერს ომი გამოუცხადა...

## ...ბლატერმა ბრაზილიას

საკონტროლო მატჩი

# რაოდენობა და ხარისხი

რამდენიმე დღეში „მეტალურგი“ და „დილა“ უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრებიან, მანამდე კი ამ ორივე გუნდმა ერთმანეთში ნაისპარინგეს.

გუშინდელი საკონტროლო მატჩი მართლაც „არანორმალურად“ სუსხიან ამინდში ჩატარდა, მაგრამ გვარიანი სიცივის (უფრო ზუსტად, ყინვის) მიუხედავად, „ფოლადის“ სტადიონზე 200-მდე გულშემატკივარი მაინც მივიდა. საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო სტუმართა დელეგაცია - დაწყებული კლუბის მრავალრიცხოვანი ხელმძღვანელობით და „უბრალო“ ქომაგით დამთავრებული; იგივეს ვიტყოდით მასპინძელთა მხარეზეც: კლუბისა და ქალაქის სპორტის ხელმძღვანელებთან ერთად მატჩს ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძეც** ესწრებოდა. ერთის მხრივ, ამ „ჩვეულებრივი“ საკონტროლო მატჩისადმი ასეთი ინტერესი არც არავის უნდა გაჰკვირვებოდა: ამ ბოლო დღეებში გორის „დილაში“ მიმდინარე პროცესები ხომ მართლაც საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: ისეთი შემთხვევებიც გვახსოვს, როცა ამა თუ იმ კლუბის ირგვლივ ატეხილ არნახულ აჟიოტაჟს... სასურველი შედეგი არ



გივი კვარაცხელია

მოუტანია ხოლმე. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ „დილას“ მსგავსი რამ არ დაემუქრება და გუნდის მთავარ მწვრთნელს **თემურ მახარაძეს** ბევრად უფრო „მშვიდ“ გარემოში მოუწევს მუშაობა. არადა, გამოცდილ სპეციალისტს საფიქრალი მართლაც ბევრი ექნება: „დილაში“ ამჟამად 30-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს (სულ მცირე, ხუთი-ექვსი კიდევ უნდა გამოჩნდეს) და შემადგენლობის „გაცხრილვაც“ ხომ საჭიროა, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშებაზე. მოკლედ, არავის გაუკვირდეს, რომ უახლოეს დღეებში „დილას“ რამდენიმე ფეხბურთელი დაემშვიდობოს, ამათგან კი, უპირველეს ყოვლისა, ფართოდ რეკლამირებულ და გაპიარებულ... უცხოელებს ვგულისხმობთ; ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ მატჩში მონაწილე ოთხივე აფრიკელმა ფეხბურთელმა, რბილად რომ ვთქვათ, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. მეტსაც ვიტყვით: 45 წუთის განმავლობაში არც ერთ მათგანს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია! თუმცა, შესაძლოა ჩვენ ვცდებით და სხვადასხვა ფაქტორებსაც არ ვითვალისწინებთ, - აკლიმატიზაციას (ოთხივე ახალგაზრდა განელი საქართველოში მატჩის წინა დღეს ჩამოვიდა), ახალ პარტნიორებს, რუსთავულ სუსხსა და სხვა...

ახლა კი, ალბათ დროა გუშინდელ საკონტროლო მატჩზეც, სადაც მოვლენები ისე განვითარდა, ძნელი იყო რომ „ამხანაგური შეხვედრა“ გვეწოდებინა. აბა, სხვა რა უნდა გვეფიქრა, როცა სტუმართა ორმა ფეხბურთელმა (**ვლადიმერ ჯოჯუა, პავლე ხორგუაშვილი**) ისეთი ტრავმები მიიღეს, რომ მატჩის გაგრძელება ველარ შეძლეს; აღარაფერს ვამბობთ მსაჯობაზეც: მასპინძლები თამაშის მერეც არ მალავდნენ გაოცება-აღშფოთებას მათ კარში დანიშნული პენალტის გამო!..

...„მეტალურგმა“ პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ისპარეზა (თუ არ ჩავთვლით **ირაკლი მაისურაძის, ირაკლი მოდებაძისა** და **გიორგი მიქაბერიძის** არყოფნას), აი, „დილამ“ კი გუშინდელ მატჩში 25 (!) ფეხბურთელი ათამაშა, ზოგი კი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ამ შეხვედრას: **ალექსანდრე ინწკირველი, რომან ახალკაცი, ირაკლი ლექვთაძე.** საერთოდ კი, პირველი ტაიმი გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს:

მეტალურგი: **ბედიაშვილი - დობროვოლსკი, კვარაცხელია, მახვილაძე, ჯაფარიძე - რაზმაძე, ქავთარაძე - სეთურიძე, თექთურმანიძე, გეწაძე - ტატანაშვილი.**

დილა: **მერლანი - ალადაშვილი, ანდერსონი, კოფი, მეგრელიშვილი - გ. ხუბუა, ბეჭვაია - ბანსი, ილურიძე, მდივნიშვილი - ანდონი**

როგორც შეამჩნევდით, „დილას“ შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარეს ახალგაზრდა განელმა ფეხბურთელებმაც (**რაფიკ ანდერსონი, კარლოს კოფი, სეიდუ ბანსი, კვეკი ანდონი**) და ქართველმა ახალწვეულებმაც - **კახა ალადაშვილმა** („ზესტაფონიდან“ გადმოვიდა) და **გიორგი ილურიძემ** („ანჟის“ ყოფილმა შემტევმა). რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, თავიდანვე გამოჩნდა, რომ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი მეტოქესთან შედარებით ბევრად უკეთ იყო შეთამაშებული; აქედან გამომდინარე, არც იყო გასაკვირი, პირველი ტაიმის საწყისი 30 წუთი სწორედ მასპინძელთა უპირატესობით რომ მიმდინარეობდა. შეხვედრის პირველი გოლი კი „სტანდარტულს“ მოჰყვა - **გიორგი თექთურმანიძემ** ზუსტი პასით **გივი კვარაცხელია** მოძებნა და ამ უკანასკნელმაც მეტოქის მცველებისა და მეკარის პოზიციური შეცდომით კარგად ისარგებლა - თავური დარტყმით საკუთარი გუნდი დააწინაურა. გაშვებული გოლის შემდეგ „დილა“ შედარებით გააქტიურდა: ჯერ, **ლევან მდივნიშვილმა** დაარტყა შორიდან, მერე, **დავით მეგრელიშვილი** აკეთებდა სახიფათო გამჭოლ გადაცემას, მაგრამ ორივე ეპიზოდში უშეცდომოდ ითამაშა „მეტალურგის“ მეკარემ **გრიგოლ ბედიაშვილმა.**

შესვენების შემდეგ გუნდები სახეშეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ:

მეტალურგი: **ბათიაშვილი - ჯაფარიძე, ს. თოდუა, გავაშელიშვილი, ხოხონიშვილი - დობროვოლსკი, რაზმაძე - ჭედია, ქავთარაძე (ექვთიმიშვილი), ოთარიშვილი - სიხარულიძე**

დილა: **შეყრილაძე - შ. კაშია, ახვლედიანი (ლომიძე), ქარქუზაშვილი, ვ. ხორგუაშვილი - ჯოჯუა (ბურდული) - დეკანოიძე (სადალაშვილი), პ. ხორგუაშვილი, ნ. ნოზაძე, დ. ჩაგელიშვილი - ჯიქია.**

მეორე ტაიმში მოედანზე რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოხდა: ჯერ, მასპინძელთა კარში დანიშნული, ცოტა არ იყოს, კურიოზული პენალტი ვნახეთ, **დავით ჩაგელიშვილმა** ზუსტად რომ შეასრულა; მერე, ზემოთნახსენები ტრავმები, და ბოლოს კი, „მეტალურგის“ ეფექტური კომბინაციაც: **გიორგი ოთარიშვილის** ფლანგურ რეიდს **გიორგი ჭედია** ჩინებული თავური დარტყმით აგვირგვინებდა, თუმცა „დილას“ მეკარემ **ბექა შეყრილაძემ** ისეთი რეაქცია გამოავლინა, მეტოქის ფეხბურთელებისგანაც კომპლიმენტები რომ მიილო. საბოლოოდ კი, ეს აშკარად „არა ამხანაგური“ მატჩი საყაიმო ანგარიშით, 1:1 დამთავრდა...

**გია ტუხაშვილი**

საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის ფოტოგრაფს, ბადრი კეთილაძეს დედის გარდაცვალების გამო.

ლელოელები თანაგრძნობას ვუცხადებთ კოლეგას, ბადრი კეთილაძეს დედის გარდაცვალების გამო.

სამეგრელო

# თოვლმა და ყინვამ გუნდებიც შეაჩერა

გუშინ ზუგდიდში, "ბაიას" ბაზაზე ამხანაგური მატჩი გაიმართა, "ბაიამ" და ფოთის "კოლხეთმა" 0:0 ითამაშეს.

შეხვედრა ხელოვნურსაფრიან მოედანზე ჩატარდა, გუნდებს დიდთოვლობამ შეუშალა ხელი ბურთის ხეირიანად გაგორებაში. შეგახსენებთ, "კოლხეთს" მანამდე ქუთაისში უნდა ეთამაშა "ტორპედოსთან", მაგრამ ისევ დიდთოვლობის გამო მატჩი ჩაიშალა.

გუშინდელ შეხვედრაში "ბაიამ" პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჯომიდავა, აქუბარდია, პაჭკორია, კანკია, გამრეკლიძე, შონია, გუჯეჯიანი, ზ. ქვარცხავა, კუკავა, ეხვაია, ფარჯიკია.**

მეორე ტაიმში ზუგდიდელთა თავკაცმა **გოჩა ტყებუჩავამ** ასეთი თერთმეტეული გაიყვანა მოედანზე: **მაქაცარია, აკობია, ტყებუჩავა, აფაქიძე, გ. ქვარცხავა, ტყემალაძე, სიხარულია, კუტალია, ენდელაძე, ეხვაია, ფარჯიკია.**

"კოლხეთმა" კი ამ შემადგენლობით ითამაშა: **ნადირაშვილი, ფოფხაძე (ბარამიძე), ბოიომო (ჭკადუა), ლომაშვილი (კაკულია), გაბუნია (ქორჩილავა), ქებაძე, ცხადაძე, მ. დათუნაშვილი, წურწუმია, პავლიაშვილი, დეისაძე (ხუბუტია).**

"ბაია" მომდევნო საკონტროლო მატჩის თამაშს დღეს აპირებს შინ ლანჩხუთის "გურიასთან", თუმცა უამინდობის გამო ამ შეხვედრის ჩატარება სათუოა. რაც შეეხება "კოლხეთს", **დავით მახარაძის** გაწვრთნილი გუნდი 22 იანვარს ასევე პირველლიგელს, ბათუმის "დინამოს" უნდა გაეჯიბროს გრიგოლეთში.

**დავით თავართქილაძე**

# გაგრამ სიონს ვერ მოუგო

**გაგრა-სიონი 3:3**

**0:1 ჭანკოტაძე (19), 0:2 ხურციძე (24), 1:2 ჭკუასელი (39), 2:2 ჭკუასელი (42), 2:3 გ. ოქროპირიძე (79), 3:3 კვანტალიანი (87).**

გაგრა პირველ ტაიმში: **ბეგაშვილი, ხუციძე, ტყეშელაშვილი, კალანდაძე, ჯგერენაია, ნ. ჯიშკარიანი, ყურულაშვილი, ზვიადაძე, ჯერემია, ჯალიაშვილი, ჭკუასელი.**

*შეცვლაზე შევიდნენ: მაღრაძე, კობერიძე, კიკნაველიძე, კვანტალიანი, სეთურიძე, ხოჯაშვილი, ფალავანდიშვილი, ნადირაძე, ჩადუნელი.*

სიონი პირველ ტაიმში: ბობლიაშვილი, ლ. ჩხეტიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, გველესიანი, ონიანი, ბოლქვაძე, მეტრეველი, ჭანკოტაძე, ხურციძე, უგულავა

*შეცვლაზე შევიდნენ: ლობჟანიძე, თარგამაძე, ისიანი, გაბრიჭიძე, ლომია, ათუნაშვილი.*

გუშინ ნაძალადევში, "ნორჩი დინამოელის" სტადიონზე (ყოფილი "შრომითი რეზერვები") "გაგრამ" საკონტროლო შეხვედრაში ბოლნისის „სიონს" უმასპინძლა.

თავიდან იმას ვიტყვით, რომ "სიონში" ბევრი ახალწვეულია: "ზესტაფონიდან" იჯარით დაიმატეს **საბა ლომია** და **გიორგი ჭანკოტაძე**, ცხინვალის "სპარტაკიდან" წასული თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი** ჯერ გორის "დილაში" ვარჯიშობდა, მაგრამ არ დაიტოვეს და ახლა "სიონში" ცდილობს დამკვიდრებას; ბოლნისში ითამაშებს ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილი პლეიმეიკერი **დავით ბოლქვაძე**, ფინეთიდან დაბრუნებულ **გიორგი ხიდეშელზე, როინ ონიანსა** და "დილაში" ნათამაშებ **ოლეგ გველესიანზე** კი უკვე ვწერდით. **ხვიჩა ქასრაშვილი** "სიონის" მთავარ მწვრთნელად ახლახან დაინიშნა და უნდა ითქვას, რომ მისმა გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ორივე გუნდმა ძირითადი შემადგენლობით დაიწყო თამაში და მატჩიც საკმაოდ საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა. "გაგრა" 25-ე წუთისთვის უკვე 0:2-ს აგებდა. მე-19 წუთზე ჭანკოტაძე ორ მცველს ეფექტურად გასცდა და ანგარიში ლამაზი გოლით გახსნა, ხუთ წუთში კი **ზურაბ ხურციძემ** იმარჯვა.

ბოლნისელებს გატანა კიდევ შეეძლოთ: დავით ბოლქვაძემ ორჯერ ძელს მოარტყა ბურთი.

ორბურთიანმა ჩამორჩენამ **ზვიად ჯელაძის** გაწვრთნილები გამოაფხიზლა, უფრო გააზრებული, კომბინაციური თამაში დაიწყეს და ბოლნისელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს. გამოირჩეოდა ახალგაზრდა **ნიკა ჭკუასელი,** რომელმაც თამაში დაალაგა, ზუსტი გადაცემებით გაგრელების შეტევებს წარმართავდა და, რაც მთავარია, დუბლიც შეასრულა. გამოსარჩევია მისი მეორე გოლი, რომელიც შორეული დარტყმით გაიტანა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. ბოლნისელები ერთხელაც დაწინაურდნენ: კუთხურის ჩაწოდებისას "გაგრას" მცველები ვითარებაში ვერ გაერკვნენ და **გიორგი ოქროპირიძემ** ახლო მანძილიდან თავური გაიტანა - 2:3.

მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი დასწრებაზე კარგად ითამაშა **შალვა კვანტალიანმა** და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 3:3.

**მერაბ მამულაშვილი**

# ანორთოსისი ჯიშკარიანს განიხილავდა

"გაგრა" ანთალიაში გადახალისებული შემადგენლობით მიემგზავრება. რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ახლა გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე ახალგაზრდა **ნიკოლოზ ჯიშკარიანია**, რომელიც „გაგრაში" 2010 წლის იანვარში თბილისის "დინამოდან" გადავიდა და მას მერე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

ნიკა ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ საკმაოდ ბევრი მოასწრო –"გაგრასთან" ერთად გახდა საქართველოს თასის მფლობელი, ითამაშა ევროტურნირში და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებში.

ცნობილია, რომ ევროპის ლიგაში "გაგრას" ყოფილმა მეტოქემ, კვიპროსულმა "ანორთოსისმა"ახლახან მარცხენა მცველის პოზიციაზე საქართველოს ნაკრების წევრი **დავით კვირკველია** აიყვანა, მანამდე კი „გაგრას" მარცხენა ნახევარმცველის კანდიდატურა განიხილებოდა: კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა ნიკას ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ამ საკითხზეც იყო ლაპარაკი და ცნობილი გახდა, რომ მისი შეძენა კიდევ რამდენიმე კლუბს სურდა.

*"ზაფხულში რამდენიმე ევროპული კლუბი მართლაც დაინტერესდა, მათ შორის „ანორთოსისიც". მაგრამ შემდეგ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, მიზეზი კი არ ვიცი. დაინტერესება ახლაც არის, მაგრამ წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. თუმცა ახლა წასვლაზე არ ვფიქრობ, "გაგრაში" ვთამაშობ და ჩემი მოვალეობაა, გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო"* – ამბობს ჯიშკარიანი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტორპედო თურქეთში კაცნაკლული მიდის

ქუთაისის „ტორპედო", რომელმაც სეზონის პირველი ეტაპი მეორე ადგილით ჩაამთავრა, დღეს თურქეთში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე. რიონისპირელები ანთალიაში, სპორტკომპლექს „მარდანში" დაბინავდებიან.

„ტორპედოს" თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** ამ შეკრებისთვის 25 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები: **ომარ მიგინეიშვილი, მაქსიმე ქვილითაია, დავით კუპატაძე;**

მცველები: **დავით გამეზარდაშვილი, თემურ ფარულავა, ალექსანდრე კვახაძე, გიორგი ლემონჯავა, დათა რიგვავა, გიორგი გურული, ბაქარ მირცხულავა, ლაშა შერგელაშვილი;**

ნახევარმცველები: **გიორგი დათუნაიშვილი, დავით დილმელაშვილი, გრიგოლ დოლიძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, გივი იოსელიანი, გიორგი კუხიანიძე, ვალერი ბოლქვაძე, გიორგი ქუცურუა, გიორგი რეხვიაშვილი, თორნიკე თარხნიშვილი, დავით ჯანელიძე**

თავდამსხმელები: **რევაზ გოცირიძე, ლაშა კემუხტაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე.**

ტრავმის გამო გუნდს ანთალიაში ვერ მიჰყვება 23 წლის თავდამსხმელი **ვახტანგ კვარაცხელია**, ის ვარჯიშზე დაშავდა და საოპერაციოა.

„ტორპედო" თურქეთში ოთხ საკონტროლო შეხვედრას ითამაშებს – 25 იანვარს უნგრულ „ფერენცვაროშთან", 28-ში პოლონურ „კორონასთან", 1-ელ თებერვალს ჩეხურ „ბანიკთან"; ქუთაისელები მეოთხე მატჩს 3 თებერვალს გამართავენ, მეტოქის ვინაობა თურქეთში ჩასვლის შემდეგ გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**



ვახტანგ კვარაცხელია

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# მზადება იმ ერთი ნაბიჯისთვის

## ზესტაფონი უფრო პრაგმატული და ცივსისხლიანი გახდა

**წლებია, თორნიკე აფციაური "ზესტაფონის" ღირსებას იცავს და მისი ვიცე-კაპიტანიცაა. დიდი კონკურენციის მიუხედავად, 32 წლის ნახევარმცველი საქართველოს ჩემპიონთა ძირითად შემადგენლობაში ადგილს ინარჩუნებს და თავის პოზიციაზე ერთ-ერთი გამორჩეულიცაა. "ზესტაფონის" გამოცდილ ფეხბურთელს კლუბის პერსპექტივებზე, განვლილ ბატალიებსა და სხვა საინტერესო თემებზე ვესაუბრეთ.**



**- ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ზესტაფონის" შემადგენლობაში ცვლილებები მრავლად მოხდა. სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადების პროცესი საინტერესო უნდა იყოს როგორც ახალწვეულებისთვის, ისე გუნდის ძველი წევრებისთვის.**

- ეს მართლაც ასეა და ყველას კარგად გვესმის, რომ "ზესტაფონის" ცხოვრებაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. თითოეულ ჩვენგანს გვსურს, ამ პროცესში საკუთარი წვლილი შევიტანოთ. ჩვენს კლუბს დიდი გეგმები აქვს და მოტივაცია ნამდვილად არ გვაკლია. ბევრს ვშრომობთ იმისთვის, რომ "ზესტაფონის" წარმატებაში ყველამ საკუთარი წვლილი შეიტანოს.

**- როგორ ფიქრობ, რა პერიოდი დასჭირდებათ ახალწვეულებს ახალ გარემოსთან ადაპტაციისთვის?**

- სამწვრთნელო შტაბიც და ძველი ფეხბურთელებიც ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ადაპტაციის პერიოდმა მცირე ხანს გასტანოს და სეზონის განახლებისთვის ახლებმა საუკეთესო თვისებების გამოვლენა შეძლონ.

**- ახლებზე რას იტყვი?**

- თითოეულ მათგანს შეუძლია, "ზესტაფონისთვის" მნიშვნელოვან ფიგურად ჩამოყალიბდეს. მიხარია, რომ დავით მუჯირმა არჩევანი ჩვენი კლუბის სასარგებლოდ გააკეთა. ჩემი თაობის ფეხბურთელია, მაგრამ აქამდე ერთად არასოდეს გვითამაშია და მოხარული ვარ, რომ ეს შესანიშნავი შემსრულებელი ჩემი თანაგუნდელი გახდა. გამოვყოფდი გურამ სამუშიასაც, რომელსაც განსაკუთრებული მონაცემები აქვს. ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და უკვე კოჭებში ეტყობა, რომ, თუ იშრომა, დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**- "ზესტაფონში" აქამდე არსებული ისედაც დიდი კონკურენცია კიდევ უფრო იზრდება.**

- ამას მხოლოდ მივესალმები. ყველა ფეხბურთელს უნდა ესმოდეს, რომ უკონკურენციოდ ვერც თვითონ იქნება წარმატებული და ვერც მისი კლუბი.

**- რამდენიმე დღეში ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრებით...**

- კარგია, რომ ესპანური შეკრება და "მარბელას თასზე" მონაწილეობა ტრადიციად გვექცა. შარშან იქ კიევის "დინამოს", პრაღის "სპარტას" და სხვა ძლიერ კლუბებს ვეთამაშეთ, ახლა კი ჩვენი პირველი მეტოქე მოსკოვის ცსკა იქნება. ასეთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა თავდაჯერებას გვმატებს და ძლიერი მეტოქის მიმართ ყოველგვარ შიშსა და მოკრძალებას გვიქრობს. ეს კი ევროთასებზე აუცილებლად გამოგვადგება.

**- რა დააკლდა შარშან, ზაფხულში "ზესტაფონს" რომელიმე ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად?**

- ამას ღრმა ანალიზი სჭირდება, რასაც "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი გააკეთებს. რაც მოხდა, ალბათ კანონზომიერი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიზნამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. მე ის ვიცი, რომ, რასაც მიმდინარე სეზონში ვაკეთებთ, ზუსტად იმ ერთი ნაბიჯის გადადგმას ემსახურება. ახლა "ზესტაფონი" უფრო ძლიერია ბევრი ასპექტით – ჩვენმა გუნდმა შეინარჩუნა სანახაობრივი სტილი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გახდა უფრო პრაგმატული და ცივსისხლიანი.

**- შიდა ასპარეზზე ჩატარებული მატჩებიდან რომლებს გამოარჩევ?**

- დაუვიწყარია "დინამოს" 5:1 განადგურება. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო "ტორპედოს" დამარცხება თასის მეოთხედფინალში, სადაც ჩვენმა გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. სეზონის პირველმა ნახევარმა ყველას დაანახა, რომ "ზესტაფონი" სხვა ქართულ კლუბებს აღემატება, მაგრამ ფავორიტის სტატუსს განმტკიცება სჭირდება და კარგად გვესმის, რომ მთავარი ბრძოლები წინაა. ჩვენი მიზანი სამივე ქართული ტიტულის მოპოვებაა, თუმცა უმთავრესი ამოცანა, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონობაა. ზაფხულში კი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ "ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გასული პირველი ქართული კლუბი გახდეს.

**- გიორგი ჭიაბრიშვილის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ რაიმე თუ შეიცვალა თქვენს ურთიერთობაში?**

- მოედნის მიღმა ჩვენ კვლავ მეგობრები ვართ და ამას ხელს ვერაფერი შეუშლის. საქმეს კი ორივე პროფესიონალურად ვუდგებით და ისე ვურთიერთობთ, როგორც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შეეფერება. ჭიაბრიშვილი და გიორგი ყიფიანი საქმეში ძლიერები არიან და ახალგაზრდული ასაკი საკუთარი იდეების განხორციელებაში ხელს ოდნავადაც არ უშლით.

**- რა შეგძინა "ზესტაფონში" გატარებულმა წლებმა?**

- აქ საკუთარი თავი ვიპოვე და მომეცა იმის შესაძლებლობა, რომ გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელი გავმხდარიყავი. მერწმუნეთ, საქართველოში ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. სწორედ "ზესტაფონის" დამსახურებაა, რომ დღეს თავს შემდგარ ფეხბურთელად მივიჩნევ.

**- უმაღლეს დონეზე თამაშს კიდევ რამდენ ხანს ვარაუდობ?**

- თანამედროვე მოთხოვნებსა და დატვირთვებს უპრობლემოდ ვეგუები, ჯანმრთელობაც ხელს მიწყობს და უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში კარიერის დასრულებას ნამდვილად არ ვაპირებ.

**- დავით მუჯირმა გვითხრა, რომ "ზესტაფონი" მის კარიერაში უკანასკნელი კლუბი იქნება. შენც თუ შეგიძლია ამავეს თქმა?**

- ამას დიდი სიამოვნებით ვიტყოდი, თუმცა ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუ ჩემი და "ზესტაფონის" აზრები ერთმანეთს დაემთხვა, უბედნიერესი ვიქნები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1000 კვირის

დავით თავართქილაძე



# ეტიკეტი და პარადოქსები

საშუალსეზონო პერიოდმა უკვე ბევრი საინტერესო ტრანსფერი დაიტია და გუნდები ახლა შინ თუ უცხოეთში განაგრძობენ მზადებას. ქართულ გუნდებს უწინდელზე მეტი მადლი ეტყობათ, ჩვენი კლუბები წინ მიდიან და იზრდებიან.

აქ მხოლოდ ტრანსფერები, საქართველოში დაბრუნებული ფეხბურთელები როდი უნდა ვიგულისხმოთ - ზოგ კლუბში საფეხბურთო კულტურა მაღლდება, ოღონდ, შეფასებებშიც ზომიერება გვმართებს.

ამას წინათ „ზესტაფონიდან" ორი კარგი ფეხბურთელი წავიდა - **კახა ალადაშვილი და გოგი ფიფია**, კლუბმა მათ მადლობა გადაუხადა და ეს არ ჰგავდა მხოლოდ ზრდილობიან ჟესტს - ეს უფრო ის ეტიკეტი იყო, რითაც ლამაზდება ესა თუ ის საქმე.

ეტიკეტი ქმნის სუბკულტურას, სუბკულტურებით კი იქმნება ტენდენციები და სტანდარტები. ზოგი ქართული კლუბი განვითარებაზე მართლაც ნიადაგ ზრუნავს, ჯახირითა თუ ჯიქურ აღწევს ჯერაც მცირე წარმატებას.

ქუთაისის „ტორპედოც" დატოვმა ორმა კარგმა მოთამაშემ - **გია მეგრელაძემ** და **სევასტი თოდუამ**. აქაც იყო მადლობა კლუბის მხრიდან, ქუთაისელთა ხელმძღვანელობამ საგანგებო ჯილდოებიც კი დაამზადა გუნდიდან წასული ფეხბურთელებისთვის.

დიდი ამბებია გორის „დილაშიც", იქ უკვე აფრიკელებიც კი მიიწვიეს გასინჯვაზე. ფეხბურთელების რეექსპორტი არ უნდა იყოს უსარფო საქმე, საქართველოში ეს უკვე არაერთხელ მომხდარა და კლუბსაც ამით ფული უშოვნია.

უწყებრივ კლუბებს მაინც აქვთ ის ზადი, რისი მონელებაც ადვილი არ არის. ხშირად ისე ხდება, რომ ასეთ კლუბებში კარგად არ იციან ამა თუ იმ სპეციალისტის წარსული ან, უბრალოდ, უმნიშვნელოდ მიაჩნიათ მწვრთნელების რეპუტაცია.

შარშან ტოტალიზატორთან დაკავშირებული მაქინაციებისთვის ფეხბურთელები რომ დასაჯეს, ეს ბევრისთვის, ალბათ, ჭკუის სასწავლებელი გამოდგა და საინტერესოა, ვინც სხვანაირ მაქინაციებში იყო „სახელდაგდებული", ახლა როგორ მოიქცევა?

ადრე ადვილი იყო ამის გაკეთება: მთავარი მწვრთნელი დაავალებდა თავის თანაშემწეს, ფეხბურთელებში ფული აკრიბე და უთხარი, ეს თანხა მსაჯებს უნდა გადავცეთო. ფეხბურთელები ამბოხს ვერ ბედავდნენ, ფული იკრიბებოდა, თუმცა თამაში ისეთი გამოდგებოდა, მსაჯი არც მწვადს წვავსდა და არც შამფურს. ბიჭები მწვრთნელის თანაშემწეს ეკითხებოდნენ, ფული რატომღა აგვაგროვებინეო, ის კი პასუხობდა, ეს თამაში ასეთი გამოვიდა, სამაგიეროდ, ამ მსაჯების კეთილგანწყობა მოვიპოვეთ და ეს წინ უეჭველად დაგვხვდებაო.

მაშინ მხილება ძალიან ცუდი რამ იყო, ახლა თუ ბევრი ნებაყოფლობით აკეთებს ამას, ცოტა ხნის წინათ ეს სხვანაირად ხდებოდა. მოკლედ, ტექნოლოგიები იცვლება, მაქინაციებში მხილების და დასჯის პრეცედენტიც არის და საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ძველ დროში ნათალლითარი ხალხი.

არ არის გამორიცხული, მათ ახლებურად, ასე ვთქვათ, სუფთა ფურცლით განაგრძონ საფეხბურთო ცხოვრება, მაგრამ იმ კლუბების არ მწამს, ასეთებზე რომ აკეთებენ გათვლას.

კერძო კლუბების მფლობელთა უმეტესობა კი უფრო რაფინირებულ, დახვეწილ კაპიტალისტებს ემსგავსება, ხშირად ჩნდებიან ხალხში, სურთ უბრალო ადამიანებად წარმოაჩინონ თავი საზოგადოებაში. არიან ისეთებიც, რომელთაც ჰგონიათ, თუ ადამიანებს დაასაქმებს, ამით მოწყალებას გაიღებს.

ფეხბურთი ღარიბების სპორტია, რომელსაც მდიდრები მართავენ, ფეხბურთი ძალიან ძნელი თამაშია მარტივი წესებით - რა გაეწყობა, ლამაზი პარადოქსები ყველაფერს უხდება.

# რა გაუკვირდა მერებაშვილს?

## დიპლომი და კამპ ნოუ

**ორწლიანი განშორების შემდეგ გიორგი მერებაშვილი „დინამოს" დაუბრუნდა. იგი ამ კლუბისა და საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი იყო - ორჯერ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. კვლავაც დინამოელი ახლა საქართველოს ჩემპიონატისთვის გუნდთან ერთად ბარსელონაში ემზადება. ფეხბურთელმა დინამოს ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.**

**- რით განსხვავდება დინამო, რომელიც დატოვე და რომელშიც დაბრუნდი?**

- გუნდში მაშინაც ბევრი იყო ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც თამაშის ბედის გადაწყვეტა, ანუ ლიდერობა შეეძლოთ. ის გუნდი რომ შენარჩუნებულიყო, ვფიქრობ, წარმატებას აუცილებლად მივაღწევდით. ახლა გაცილებით მეტი მაღალი კლასის, შემტევი ყაიდის მოთამაშეა გუნდში და კონკურენციაც დიდია, თუმცა შეთამაშებისთვის დროა საჭირო - ამხანაგურ თამაშებში გამოჩნდა, რომ ჯერ ბოლომდე ვერ ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ ნიჭიერი ფეხბურთელები არიან და საამისოდ დიდი დრო არ დაგვჭირდება. ვფიქრობ, მალე ისეთ ფეხბურთს ვითამაშებთ, როგორსაც გულშემატკივარი ელის. ბაზა, კლუბის მთლიანი ინფრასტრუქტურა - შედარებაც არ შეიძლება. პირველად რომ ვნახე, თვალებს არ ვუჯერებდი, ისეთი



შეცვლილი დამხვდა იქაურობა. ბევრი ევროპული გუნდი ინატრებდა ასეთ პირობებს. ყველაფერი ისეა, რომ მარტო ფეხბურთზე უნდა იფიქრო. ამიტომაც ვალდებულნი ვართ, ისე ვითამაშოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა და გულშემატკივარი გავახაროთ.

**- აქ, ბარსელონაში რა მოგეწონა გამორჩეულად ?**

- პირველ რიგში, ბარსას თამაში „კამპ ნოუზე", იქაური ატმოსფერო. იგრძნობა, რომ აქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს და იმედია, საქართველოშიც ასე იქნება. სხვათა შორის, ასეა სერბეთშიც - იქ შეიძლება კაცმა ფეხბურთისთვის თავისი ქორწილიც კი გადადოს.

**- შეკრებაზე გამართული სამი მატჩიდან, შენი აზრით, ყველაზე უკეთესი რომელი იყო?**

- ჯერ ვარჯიშებზე მინდა ვთქვა - ალექს გარსიას ყველა ვარჯიში თამაშთან მიახლოებულია და მიხარია, რომ ასეა. ყველაზე კარგი პირველი, ალჟირელებთან თამაში იყო. ჩვენ სამი-ოთხი დღის დაწყებული გვქონდა ვარჯიში, მეტოქე კი ძლიერი, კარგად დაბალანსებული და შეთამაშებული გუნდი იყო. „ესპანიოლთან" და „ტერასასთან" უფრო მეტი ვიმოძრავეთ, ტონუსში მოვიყვანეთ ჩვენი თავი. ნელ-ნელა უნდა მივუახლოვდეთ ჩვენს თამაშს.

**- როგორ ფიქრობ, „დინამოში" რომელ პოზიციაზე მოგიწევს თამაში ?**

- ჩვენ 4-3-3 სქემით ვთამაშობთ, ეს სამი მატჩიც, ფაქტობრივად, შუაში სამი ფეხბურთელით ვითამაშეთ - მე, კოშკაძე და ძარია ხშირად ვცვლიდით პოზიციებს. ალბათ, ნახევარდაცვაში ვითამაშებ, ცენტრშიც და მარჯვნივაც.

www.fcdinamo.ge

მერანი

# ურეკში თუ იგუნდავებ, თორემ...

გუშინ ურეკში "მერანისა" და ბათუმის "დინამოს" საკონტროლო მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო მისი ჩატარება ვერ მოხერხდა. მეტიც, მარტვილურ კლუბს ურეკული შეკრება საერთოდ ჩაეშალა. 22 იანვარს "მერანს" "სპარტაკთან" უნდა ეთამაშა და, ბუნებრივია, ეს შეხვედრაც გაუქმდა.

"მერანი" ამჯერად მარტვილშია, მაგრამ უამინდობის გამო იქაც ვერ ვარჯიშობს. **მალხაზ ჟვანიას** გუნდს საწვრთნელი პროცესის გეგმა მთლიანად შეეცვალა და, სავარაუდოდ, დედაქალაქს მიაშურებს.

24 იანვარს მარტვილელებს "ზესტაფონმა" უნდა უმასპინძლოს – ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ამინდმა მატჩის გამართვა შესაძლებელი გახადა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# მარცვალაძეზე ხელი არ მომითბია

## ნაპრეზიდენტალი გოიხმანი ვოლგას გავარდნას უწინასწარმეტყველებს

**ალექსეი გოიხმანი** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პრეზიდენტობიდან შარშან, აგვისტოში გადადგა. თითქმის ხუთი თვის შემდეგ კი, როდესაც ვნებები დაცხრა, გოიხმანი ალაპარაკდა და ჩვენთვის საინტერესო ამბები გაიხსენა. მან "სოვეტსკი სპორტთან" **ოთარ მარცვალაძეზეც** ილაპარაკა:

*"ამბობენ, რომ მარცვალაძის "კრასნოდარში" გაშვებით ფული ვიშოვე. ამას წერტილი უნდა დავუსვა და საამისოდ გეტყვით, როგორ გადმოვიყვანე ოთარი. „ვოლგას" ყოფილი მწვრთნელი პობეგალოვი მის ტრანსფერს ეწინააღმდეგებოდა. მე მაინც დავარწმუნე, რომ საჭირო მოთამაშე იყო და დაიწყო „ანჟისთან" უმძიმესი მოლაპარაკება. დაღესტნელები თავდაპირველად 600 ათას დოლარს ითხოვდნენ, მაგრამ ჩვენ მაშინ ამხელა თანხის გადახდა არ შეგვეძლო და შევთანხმდით: მახაჩყალელებს იჯარაში 50 000 დოლარს ჩავურიცხავდით და თუ ფეხბურთელის გამოსყიდვას გადავწყვეტდით, კიდევ 550 ათასს მიიღებდნენ. როდესაც პრემიერლიგაში გადავედით, „ვოლგამ" ამ უფლებით ისარგებლა. ამ საცოდავი 50 ათასით ნაყიდმა ფეხბურთელმა პირველ ლიგაში 21 გოლი გაიტანა და, ფაქტობრივად, გუნდი ელიტარულ დივიზიონში გადაიყვანა. როდესაც ტრანსფერი გამოვისყიდეთ, მარცვალაძემ პირადი მოთხოვნები წამოაყენა, კმაყოფილი ვარ გუნდის დამოკიდებულებით, მაგრამ ხელფასი არ მაკმაყოფილებსო და მოითხოვა ხელშეკრულებაში ჩაწერილიყო პუნქტი: 600 ათასი დოლარის გადახდის შემთხვევაში გუნდს დატოვებდა. მისი მოთხოვნა დავაკმაყოფილე, რადგან სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. ვიცოდი მისი პოტენციალი, შეეძლო ორჯერ მეტი სარგებლობის მოტანა, რაც დადასტურდა კიდეც. როდესაც შუა სეზონში „კრასნოდარში" მიიწვიეს, ორჯერ მეტი გადაგვიხადეს. ოთარისა მესმოდა, მას ოჯახი ჰყავს შესანახი და ბრალდება, რომ მე მის ტრანსფერზე ბიზნესი ავაწყვე და მილიონი დოლარი გავაკეთე, უსაფუძვლოა. „კრასნოდარს" მოვთხოვე არა 600 ათასი, არამედ მილიონი დოლარი და ეს თანხა მთლიანად კლუბის საჭიროებას მოხმარდა".*

"ვოლგას" ყოფილი პრეზიდენტი პესიმისტურად აფასებს გუნდის შანსებს და მიიჩნევს, რომ პრემიერლიგაში დარჩენის შანსი არ გააჩნია: *"ვფიქრობ, "ვოლგა" პრემიერლიგაში ვერ დარჩება, ეს ობიექტური რეალობაა. მთავარ მწვრთნელ დმიტრი ჩერიშევს ვკითხე, როგორ მუშაობდა, როგორ მიმდინარეობდა სელექცია და იცით, რა მიპასუხა? ეს მოთამაშეები მე არ მომიწვევიაო. ამის შემდეგ რაზე უნდა ვილაპარაკო".*

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# ბაზელი თუ არა, იქნებ, გენკი

**გიორგი აბურჯანია** რამდენიმე თვის წინ შვეიცარიულ "ბაზელში" მიიწვიეს და იქ რამდენიმე დღეც გაატარა. ტრანსფერი თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი ამჯერად ბელგიური "გენკის" შემადგენლობაში ივარჯიშებს და ვნახოთ, ამ საქმიდან მაინც თუ გამოვა რამე. ბელგიური სინჯების გამო იგი ნაკრებს ბელარუსის საერთაშორისო ტურნირზე დააკლდება.

აბურჯანიამ ევროპელთა დაინტერესება 17-წლამდელთა ნაკრებში მაღალ დონეზე ჩატარებული მატჩებით დაიმსახურა. პერსპექტიული ნახევარმცველი რუსთავის "მეტალურგის" ფეხბურთელია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სადაურსა სად...

# ობოლონში სამი ქართველია

კიევში მიმდინარეობს უკრაინელი ფეხბურთელის, **ოლეგ მაკაროვის** სახელობის თასის გათამაშება. კიევის "ობოლონი" ტურნირში მონაწილეობს დუბლშემადგენლობით, რომელშიც ორმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა: **დავით იაშვილმა** (რომელიც ადრე კიევის "დინამოში" ისინჯებოდა) და **გერყენაშვილმა**.

როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი გასინჯვაზეა, იაშვილი კი უკვე გუნდში ირიცხება და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე მასზე ასეთი ინფორმაციაა – დათო 9 იანვარს 20 წლის გახდა, 182 სმ სიმაღლისაა და "ობოლონში" შემოდგომაზე ჩაირიცხა.

"ობოლონის" ფეხბურთელია **ირაკლი მესხიაც**, 18 წლის ნახევარმცველის სიმაღლე 183 სანტიმეტრია.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ხელოვნური, მაგრამ იდეალური

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები უკვე მინსკშია, სადაც იქაური საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ჩვენები სასტუმრო „სპუტნიკში" დაბინავდნენ. **ვასილ მაისურაძემ** გუნდი იმ სპორტულ მანეჟში ავარჯიშა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ტურნირის მასპინძელი იქნება. დარბაზიცა და ხელოვნური საფარიც უმაღლესი დონისაა.

საქართველოს ნაკრების პირველი ვარჯიში საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. მოთელვის შემდეგ მაისურაძემ ფეხბურთელები ბურთთან კარგა ხანს ამუშავა და ვარჯიში რამდენიმე კომბინაციის დამუშავებით დაასრულა.

პირველი მატჩი, რომელსაც ხვალ საქართველოს ნაკრები ბელარუსთან გამართავს, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

ჩვენი გუნდის შემადგენლობასაც შეგახსენებთ:

მეკარეები: **ნიკოლოზ შერმადინი, ალექსანდრე ადამია** (ორივე - „მეტალურგი", რუსთავი);

მცველები: **გიორგი გაბაძე, გიორგი გოროზია, ნიკოლოზ ჭანტურია** (სამივე -„ლოკომოტივი", თბილისი), **გიგა სამხარაძე** („დინამო" თბილისი);

ნახევარმცველები: **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, არჩილ მესხი, გიორგი პაპუნაშვილი, ოთარ კაკაბაძე, თორნიკე მაჭავარიანი** (ყველა - „დინამო" თბილისი), **ბექა მელიქიძე** („მეტალურგი", რუსთავი), **ნიკოლოზ ახვლედიანი** („ბაია", ზუგდიდი), **მათე ცინცაძე** („ლოკომოტივი", თბილისი);

თავდამსხმელები: **დავით ჯიქია, ალექსანდრე მზევაშვილი, დავით დარციმელია** (სამივე - „ლოკომოტივი", თბილისი), **ივანე ნილოსანი** („დინამო" თბილისი).

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვასილ მაისურაძე

ფესვები

# იქ, სადაც თარგამაძეც გაიზარდა

35-ე საფეხბურთო სკოლა მართლაც განსაკუთრებული სკოლაა, რომელმაც ბევრი სახელოვანი მოთამაშე გაზარდა, მათ შორის ძველი, ძლევამოსილი „დინამოსთვის" და მომდევნო პერიოდის სხვა გუნდებისთვისაც. ადრე ეს სკოლა ორჯონიკიძის ქუჩაზე იყო, ახლა კი ქავთარაძის ქუჩაზეა. არასდროს ყოფილა და არც ახლაა ისეთი სკოლა, სადაც მეტწილად უბნის ბავშვები დადიან. 35-ეში ნიჭიერი ყმაწვილები ბოლო ნაბიჯებს დგამდნენ პროფესიულ სპორტში გადასვლამდე, ანუ გზას იწყებდნენ სხვადასხვა სკოლაში და მერე აქ მოდიოდნენ. ამ სკოლას, ფაქტობრივად, კოლეჯის ფუნქცია ჰქონდა.

ახლა კი ყველაფერი სხვანაირადაა, სისტემა შეიცვალა და ყველა სკოლა თვითონ აწვდის ფეხბურთელებს პროფესიულ კლუბებს.

35-ე სკოლას ახლა „35-ე საფეხბურთო კლუბი" ჰქვია, რომლის დამფუძნებლები **გოჩა ავსაჯანიშვილი** და **დავით სარჯველაძე** არიან. ეს კლუბი ცალკე ფუნქციონირებს 35-ე საჯარო სკოლისგან, რომლის დირექტორი ამ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი **არჩილ არველაძეა,** უბრალოდ, იჯარით აქვს აღებული საჯარო სკოლისგან მოედნები.

35-ე საფეხბურთო სკოლის განკარგულებაში ამ დროისთვის ხუთი მოედანია – ეგრეთ წოდებული „მარაკანა" სტანდარტული ზომებით და კიდევ ის მოედნები, რომლებიც საჯარო სკოლის ტერიტორიაზეა.

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად **გრიგოლ ცაავას** არჩევის შემდეგ საფეხბურთო სკოლებს 10-10 ათასი დოლარი გამოეყოთ. 35-ე საფეხბურთო კლუბმა ამ თანხით საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრის დაგება დაგეგმა, მოედანი მინიფეხბურთისაზე ოდნავ დიდი იქნება და მასზე 9-წლამდელები ივარჯიშებენ. 35-ე საფეხბურთო სკოლის ყველა დანარჩენი მოედანი ხელოვნურსაფრიანია.

„როგორც კი დათბება, სამუშაოებსაც მაშინ დავიწყებთ. „მარაკანაზე" ხელოვნური საფარი ორი წლის წინათ დავაგეთ და მოედანი კარგ მდგომარეობაშია, დანარჩენებს კი საფარი გამოსაცვლელი აქვთ,"- გვითხრა ავსაჯანიშვილმა.

35-ე საფეხბურთო კლუბში ამ დროისთვის დაახლოებით 500 ბავშვი მეცადინეობს, სწავლის საფასური კი 50 ლარია. ამ თანხაში შედის ეკიპირება, თუ მოზარდები შეკრებაზე წავლენ, მაშინ მშობლებს დამატებითი თანხის გადახდა უწევთ.

კლუბს ყველა ასაკში ჰყავს ჯგუფი, ზოგ ასაკში სამი გუნდიც კი ჩამოყალიბდა. აქ დასაქმებულია 15 მწვრთნელი. **თემურ ლორთქიფანიძე, ტარიელ კანდელაკი, გიორგი ელიაშვილი**... საფეხბურთო სამყარო ამ სპეციალისტებს კარგად იცნობს. კლუბში საქმიანობს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **კახა გოგიჩაიშვილიც**.

ავსაჯანიშვილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში მუშაობდა მთავარ მწვრთნელ **კობა ჟორჟიკაშვილის** თანაშემწედ, კვლავაც ისაქმიანებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამწვრთნელო შტაბში, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში იმუშავებს გოგიჩაიშვილიც.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლა **გიორგი დევდარიანი** თავკაცობს, მომდევნო შესარჩევ ციკლში კი ამ ნაკრებს **კახა კაჭარავა** ჩაიბარებს და მისი გუნდის წევრებად 35-ე საფეხბურთო კლუბის ორი აღზრდილი მოიაზრება – თავდამსხმელი **ბაჩანა ზივზივაძე** და საყრდენი ნახევარმცველი **ლაშა ექვთიმიშვილი.**

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში კი 35-დან ხუთი ფეხბურთელია მიწვეული. ორი მათგანის თამაში არაერთხელ მინახავს და სპეციალისტები, ალბათ, არ დამძრახავენ, თუ ვიტყვი, რომ თავდამსხმელი **ლუკა ზარანდია** და ცაცია შემტევი **ცოტნე მესხი** ძალიან ნიჭიერები არიან.

ამ საფეხბურთო სკოლის გუნდები თამაშობენ ელიტლიგაში. 1996-97 წლებში დაბადებულთა ლიგაში 35-ე საფეხ-



გოჩა ავსაჯანიშვილი

ბურთო კლუბი „გაგრას" სახელით თამაშობს და გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა. გუნდს კახა გოგიჩაიშვილი თავკაცობს, თუმცა, თუ ერთ-ერთი ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი გახდება, კლუბში მუშაობის უფლება აღარ ექნება.

35-ეს აღზრდილებიდან ბოლო პერიოდში, ვინ თამაშობდა და თამაშობს საქართველოს ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებში? ჩამონათვალი არცთუ მცირე გამოდის: **დავით სირაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ალექსი ბენაშვილი, ბუბა დაუშვილი, ილია კანდელაკი, მიხეილ ბობოხიძე...**

არის კიდევ ერთი მოთამაშე, ვისზეც ახლა ძალიან ბევრს ლაპარაკობენ თუ წერენ და რომელთანაც უკვე დონეცკის „შახტარმა" გააფორმა კონტრაქტი...

*„დავით თარგამაძე 6 წლიდან ჩვენს სკოლაში იყო, შეიძლება ითქვას, ჩემს ხელში გაიზარდა. ფეხბურთს მეტწილად ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულები თამაშობენ და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. დათო ნიჭიერი ბავშვი იყო და ძალიან მიხარია, რომ იმედები გაამართლა. ის კარგი, სუფთა გულის ადამიანია და ასეთის წარმატება ორმაგად გასახარია. თარგამაძეს ჯერ ცენტრფორვარდად ვათამაშებდი, მერე - ნახევარდაცვის ცენტრში, შემდეგ ფლანგზე დავაყენეთ. შეტევას კარგად იწყებდა და ამ პოზიციებზე ერთობ ეფექტური იყო, პასებიც ჩინებული ჰქონდა. სკოლის შემდეგ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს, მერე არჩილ არველაძის და ალექსანდრე იაშვილის დახმარებით ბუნდესლიგაში, „ფრაიბურგში" გადავიდა. სხვა კარგ თვისებებთან ერთად მას ერთიც გამოარჩევს - სერიოზული დრიბლიორია" – ამბობს ავსაჯანიშვილი.*

ნიჭიერი ბავშვების სელექციას ზოგმა კლუბმა ძალიან სერიოზულად მოჰკიდა ხელი, მაგალითად, „დინამო თბილისმა" და „საბურთალომ". ამ საქმეში ფულის ჩადება ზოგს ენანება, თუმცა ზოგი სხვანაირად ფიქრობს. როგორც უნდა იყოს, საქართველო ჯერაც ფეხბურთელთა ექსპორტიორი ქვეყანაა.

*„დინამოს" მესვეურებთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ამ კლუბის აკადემიის გუნდები ჩვენს მოედანზე ვარჯიშობენ. თუ 35-ე კლუბის რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესდებიან, ვფიქრობ, შეთანხმების მიღწევა პრობლემა არ იქნება. ამის თაობაზე მემორანდუმის გაფორმებასაც ვაპირებთ" – გვამცნო ავსაჯანიშვილმა.*

კლუბის დამფუძნებელს სამომავლო პროექტებზეც დავეკითხეთ და შევიტყვეთ, რომ: „მარაკანასთან" 60-მეტრიანი მოედნის გაკეთებას ვაპირებთ, გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე 50-ადგილიანი სასტუმროც აშენდება, სადაც ორ გუნდს შეეძლება ცხოვრება. ამ პროექტის დამტკიცებაში ძალიან დაგვეხმარა ქალაქის მერი **გიგი უგულავა** და, ცხადია, მისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის".

მოკლედ, 35-ე საფეხბურთო სკოლა ვითარდება, რაც მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაცაა სასარგებლო. სხვათა შორის, ეს კლუბი რეგიონებშიც აკვირდება ნიჭიერ მოზარდებს - ფეხბურთიც ხომ ბიზნესია და არეალის გაფართოება სჭირდება.

35-ე საჯარო სკოლის მეოთხე სართულზე კლუბმა მცირე სკოლა-ინტერნატიც კი მოაწყო. იქ მოეწყო კვების ბლოკი და საძინებლები რეგიონებიდან ჩამოსული ნიჭიერი მოზარდებისთვის.

**დავით თავართქილაძე**

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის წინ


ტიერი ანრი (მარცხნივ) და პოლ სქოულზი

# ლეგენდების დაბრუნება

**დღეს**

**ნორვიჩი–ჩელსი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** ლაეტი, რუდი, ვორდი, ვონი, ტირნი – მიკელი, ივანოვიჩი

**ევერტონი–ბლექბერნი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** იაკუბუ (ბლექბერნი)
**ტრავმები:** დისტენი, როდუელი, ბარკლი, იაგიელკა, ოსმანი, კოულმენი, ჰიბერტი – ნელსენი, სამბა, დანი, სალგადო, გრელა

**ფულჰემი–ნიუკასლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** დემბელე, გრიგერა, შვარცერი, ეტუჰუ – რეინჯერი, კაბაი, ამეობი, ლოვენკრანდსი, ტეილორი, მარვო

**ქუინზ პარკი–უიგანი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** დაიერი, ჰალსი – ფორლინი, მელონი, კერკლანდი

**სტოკი–ვესტ ბრომვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** შოტონი, სიდიბე – ბრანტი, ჯოუნსი, ოლსონი, გერა, რიდი

**სანდერლენდი–სუონსი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** კოლბეკი, ბრაუნი, გორდონი, კემპბელი, ბრამბლი, ანხელერი – ტეიტი, ბოდე

**ვულვერჰ.–ასტონ ვილა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** კრედოკი, ზუბარი, ო'ჰარა – ჰერდი, ჰესკი, ლიჩაი, კუელიარი

**ბოლტონი–ლივერპული 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** - სუარესი (ლივერპული)
**ტრავმები:** დევისი, ჰოლდენი, ლი, იასკელაინენი, Aლონსო, მირსი – ლუკას ლეივა, სპირინგი, აგერი

**ხვალ**

**მანჩ. სიტი–ტოტენჰემი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** კომპანი (მანჩესტერ სიტი)
**ტრავმები:** ბალოტელი, რიჩარდსი – ჩორლუკა, სანდრო, ჰადლსტოუნი, კინგი, გალასი

**არსენალი–მანჩ. იუნაიტედი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმები:** უილშირი, სანია, გიბსი, ჯენკინსონი, ფაბიანსკი, სანტოსი, ვერმაელენი, კოკელენი, არტეტა, დიაბი – ფლეტჩერი, ოუენი, კლევერლი, ჯონსი, ვიდიჩი, იანგი, ანდერსონი, უელბეკი, სმოლინგი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 21 | 16 | 3 | 2 | 57-16 | 51 |
| 2. იუნაიტედი | 21 | 15 | 3 | 3 | 52-20 | 48 |
| 3. ტოტენჰემი | 21 | 14 | 4 | 3 | 39-21 | 46 |
| 4. ჩელსი | 21 | 12 | 4 | 5 | 40-25 | 40 |
| 5. არსენალი | 21 | 11 | 3 | 7 | 38-31 | 36 |
| 6. ნიუკასლი | 21 | 10 | 6 | 5 | 30-25 | 36 |
| 7. ლივერპული | 21 | 9 | 8 | 4 | 24-18 | 35 |
| 8. სტოკ სიტი | 21 | 8 | 6 | 7 | 22-31 | 30 |
| 9. ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 32-36 | 28 |
| 10. სუონსი | 21 | 6 | 8 | 7 | 23-25 | 26 |
| 11. ევერტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 21-25 | 25 |
| 12. სანდერლენდი | 21 | 6 | 6 | 9 | 27-24 | 24 |
| 13. ასტონ ვილა | 21 | 5 | 9 | 7 | 23-27 | 24 |
| 14. ფულჰემი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-29 | 23 |
| 15. ვესტ ბრომ. | 21 | 6 | 4 | 11 | 20-30 | 22 |
| 16. ვულვზი | 21 | 4 | 6 | 11 | 23-37 | 18 |
| 17. ბლექბერნი | 21 | 4 | 5 | 12 | 32-44 | 17 |
| 18. ქუინზ პარკი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-36 | 17 |
| 19. ბოლტონი | 21 | 5 | 1 | 15 | 25:46 | 16 |
| 20. უიგანი | 21 | 3 | 6 | 12 | 18-42 | 15 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (არსენალი), 15 - დემბა ბა (ნიუკასლი), 14 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 13 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), 12 - იაკუბუ (ბლექბერნი), 11 - ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი), 9-9 - დენიელ სტარიჯი, ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი)

22-ე ტურში რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართება. ჩვენ უპირველესად "არსენალი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. ამ გუნდებს შორის შეხვედრები ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ხვალინდელი მაინც გამორჩეულია და, ვფიქრობთ, ამის მიზეზი ყველამ იცის. ერთი თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ "ემირიტსზე" გამართულ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ **პოლ სქოულზი** და **ტიერი ანრი** წარდგებოდნენ. რისი თქმა შეიძლება წინასწარ? პირველი წრის შეხვედრაში, 28 აგვისტოს, "მეთოფეებმა" ისტორიული სირცხვილი ჭამეს, მტრის „ბუნაგში" 2:8 წააგეს და ახლა, ეჭვი არ გვეპარება, რომ რევანშზე ფიქრობენ. რამდენად გამოუვათ ეს, საკითხავია. მართალია, ლონდონელთა ბანაკში ტრავმირებული ფეხბურთელების ძირითადი ნაწილის დაბრუნებას მალევე ელოდებიან, თუმცა ლაზარეთში ჯერ კიდევ რჩება ლიდერთა მთელი წყება. პრესა ამაზე დიდი ხანი მარჩიელობდა, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია ძირითადში **ტომას ვერმაელენის** დაბრუნება. **არსენ ვენგერის** თქმით, თუკი ბელგიელმა გამოჯანმრთელება მაინც მოასწრო, მისთვის ეს დიდი სიურპრიზი იქნება. დღეს შუადღეზე ჩასატარებელ ტესტზე იქნება დამოკიდებული, მისცემენ თუ არა ექიმები **ტიერი ანრის** მოედანზე გამოსვლის უფლებას. ფრანგ ვეტერანს წვივი აწუხებს. ბუნებრივია, ლონდონელებს ესმით, რომ თუკი ხვალ წააგებენ, "ჩელსი", "ნორვიჩთან" გამარჯვების შემთხვევაში, მეტოქეს 7 ქულით დაშორდება, რისი აღმოფხვრაც შემდეგ მათ ძალიან გაუჭირდებათ. თავის მხრივ "წითელ ეშმაკებსაც" კბილები აქვთ ალესილი. მოგების შემთხვევაში "სიტის" 6 ქულით გაქცევა შეუძლია, რაც **რობერტო მანჩინის** გუნდს დამატებით ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოუტანს. სეზონის ბოლომდე ტრავმირებული **ნემანია ვიდიჩის** გარდა, სერ **ალექს ფერგიუსონს რიო ფერდინანდიც** გამოაკლდება. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლომდე ჯანმრთელები **კრის სმოლინგი** და **ფილ ჯონსიც** არ არიან, "ეშმაკები" შეიძლება გადაულახავი ბარიერის წინაშე აღმოჩნდნენ. თუმცა კარგია, რომ ისინი უკვე ვარჯიშობენ. ჯანმრთელობის საქმეები ნელნელა უკეთ მისდის **ეშლი იანგს**, თუმცა ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ძირითადში დღესაც **ანტონიო ვალენსია** იქნება. მოსალოდნელია, რომ ფერგი თავდასხმაში რუნის გვერდით სასტარტოში **ხავიერ ერნანდესს** დააყენებს.

მართალია, თამაშს თავად დააკლდება, მაგრამ მას მაინც მოუთმენლად ელოდება რიო ფერდინანდი, რისი მიზეზიც თავშივე მოგახსენეთ: *"უბრალოდ დაუჯერებელია, რომ ისევ შეგვიძლია ორი უდიდესი ფეხბურთელის დაპირისპირებას ვუყუროთ. თუკი ხუთი უდიდესი ფეხბურთელის დასახელებას მთხოვთ, ვისი თამაშიც ოდესმე მინახავს, ტიერი ანრი და პოლ სქოულზი მათში ნამდვილად იქნებიან"*.

შუა კვირაში უკვე ვწერდით, რომ "სიტისა" და "ტოტენჰემის" ფეხბურთელებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მატჩამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. თუკი "დეზების" ლიდერის **გარეთ ბეილის** კომენტარი ღირსეული იყო, **ჯოლეონ ლესკოტის** გამონათქვამები ცოტა პროვოკაციული გახლდათ. უელსელმა განაცხადა, დიდი მატჩის მოლოდინში ვცხოვრობ და მოგება რომ შეგვიძლია, ეჭვი არ მეპარებაო. "ქალაქელთა" ცენტრალურმა მცველმა კი თქვა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უპირველეს კონკურენტად "იუნაიტედს" მივიჩნევ, "ჩელსისა" და "არსენალსაც", აი, "ტოტენჰემი" კი "სიტის" კონკურენტად ვერ წარმომიდგენიაო. "სიტის" მარჯვენა ნახევარმცველის **ადამ ჯონსონის** თქმით კი, "ტოტენჰემი" ძალიან ძლიერი გუნდია და გამორიცხავს პირველი წრის შედეგის განმეორებას. მოგეხსენებათ, "უაით ჰართ ლეინზე" სტუმრებმა 5:1 იმარჯვეს. ამ წყვილზე ლაპარაკი შემდეგი ინფორმაციით დავასრულოთ: ექიმებმა "ქალაქელთა" იტალიელი ბუნტისთავის **მარიო ბალოტელის** მინდორზე გამოსვლის შანსი 70/80%-ით შეაფასეს.

ბოლოს კი "ნორვიჩი"-"ჩელსის" შეხვედრაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა: მართალია, **ჯონ ობი მიკელი** და **ბრანისლავ ივანოვიჩი** ვარჯიშს დაუბრუნდნენ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში მათი გამოჩენა ნაკლებად მოსალოდნელია. მოგეხსენებათ, გუნდს დაუბრუნდა **მიკაელ ესიენიც**, მაგრამ სასტარტოში ალბათ ვერც ის მოხვდება. სადებიუტო შეხვედრას სკამზე შეხვდება "ლურჯების" ახალწვეული **გარი კეჰილიც**. **ანდრე ვილაშ ბოაში** "ნორვიჩის" თამაშით აღფრთოვანებულია. აი, რას ამბობს ის: *"ნორვიჩი" განაგრძობს ისეთი გუნდების გაკვირვებასაც კი, რომლებიც პრემიერლიგაში ბევრად უფრო გამოცდილებულები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლ ლამბერტმა უდიდესი სამუშაო შეასრულა. და სწორედ ამიტომ ადგას გუნდი აღმავლობის გზას"*.

● ჩელსი

# ვილაშ ბოაშის იდეა

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელის **ანდრე ვილაშ ბოაშის** თქმით, პრემიერლიგური გუნდების განვითარებისთვის უკეთესი იქნებოდა, თუკი მათი რეზერვისტები ჩემპიონშიპში ან სხვა პროფესიულ ლიგებში ითამაშებდნენ. პორტუგალიელი სპეციალისტის მტკიცებით, ეს სისტემა დანერგილი რომ ყოფილიყო, მისი გუნდი ბოლო 10-12 წლის განმავლობაში აკადემიაში მეტ ისეთ ფეხბურთელს გაზრდიდა, რომელიც ძირითად გუნდში მოსახვედრად იბრძოლებდა. უკანასკნელი ფეხბურთელი, ვინც ლურჯების აკადემიაში აღიზარდა და შემდგომ დიდ გუნდში თავი დაიმკვიდრა, **ჯონ ტერი** გახლავთ. ტერი კი "ჩელსიში" 1998 წლიდან ასპარეზობს.

რეზერვისტთა პირველობის დაბალი დონის მიზეზად მწვრთნელს ის მიაჩნია, რომ მათ ტურნირს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. იმის მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდება პირველობა, ახალი სეზონიდან მისი დაკომპლექტება ისევ თავიდან ხდება და ისევ იმის მიხედვით, თუ ვინ დარჩება და ვინ გავარდება პრემიერლიგიდან. ვილაშ ბოაში პრემიერლიგას ესპანეთის მაგალითის დამკვიდრებას სთავაზობს, სადაც "რეალისა" და "ბარსელონას" დუბლიორები სეგუნდა დივიზიონში თამაშობენ. რატომაა "ბლაუგრანას" აკადემია ასეთი წარმატებული, ეს კიდევ ცალკე სალაპარაკო თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ **პეპ გვარდიოლას** დანიშვნის შემდეგ (2008 წლის ივლისი) ძირითად გუნდში 28 ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. *"ინგლისში ძირითად გუნდსა და რეზერვისტთა შორის განსხვავება უზარმაზარია. იცით, რომ ესპანეთში დიდი გუნდების დუბლები მეორე ლიგაში გამოდიან. თუკი ასეთ სისტემას ინგლისშიც დავნერგავთ, ყველაფერი ნიჭიერი ახალგაზრდობისდა საკეთილდღეოდ წარიმართება. დღეს ჩვენი რეზერვისტების ერთადერთი დანიშნულება ძირითადი გუნდის სამსახურია და არა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ხელის შეწყობა და მათი განვითარება. პროფესიულ ლიგებში ამ გუნდების გადაყვანა აღნიშნულ პრობლემას მოხსნიდა. ძირითად და რეზერვისტთა გუნდებს ერთ სტილში მოუწევდათ ცხოვრება, ექნებოდათ ერთი ბაზა, ერთი სახელი და ერთი მიზანი,"* – განუცხადა ვილაშ ბოაშმა "ინდეპენდენტს".


ჯონ ტერი და ანდრე ვილაშ ბოაში

● ამბები

## დე ხეას თვალზე ოპერაცია სჭირდება

"გარდიანის" ცნობით, ივნისში სეზონის დამთავრების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" 21 წლის კარის დარაჯ **დავიდ დე ხეას** თვალებზე ლაზერულ ოპერაციას ჩაუტარებენ. ახალი წლის დადგომის შემდეგ ესპანელს აღარ უთამაშია, რადგან იქამდე ჩატარებულ თამაშებში არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. სამაგიეროდ დამაჯერებლად ირჯება დანიელი **ანდერს ლინდეგორი**. მოსალოდნელია, რომ უახლოესი პერიოდის განმავლობაში ძირითად მეკარედ სწორედ ის დარჩება. სამწვრთნელო შტაბს ეჭვი აქვს, რომ დავიდის შეცდომები სწორედ მხედველობის პრობლემებთან არის დაკავშირებული. "მანიუმ" ფეხბურთელს უკვე დაუქირავა ოფთალმოლოგი, რომელსაც ფეხბურთელის პრობლემებისთვის თვალის დევნება ევალება. ის, რომ მეკარეს შორსმხედველობა აწუხებდა, ბუნებრივია, აქამდეც ცნობილი იყო და სწორედ ამიტომ ის კონტაქტური ლინზებით თამაშობდა. როგორც ჩანს, დე ხეას მდგომარეობა გაურთულდა. დავიდს პირველადი ოპერაცია შარშან მარტში ჯერ კიდევ "ატლეტიკოში" თამაშისას გაუკეთეს. ექიმებმა მაშინ მას განუცხადეს, რომ მეორე ოპერაციამდე, ანუ პრობლემის საბოლოოდ მოგვარებამდე მინიმუმ წელიწადი უნდა გასულიყო.

## გალაქსი და ლემპარდი

"ლოს ანჯელეს გალაქსის" აღმასრულებელი დირექტორის **ტიმ ლეივეკეს** თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი "ჩელსის" 33 წლის ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი** სეზონის ბოლოს კარიერის გაგრძელებას სხვაგან განიზრახავს, ის მზად იქნება, ვეტერანს ღირსეული პირობები შესთავაზოს. *"ჩემს თავს ფრენკის დიდ თაყვანისმცემლად მივიჩნევ, რადგან ის დიდებული ფეხბურთელია, "ჩელსის" ერთგვარი სიმბოლო. როცა "ჩელსიზე" ვფიქრობ, უპირველესად სწორედ ის მახსენდება. გადმოვა თუ არა ის ჩვენს გუნდში? უმჯობესია, თუკი ამ შეკითხვას მასვე დაუსვამთ. თავის დროზე ორი წელიწადი ვცდილობდით დევიდ ბექჰემის ხელში ჩაგდებას. ჩვენი მხრივ ახლაც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ბექზისა და რობი კინის შემდეგ კიდევ ერთი კარგი ფეხბურთელი გადმოვიბიროთ,"* – აცხადებს ლეივეკე.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# ინტერმა თასზეც ივარგა

## თუმცა, რანიერი უკმაყოფილოა

**ინტერი–ჯენოა 2:1**

**გოლები:** 1:0 მაიკონი (9), 2:0 პოლი (50), 2:1 ბირსა (92).

იტალიის თასის მერვედფინალური ეტაპის ბოლო თამაში „ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართა, სადაც „ინტერმა" „ჯენოას" უმასპინძლა და მინიმალური გამარჯვებით მომდევნო ეტაპზე გაალწია. დიახ, მილანური გრანდის წარმატებული სერია გრძელდება და **კლაუდიო რანიერის** სამწყსო სამ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას.

ბუნებრივია, რომ რანიერიმ შემადგენლობა გადაახალისა და იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შანსი, რომლებსაც სერია A-ს შეხვედრებში იშვიათად ეძლევათ სათამაშო პრაქტიკა. ვერ ვიტყვით, რომ ყველამ გაამართლა მწვრთნელის მოლოდინი, მაგრამ რამდენიმემ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაგალითად, ახალგაზრდა შემტევმა **ანდრეა პოლიმ**, რომელმაც მეორე ტაიმში შესანიშნავი გოლი გაიტანა და „ინტერის" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მასპინძელთა გოლები იმდენად ეფექტური გამოვიდა, რომ ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ...

ანგარიში **დუგლას მაიკონმა** გახსნა, რომელიც მარჯვენა ფლანგის სრული ბატონ-პატრონი გახლდათ - კარგად ჩაერთო შეტევაში, უძლიერესად დაარტყა და ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში მოათავსა, 1:0. „ჯენოას" კიპერი ნამდვილად ვერაფერს გახდებოდა, რადგან დარტყმა აუღებელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მეორე გოლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიმ გაიტანა და აქაც მაიკონმა დაიწყო ყველაფერი - ბრაზილიელმა ანდრეა უზუსტესი პასით მოძებნა, ამ უკანასკნელმა მეტად ეფექტური კედელი გაითამაშა **ობისთან** და ანგარიში გაზარდა, 2:0. გენუელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს, რომელთაგან ერთი გოლით დასრულდა - მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ვალტერ ბირსამ** მილანელ მცველთა უყურადღებობით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და უძლიერესი დარტყმით შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 2:1.

მატჩის შემდეგ, კლაუდიო რანიერიმ შემდეგი განაცხადა: *„შედეგი, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ხარვეზები ბევრი გვქონდა და ამ კომპონენტებზე სამუშაოა. არ შეიძლება მოდუნდე მაშინაც კი, როდესაც შეხვედრის დასრულებამდე წამებია დარჩენილი და ორი ბურთის სხვაობით იგებ. მართალია, თასის გათამაშება ნაკლებად პრესტიჟულად ითვლება, მაგრამ ჩვენთვის ყველა ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს".*

**1/4 ფინალი**

24 იანვარი: **იუვენტუსი-რომა.**
25 იანვარი: **კიევო-სიენა, ნაპოლი-ინტერი.**
26 იანვარი: **მილანი-ლაციო.**

### მილანი

# პატო ისევ დაშავდა

## იბრა რევანშზე ფიქრობს

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ „მილანი"-"ნოვარას" სათასო პაექრობაში **ალეშანდრე პატო** ფეხის ტკივილმა შეაწუხა, რის გამოც სამედიცინო შემოწმება გახდა საჭირო. ექიმებმა დეტალურად გამოიკვლიეს ყველაფერი და დადგინდა, რომ ბრაზილიელ ფორვარდს მინიმუმ 3-4 კვირით მოუწევს უქმობა. ერთი სიტყვით, პატო ისევ დაშავდა და ისევ გამოტოვებს პრინციპულ პაექრობებს. ამ ამბავმა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ძალიან დაამწუხრა:

*„სამწუხაროა, რომ პატო ისევ დაშავდა და დაახლოებით ერთ თვეს იუქმებს. მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევიდეს და ამის საშუალება არ ეძლევა. არც კი ვიცი რა ვთქვა, იმედია, ერთხელ და სამუდამოდ მოიშუშებს ტრავმას და საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე წარმოაჩენს".*

გალიანის განწყობა სრულიად გასაგებია, მით უმეტეს, სულ ახლახან მილანელებმა კოლოსალურ თანხაზე თქვეს უარი და ბრაზილიელი ფორვარდი ფრანგულ პსჟ-ში არ გაუშვეს - იქნებ სულ ტყუილად, ალეშანდრე სეზონის დიდ ნაწილს მაინც ლაზარეთში ატარებს...

ამასობაში, მილანურ დერბიში მარცხზე კომენტარი გააკეთა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** და იქვე, კიდევ ერთხელ დასძინა, რომ კარიერის ბოლომდე „მილანში" სურს ასპარეზობა: *„დერბიში მარცხმა ძალიან გამაბრაზა, მაგრამ რას ვიზამთ, შრომა ჩვეულ რეჟიმში უნდა გავაგრძელოთ. მით უმეტეს, წინ მეორე დერბია და რევანშის საშუალება აუცილებლად გვექნება. ვფიქრობ, რომ მეტოქემ უფრო პრაგმატულად ითამაშა, „ინტერი" შედეგზე იყო ორიენტირებული და ეს დაუფასდა კიდეც. არ მინდა რანიერის გუნდს გარჯა დავუკარგო, მაგრამ განვლილმა დერბიმ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ დღეს ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს. დიახ, „მილანი" იტალიაში სწორედაც რომ საუკეთესოა და ჩემი აზრით, მალე ევროპაშიც არ გვეყოლება ბადალი. მსურს კარიერა სწორედ „როსონერიში" დავასრულო და გუნდთან ერთად კიდევ ბევრი ტიტული მოვიგო".*

### სავარაუდო ტრანსფერი

# 15 მილიონი ევრო ნაინგოლანში

## ბოლო სიტყვა სარდინიელებზეა

„გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინის „იუვენტუსის" მესვეურები **რაჯა ნაინგოლანის** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი და სარდინიელ კოლეგებთან აქტიურ მოლაპარაკებებში არიან ჩაბმულნი. აქვე ვთქვათ, რომ 23 წლის ბელგიელი ნახევარმცველი „კალიარის" ღირსებას იცავს და მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს. „გაძეტას" მტკიცებით, ტურინელები მზად არიან ნაინგოლანის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადონ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ წინადადებას სარდინიელები ბევრი ფიქრის გარეშე დათანხმდებიან. თავად ფეხბურთელი ადასტურებს, რომ მისი ტურინში გადაბარგება საკმაოდ რეალურია. სანამ სიტყვას რაჯას გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ მისი გადაბირებით სერიოზულად არის დაინტერესებული მოსკოვის ცსკა-ც, ამიტომ, ბელგიელი ნახევარმცველი კომენტარში რუსულ ვარიანტზეც საუბრობს:

*„მეც მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „იუვენტუსისა" და „კალიარის" მესვეურებს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემით ევროპული ფეხბურთის გრანდი იჩენს ინტერესს, თუმცა ჯერ მაინც სარდინიული კლუბის ფეხბურთელი ვარ და ტურინზე არ ვფიქრობ. „კალიარიმ" ძალიან ბევრი მომცა იმისთვის, რომ გუნდის ინტერესები ყველაზე მაღლა დავაყენო — თუ ჩემს გასხვისებას გადაწყვეტენ, წინააღმდეგი არ ვიქნები და თუ „იუვენტუსის" მესვეურებს უარით გაისტუმრებენ, სარდინიაზე სიამოვნებით დავრჩები.*

*ვიცი იმის შესახებაც, რომ ჩემი გადაბირებით მოსკოვის ცსკა-ა დაინტერესებული, თუმცა სიმართლე გითხრათ, აღმოსავლეთ ევროპაში გადაცხოვრების დიდი სურვილი არ მაქვს. რუსეთის ჩემპიონატზე მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ დიდძალი ფული იდება და ახლო მომავალში, იქაური პრემიერლიგა ალბათ კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდება. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ ეტაპზე რუსეთში გადაბარგებაზე არც კი მიფიქრია".*

### იტალია. სერია A. XIX ტურის წინ


ეროვნული ბიბლიოთეკა

სნეიდერი ლაციოსთან დაბრუნდება

**დღეს**

**რომა-ჩეზენა 21.00**

**ტრავმა:** დე როსი, ოსვალდო, კასეტი, ბურდისო - ჯოკოვიჩი, მალონგა.

**ატალანტა-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკინი, კარმონა (ატალანტა).

**ტრავმა:** ბელინი, კაპელი - ელია, კვალიარელა.

**ხვალ**

**ბოლონია-პარმა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** კერუბინი, მორლეო (ბოლონია).

**ტრავმა:** კონე, ლორია, პულცეტი - მირანტე, პელე.

**კალიარი-ფიორენტინა 18.00**

**ტრავმა:** სამპაიო, პერიკო, ნენე, ერიკსონი - კროლდრუპი, ბაბაქარი, ხარჯა.

**ლეჩე-კიევო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჯაკომაცი (ლეჩე).

**ტრავმა:** კორვია, ჯანდონატო, შტრასერი, ბერტოლაჩი, ფალკონე, კაროციერი (ლეჩე).

**ნოვარა-მილანი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პაჩი, დელაფიორე - ბოატენგი, ნესტა.

**ტრავმა:** ლუდი, პინარდი, ლუზუძო - აბიატი, ბოატენგი, ფლამინი, კასანო, იეპესი, აკვილანი, გატუზო, პატო.

**პალერმო-ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** როსი (ჯენოა).

**ტრავმა:** ზაჰავი, პიზანო, ბაჩინოვიჩი, ერნანდესი - ანტონელი, დაინელი, ბოვო, კალაძე.

**სიენა-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** როსეტინი, გაცი (სიენა).

**ტრავმა:** ბრკიჩი, ბოლცონი (სიენა).

**უდინეზე-კატანია 18.00**

**ტრავმა:** ბარეტო, კოდა, დომიცი - ლანცაფამე, კაპუანო.

**ინტერი-ლაციო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ტიაგო მოტა (ინტერი).

**ტრავმა:** მუნტარი, სტანკოვიჩი, ფორლანი - კანა, კოზაკი, მაკინვა, მაური, დიასი, ერნანესი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 10 | 8 | 0 | 28-11 | 38 |
| 2. მილანი | 18 | 11 | 4 | 3 | 37-17 | 37 |
| 3. უდინეზე | 18 | 10 | 5 | 3 | 26-13 | 35 |
| 4. ლაციო | 18 | 9 | 6 | 3 | 26-17 | 33 |
| 5. ინტერი | 18 | 10 | 2 | 6 | 28-19 | 32 |
| 6. ნაპოლი | 18 | 7 | 7 | 4 | 33-20 | 28 |
| 7. რომა | 17 | 8 | 3 | 6 | 23-19 | 27 |
| 8. ჯენოა | 18 | 7 | 3 | 8 | 22-29 | 24 |
| 9. კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 14-20 | 23 |
| 10. კალიარი | 18 | 5 | 7 | 6 | 16-18 | 22 |
| 11. კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 20-25 | 22 |
| 12. პარმა | 18 | 6 | 4 | 8 | 24-32 | 22 |
| 13. ფიორენტინა | 18 | 5 | 6 | 7 | 18-16 | 21 |
| 14. პალერმო | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 15. ატალანტა | 18 | 6 | 8 | 4 | 23-23 | 20 |
| 16. ბოლონია | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 17. სიენა | 18 | 4 | 6 | 8 | 19-19 | 18 |
| 18. ჩეზენა | 18 | 4 | 3 | 11 | 12-25 | 15 |
| 19. ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 18-34 | 12 |
| 20. ნოვარა | 18 | 2 | 6 | 10 | 18-35 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 13 – დი ნატალე (უდინეზე); 12 - დენისი (ატალანტა), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 11 – კავანი (ნაპოლი); 10 - კლოზე (ლაციო); 9 - იოვეტიჩი (ფიორენტინა).

# მთავარი ინტრიგა მეაცაზე

## ლიდერს ბერგამოში ბრძოლას ჰპირდებიან

XIX ტურის შეხვედრა „ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართება, სადაც ერთმანეთის პირისპირ სატურნირო ცხრილში მეოთხე და მეხუთე ადგილზე მყოფი გუნდები წარსდგებიან. ცხრილსაც რომ თავი დავანებოთ, „ლაციო"-"ინტერის" ჯახზე გვაქვს საუბარი, რაც ყოველთვის საინტერესოა და გამონაკლისი არც კვირის პაექრობა იქნება. მით უმეტეს, მილანურმა გრანდმა შესანიშნავი ტემპი აკრიფა და უკვე ცხადზე ცხადია, რომ სკუდეტოს უმიზნებს. ამ დროს, „ბიანკოჩელესტეს" თავისი ამოცანები აქვს, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურს, სადაც დიდი ალბათობით ერთადერთი ვაკანტური ადგილია დარჩენილი - „მილანი" და „იუვენტუსი" სამეულს ქვემოთ პრაქტიკულად წარმოუდგენელია, აი მესამე ადგილისთვის კი რომაელები „უდინეზესთან" და „ინტერთან" აპირებენ ჭიდაობას. მოკლედ, კვირას დიდი ჯახია და წესით, მეაცაზე ძალიან უნდა ჩამოცხეს.

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, **კლაუდიო რანიერი** 4-4-1-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტოს** ეულად გაამწესებს. ვერ გეტყვით, საიდან ასეთი ვარაუდი, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორიტეტული გამოცემა სწორედ ასეთ პროგნოზს აკეთებს. მილიტოს უკან წესით **ვესლი სნეიდერი** უნდა გაისარჯოს, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და კვირის პაექრობას სრულ მზადყოფნაში ხვდება. ჰოლანდიელს ოთხი ნახევარმცველი გაუმაგრებს ზურგს: **ხავიერ ძანეტი, ანდრეა პოლი, ესტებან კამბიასო** და **რიკი ალვარესი**. ვნახოთ, რა გამოვა ამ ყველაფრისგან.

**ედუარდო რეიას** საკმაოდ დიდი დანაკლისი აქვს და მარტო ის რად ღირს, რომ ტრავმის გამო შეხვედრას **ერნანესი** გამოტოვებს. ბრაზილიელის არყოფნაში, ნახევარდაცვას **ლულიჩი, მათუზალემი, ლედესმა** და **გონსალესი** გაამაგრებენ, წინა ხაზზე კი **მიროსლავ კლოზეს ტომაზო როკი** შეუწყვილდება. რანიერისგან განსხვავებით, რეია ნაცად ტაქტიკას დაეყრდნობა და ფეხბურთელებს 4-4-2 სქემით განალაგებს.

საინტერესო მატჩი გაიმართება ბერგამოში, სადაც ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ჩადის. „ატალანტამ" ბოლო დროს აშკარად უკლო თამაშს და „იუვენტუსთან" შეეცდება ნავსის გატეხვას. ამაზე წინასამატჩო პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა **სტეფანო კოლანტუონომ** ისაუბრა: *„ძალიან კარგია, რომ ჩემპიონატის ლიდერს ვხვდებით, რადგან ეს შანსს გვაძლევს შავი პერიოდი უკან მოვიტოვოთ. „იუვენტუსის" დამარცხება საკუთარი თავის რწმენას დაგვიბრუნებს და ამიტომ მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა ვიღონოთ. მეტოქე პირველი ნომრიდან შეეცდება თამაშს, თუმცა მოედნის ცენტრში იოლად არაფერს დავთმობთ. ვპირდები გულშემატკივრებს, რომ „ატალანტა" ბოლომდე იბრძოლებს".*

„გაძეტას" ვარაუდით, **ანტონიო კონტე** 4-3-3 სქემას გამოიყენებს და შეტევაში შემდეგ სამეულს გაამწესებს: **მირკო ვუჩინიჩი, მარკო ბორიელო, სიმონე პეპე**. დიახ, თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, **ალესანდრო მატრიც** სათადარიგოთა სკამზე დარჩება და მისი სეხნია **დელ პიეროც**. ვნახოთ, რამდენად გამართლდება პროგნოზი და თუ გამართლდა, რამდენად კარგად შეუტევს მატრი-დელ პიეროს გარეშე „იუვენტუსი".

„მილანი" „ნოვარას" შეეჭიდება, გუნდს, რომელთანაც შუა კვირაში 120-წუთიანი სათასო ჯახი გადაიტანა. თუ თასზე გუნდებმა „სან სიროზე" ითამაშეს, ამჯერად შეხვედრა „ნოვარას" საშინაო არენაზე გაიმართება და წესით, „მილანს" კიდევ უფრო უნდა გაუჭირდეს... თუმცა, ფეხბურთში რომ ასე მარტივად არ არის საქმე და ყველაფერი ლოგიკას არ ექვემდებარება, ესეც ცხადზე ცხადია. მოკლედ, ნოვარაში ან ბრძოლა გაჩაღდება, ან შეიძლება სტუმრებმა შედარებით იოლად მოიგონ - „მილანს" ამის პოტენციალი ნამდვილად შესწევს.

**მასიმილიანო ალეგრი** ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს და თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოს** ტანდემს გაამწესებს. სავარაუდოდ, ფორვარდთა უკან **ურბი ემანუელსონი** გაირჯება და იქნებ ამჯერად მაინც ქნას რამე სახეირო. ძირითადში მოიაზრება **ალექსანდერ მერკელიც**, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა მილანურ გრანდს. გერმანელთან ერთად, შუა ხაზს **მარკ ვან ბომელი** და **ანტონიო ნოჩერინო** გაამაგრებენ. „ნოვარას" მწვრთნელი იქადნება, „მილანს" დიდ ბრძოლას გავუმართავთო და თავდასხმისთვის ორ ახალწვეულს, **ჯუზეპე მასკარას** და **ანდრეა კარაჩოლოს** ამზადებს. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაშ ასე:** ზამთრის შესვენება გერმანიაშიც დამთავრდა, ბუნდესლიგა ხუთკვირიანი პაუზის შემდეგ განახლდა. შემოდგომის ჩემპიონმა „ბაიერნმა“ გუშინ მიონხენგლადბახში ითამაშა, რეკორდმაისტერის კონკურენტები კი დღეს (შალკე-შტუტგარტი) და ხვალ (ჰამბურგი-ბორუსია /დ/) იასპარეზებენ. საკმაოდ საინტერესო უნდა გამოვიდეს ცხრილის შუა ნაწილში მყოფი გუნდების, „ჰოფენჰაიმისა“ და „ჰანოვერის“ დუელიც, ასევე ბრძოლები გადარჩენისთვის ორი მწვრთნელის დებიუტით: „ფრაიბურგი“-„აუგსბურგი“, „ნიურნბერგი“-„ჰერტა“. ყურადღების ცენტრშია ფელიქს მაგათის მიერ ახლებურად სტრუქტურირებული „ვოლფსბურგიც“ (კიოლნთან). „ვერდერი“ კაიზერსლაუტერნში ჩადის, ტურს კი კვირას საღამოს „ლევერკუზენისა“ და „მაინცის“ ჯახი დახურავს.

### გუშინ

**გლადბახი-ბაიერნი 3:1**

**გლადბახი (4-4-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, ბრაუერსი, დაემსი - ჰერმანი (89. მარქსი), ნორდტვაიტი, ნოიშტადტერი, არანგო - როისი (90. ლეკიე), ჰანკე (81. კამარგო).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ბოატენგი (66. რაფინია), ვან ბუიტენი (76. გუსტავო), ბადშტუბერი, ლამი - ტიმოშჩუკი (56. ალაბა), შვაინშტაიგერი - რობენი, მიულერი, კროოსი - გომესი.

**გოლები:** 1:0 როისი (11), 2:0 ჰერმანი (41), 3:0 ჰერმანი (71), 3:1 შვაინშტაიგერი (76)

**გაფრთხილება:** არანგო

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 9-12 (5-6); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 54 047

### დღეს

**შალკე-შტუტგარტი 18:30**

**პირველ წრეში:** 0:3

**დისკვალიფიკაცია:** ჯონსი (შალკე)

**ტრავმა:** ფერმანი, ჰოლტბი, ყენია, კლუგე, ფარფანი – აუდელი, გენტნერი

**ნიურნბერგი-ჰერტა 18:30**

**პირველ წრეში:** 1:0

**დისკვალიფიკაცია:** ჩენდლერი - რაფაელი

**ტრავმა:** გონსალესი, იუდტი, კლოზე, ნილსონი, პინოლა, ბალიტში – ფრანცი, მიატოვიჩი, რუკავიტსია

**ფრაიბურგი-აუგსბურგი 18:30**

**პირველ წრეში:** 2:2

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მუიჯა, შუსტერი – ბელინგჰაუზენი, ბა, მორავეკი

**ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:2

**დისკვალიფიკაცია:** კომპერი, ვორსა (ორივე ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** იაისლე – კ. შულცი, ანდრეასენი, კარლიტოსი, ჰაუგერი, პინტუ

**ვოლფსბურგი-კიოლნი 18:30**

**პირველ წრეში:** 3:0

**დისკვალიფიკაცია:** სერენო (კიოლნი)

**ტრავმა:** ჰიტცლშპერგერი, სისოკო, ლაკიჩი, მანჯუკიჩი – ბუხტმანი, პეტიტი, ჩიჰი

**კაიზერსლაუტ.-ვერდერი 21:30**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** შეხტერი – ბოროვსკი, ჰანტი

**ტრავმა:** იორგენსენი – მილიტცი, ნალდო, ვოლფი, ავდიჩი

### ხვალ

**ჰამბურგი-ბორუსია (დ) 18:30**

**პირველ წრეში:** 1:3

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ტიორე, ბერგი – ლანგერაკი, ფელიპე სანტანა, კოხი, გიოტცე

**ლევერკუზენი-მაინცი 20:30**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ადლერი, ბარნეტა, ორტეგა, რენატო, სემი – გოპკო, კირხჰოფი, სვენსონი, ივანშიტცი, რისსე, შტიბერი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 12 | 1 | 5 | 44-13 | 37 |
| 2. ბორუსია (მ) | 18 | 11 | 3 | 4 | 28-12 | 36 |
| 3. ბორუსია (დ) | 17 | 10 | 4 | 3 | 35-12 | 34 |
| 4. შალკე | 17 | 11 | 1 | 5 | 38-22 | 34 |
| 5. ვერდერი | 17 | 9 | 2 | 6 | 30-31 | 29 |
| 6. ლევერკუზენი | 17 | 7 | 5 | 5 | 22-22 | 26 |
| 7. ჰანოვერი | 17 | 5 | 8 | 4 | 20-24 | 23 |
| 8. შტუტგარტი | 17 | 6 | 4 | 7 | 23-20 | 22 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-19 | 22 |
| 10. კიოლნი | 17 | 6 | 3 | 8 | 27-35 | 21 |
| 11. ჰერტა | 17 | 4 | 8 | 5 | 24-26 | 20 |
| 12. ვოლფსბურგი | 17 | 6 | 2 | 9 | 23-34 | 20 |
| 13. ჰამბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 21-27 | 19 |
| 14. მაინცი | 17 | 4 | 6 | 7 | 22-29 | 18 |
| 15. ნიურნბერგი | 17 | 5 | 3 | 9 | 17-28 | 18 |
| 16. კაიზერსლ. | 17 | 3 | 7 | 7 | 13-21 | 16 |
| 17. აუგსბურგი | 17 | 3 | 6 | 8 | 15-28 | 15 |
| 18. ფრაიბურგი | 17 | 3 | 4 | 10 | 21-39 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 – გომესი (ბაიერნი); 15 – ჰუნტელაარი (შალკე); 14 – პოდოლსკი (კიოლნი); 12 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), პისარო (ვერდერი); 10 – რაული (შალკე), როისი (ბორუსია მ.

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის წინ

# დორტმუნდი საფრთხეშია!

## ჰამბურგი ფინკის ხელში დაუმარცხებელია, ბორუსიას გიოტცე არ ეყოლება და შეიძლება, გამოუცდელი მეკარით ითამაშოს



მარიო გიოტცემ ხვალ საღამომდე „ფეხზე ადგომა“ რომც მოასწროს, მისი თამაში სარისკო იქნება

### იძიებს შალკე შურს?

მთელი გელზენკირხენი შურისძიების სურვილითაა შეპყრობილი, რადგან „შალკე“ პირველ ტურში შტუტგარტში 0:3 განადგურდა. სეზონის სტარტზე განცდილი კრახისთვის ჯავრის ამოყრას „ხუმარების“ მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი ჯერმეინ ჯონსის** (დისკვალიფიკაცია), **ლუის ჰოლტბისა** და **ჯეფერსონ ფარფანის** (ორივე დაშავებულია) შეეცდება. ამ უკანასკნელის არყოფნის გამო, ახალწვეულ **ჩინედუ ობასი ოგბუკეს** პირველივე შეხვედრაში დებიუტი გარანტირებული აქვს. ზოგადად, „შალკეში“ ყველა ოპტიმისტურადაა განწყობილი, რადგან გელზენკირხენელები მესამე ადგილზე არიან. გოლეადორ **კლაას-იან ჰუნტელაარს** (15 გოლი პირველ წრეში) კი სულაც იმის სჯერა, რომ „შალკე“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

რაც შეეხება „შტუტგარტს“: **ბრუნო ლაბადიას** გუნდი პირველ წრეში არასტაბილური იყო და გადაჭრით ვერ ვამბობთ, რა შეუძლიათ შვაბებს. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: „შტუტგარტი“ მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდება. გელზენკირხენში ლაბადია წამყვან ნახევარმცველ **გენტნერს** ვერ გამოიყენებს, კითხვის ნიშნის ქვეშაა **ოკაზაკის** ასპარეზობაც. ალსანიშნავია ისიც, რომ „შტუტგარტს“ ახლო მომავალში საკმაოდ რთული მატჩები ელის (ერთ კვირაში „გლადბახს“ უმასპინძლებს, მერე კი „ლევერკუზენში“ ჩადის) და სწორედ ამ სამმა ტურმა უნდა დაგვანახოს, რა შეუძლია ლაბადიას გუნდს სინამდვილეში.

### ბრძოლა გადარჩენისთვის: შტრაიხისა და სკიბეს დებიუტები

„ყველაფერი, ან არაფერი!“ - აი, ასეთია „ფრაიბურგისა“ (13 ქულა) და „აუგსბურგის“ (15) დევიზი ამ ტურში, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ისინი ერთმანეთს ხვდებიან. „ფრაიბურგში“ **პაპის დემბა სისეს** ამბავი გადაწყვეტილია: ბრაისგაუელთა მთავარი გოლეადორი აფრიკის თასის დასრულებისთანავე „ნიუკასლში“ გადავა. მას „ფრაიში“ ექს-კიოლნელი **ფრაისი** შეცვლის. გუნდის ახალი მწვრთნელი **კრისტიან შტრაიხი** თავის სადებიუტო შეხვედრაში ამ ფორვარდს ალბათ ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს. ამ სპეციალისტის მთავარი ამოცანა მეორე წრეში დაცვის ხაზის დასტაბილურებაცაა, რადგან „ფრაიბურგმა“ სეზონის პირველ ნახევარში 39 გოლი გაუშვა. სხვათა შორის, გუნდი დაცვაშიც გაძლიერდა – ახალი მარცხენა მცველით, დანიელი **ლუმბით**. ისე, რაც არ უნდა იყოს, „ფრაიბურგისთვის“ „აუგსბურგთან“ გამარჯვებას ფაქტობრივად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თავად აუგსბურგელები კი ფრითაც კმაყოფილები დარჩებიან.

„ნიურნბერგის“ მთავარ მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგს** „ჰერტასთან“ პრინციპული მატჩის წინ საკადრო პრობლემები აქვს. ფრანკებს განსაკუთრებით დაცვაში, კერძოდ, დაცვის მარჯვენა ფლანგზე უჭირთ. ახალწვეული **ბალიტში** ტრავმირებულია და ვერ იასპარეზებს, მეორე შენაძენი **ჰლუშეკი** კი სრულ მზადყოფნაშია და ლოგიკურად, ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. „ჰერტაში“ კი ახალი მწვრთნელის, **მიხაელ სკიბეს** დებიუტი შედგება. ბერლინელები დისკვალიფიცირებულ **რაფაელს** ვერ გამოიყენებენ, თუმცა საკადრო პრობლემები სკიბესაც არ აკლია. მაგალითად, დაცვის ცენტრში მხოლოდ ერთი, **ჰუბნიკისა** და **იანკერის** დუეტის ვარიანტი აქვს. **მიატოვიჩის** არყოფნაში კი, გუნდის კაპიტანი **ლელი** იქნება.

### შეჭამენ მგლები თხებს?

დაცვის ცენტრში სერიოზული პრობლემები აქვს „ჰოფენჰაიმსაც“, რადგან „ჰანოვერთან“ ძირითადი შემადგენლობის ცენტრალური უკანახაზელები, **კომპერი** (დისკვალიფიკაცია) და **ვორსა** (აფრიკის თასზეა) ვერ ითამაშებენ. მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** სასტარტოში სავარაუდოდ **ვესტერგაარდისა** და **ვილიამსის** წყვილს გაამწესებს. აფრიკის თასმა წამყვანი ფეხბურთელები „ჰანოვერსაც“ დააკლო – **ჰაგი** და **ია კონანი**. პირველს ან ახალგაზრდა **ავევორი** შეცვლის, ანაც გამოცდილი **ეგიმანი**, უკანასკნელი კი ძირითადში ისედაც არ მოიაზრებოდა. საინტერესოა, ვის ვიხილავთ მარჯვენა მცველის პოზიციაზე – **ჩერუნდოლოს** თუ **ჩაჰედს**.

წესით და რიგით, „ვოლფსბურგმა“ მეორე წრეში პირველზე გაცილებით უკეთ უნდა იასპარეზოს: ჯერ ერთი, **ფელიქს მაგათის** გუნდები სეზონის მეორე ნახევარში ყოველთვის კარგად ასპარეზობენ და ესეც რომ არ იყოს, ფელიქსმა იანვარში 8 (!) ახალი ფეხბურთელი შეიძინა. ამათგან, **ირჟაჩეკს** და **ვიერინიას** ძირითადში ადგილი ფაქტობრივად განაღდებული აქვთ. ალსანიშნავია, რომ პირადად მაგათს „კიოლნთან“ 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. „თხების“ თავკაცი **სტალე სოლბაკენი** კი გახარებულია იმის გამო, რომ თავდამსხმელი **მილოვოე ნოვაკოვიჩი** გამოუჯანმრთელდა. ასე რომ, თუ **ლუკას პოდოლსკიმ** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, „კიოლნი“ უფორვარდოდ არ დარჩება.

### ვერდერი სტუმრად ბეტცენბერგზე

საღამოს „კაიზერსლაუტერნი“ „ვერდერს“ უმასპინძლებს. „წითელმა ეშმაკებმა“ თავდასხმა გააძლიერეს (**სვიერჩოკი, ვაგნერი**). სანდრო ვაგნერის შემთხვევაში, რომელიც პფალცელებმა „ვერდერიდან“ ინათხოვრეს, განსაკუთრებული ვითარებაა: გუნდები შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი „ვერდერის“ წინააღმდეგ არ ითამაშებდა. ბრემენელთა სასტარტო შემადგენლობაში 18 წლის **თრაიბულის** გამოჩენაა სავარაუდო - მწვრთნელი **თომას შააფი** ამ ფეხბურთელს ბოლო დროს მაგრად აქებს. საინტერესოა ისიც, რომ „ლაუტერნს“ ყველაზე ცუდი თავდასხმა ჰყავს (მხოლოდ 13 გოლი პირველ წრეში), „ვერდერს“ კი ერთ-ერთი უსუსტესი დაცვა (31 გაშვებული გოლი). თანაც, „მუსიკოსები“ დღეს დაცვის ბურჯს, ბრაზილიელ **ნალდოს** ვერ გამოიყენებენ.

### გაგრძელდება ფინკის სერია?

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი და „ბაიერნის“ უმთავრესი კონკურენტი დორტმუნდის „ბორუსია“ ხვალ ჰამბურგში თამაშობს. ჰამბურგელებს ექს-დორტმუნდელი **მლადენ პეტრიჩი** გამოუჯანმრთელდათ, გუნდის მთავარ მწვრთნელ **ტორსტენ ფინკს** კი რვამატჩიანი წაუგებელი სერიის (2 მოგება, 6 ფრე) გაგრძელება უნდა. თუმცა პეტრიჩის დაბრუნება ჩრდილოგერმანული კლუბისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია, რადგან „დორტმუნდს“ ძალიან სტაბილური დაცვა (მხოლოდ 12 გაშვებული გოლი) ჰყავს.

BVB-ს კი უკვე **ნევენ სუბოტიჩიც** მწყობრში ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ფელიპე სანტანას** სავარაუდოდ ისევ სკამზე მოუწევს დაბრუნება. „დორტმუნდის“ დამრიგებელი **იურგენ კლოპი** იმითაც კმაყოფილია, რომ ნახევარდაცვაში **სვენ ბენდერი** გამოუჯანმრთელდა. სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვერ ითამაშებს „ბორუსიას“ „მთავარი მარგალიტი“ **მარიო გიოტცე**, რომელმაც ტრავმის ბოლომდე მოშუშება ვერ მოასწრო და რომც მოასწროს, მისი მოედანზე გაყვანა საკმაოდ დიდ რისკთან იქნება დაკავშირებული.

დორტმუნდელებს სხვა პრობლემაც აქვთ: კითხვის ნიშნის ქვეშაა ძირითადი მეკარის, **რომან ვაიდენფელერის** თამაში და რაკი სათადარიგო კიპერი **მიტჩელ ლანგერაკიც** დაშავებულია, შესაძლოა, „ჰამბურგთან“ BVB-ს კარში მოყვარულთა გუნდის გამოუცდელი მეკარე, 22 წლის **იოჰანეს ფოხერი** ვიხილოთ.

მე-18 ტურის უკანასკნელი მატჩი კი ხვალ საღამოს, „ლევერკუზენსა“ და „მაინცს“ შორის გაიმართება. „ბაიერის“ ბოსები პირველი წრით (მე-6 ადგილი) უკმაყოფილოები არიან და რომ არა ჩემპიონთა ლიგაში მიღწეული წარმატება (გუნდი მერვედფინალში გავიდა), მწვრთნელი **რობინ დუტი** უკვე დიდი ხნის გაგდებული იქნებოდა. „ფარმაცევტები“ ცუდ ფორმაში მყოფ „მაინცთან“ სამი ქულის აღებას გეგმავენ. „კარნავალელთა“ თავკაც **თომას ტუხელს** კი ფორვარდ **ადამ სალაის** გამოჯანმრთელება ახარებს – ამ უკანასკნელს „მაინცის“ ძირითადში ვიხილავთ.

ვერდერი

# ტიმის ულტიმატუმი!

## ვიზეს ბრემენში დარჩენა უნდა, მაგრამ...



რამდენიმე დღის წინ „ვერდერის“ მეკარე **ტიმ ვიზემ** განაცხადა, მზად ვარ, ბრემენულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გავაფორმო და იმედი მაქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელები მოლაპარაკებების დაწყებას მალე შემომთავაზებენო. როგორც ჩანს, „მუსიკოსების“ შეფები ტიმს არ გამოეხმაურენ, რადგან ვიზემ მათზე ზეწოლა გააძლიერა – გუშინ „კიკერს“ უთხრა, ძალიან ბევრი შემოთავაზება მაქვს და მინდა, რომ ყველაფერი მალე გაირკვესო. „ვერდერის“ პრობლემა იმაშია, რომ ვიზე საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება მხოლოდ მას მერე იქნება შესაძლებელი, როცა კარგად გამოიკვეთება, ახერხებს თუ არა ბრემენული კლუბი ჩემპიონთა ლიგის ან, მინიმუმ ევროპა ლიგის საგზურის მოპოვებას.

*„ხელმძღვანელებს კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მოუმართავს. შესაბამისად, არ ვიცი, რა იქნება ზაფხულში. ფაქტია, რომ აპრილის დასაწყისამდე ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, ახალი კლუბის ძებნა აქტიურად დავიწყო. ჩემს მრჩეველს რამდენიმე შემოთავაზება აქვს, მაგრამ ჯერჯერობით მათი განხილვა არ დამიწყია,“* - აცხადებს ვიზე „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ვიზე „ვერდერში“ 2005 წელს „კაიზერსლაუტერნიდან“ უფასოდ გადავიდა და ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

პარი სენ-ჟერმენი



# ანჩელოტი არ გამორიცხავს

"პარი სენ-ჟერმენის" სატრანსფერო მიზნებთან დაკავშირებით ბოლო 7-8 თვის განმავლობაში იმდენი ფეხბურთელის გვარი დასახელდა, რომ მსგავს პრეცედენტს მეორეს ვერც ვიხსენებთ. კლუბის სახელი ფრანგული სპორტული გამოცემების პირველი გვერდებიდან დიდი ხანია არ ჩამოსულა. ამჟამად "ლურჯ-წითლების" სახელს ორ მეგავარსკვლავს უკავშირებენ. ერთი მხრივ, მათ "მანჩესტერ სიტიდან" **კარლოს ტევესის** გადაბირება სურთ, პარალელურად კი "მილანიდან" **ალეშანდრე პატოს** შეძენაზეც არ აუღიათ ხელი, ოღონდ უკვე მომდევნო სეზონისთვის. მართალია, ამ უკანასკნელმა საფრანგეთში კარიერის გაგრძელება იუარა, მაგრამ მოვლენათა ამგვარ განვითარებას სამომავლოდ მაინც არ გამორიცხავს პარიზელთა მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი**. *"პატოსთან დაკავშირებით უცნაური ამბავია. ჩვენ ჯერ ბოლომდე არც კი ვიცით, თუ რა მოხდა,* - უთხრა "გაძეტა დელო სპორტს" 52 წლის სპეციალისტმა. – *შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ იანვარში პატოს ტრანსფერის განხილვას აღარ დავუბრუნდებით. თუმცა, რა მოხდება მომავალში ნამდვილად არ ვიცი".*

იგივე "გაძეტა დელო სპორტი" ირწმუნება, რომ **კარლოს ტევესის** "პარი სენ-ჟერმენში" ტრანსფერი მასსა და "მანჩესტერ სიტის" შორის უკვე შეთანხმებულია და ამ ისტორიას წერტილი მალე დაესმება. არგენტინელს სათამაშო პრაქტიკა სექტემბრის შემდეგ არ ჰქონია. გაზეთის მტკიცებით, პარიზელები ფეხბურთელში 36-37 მილიონ ევროს გადაიხდიან. გაურკვეველია მხოლოდ ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის დეტალები. პსჟ ტევესს 7 მილიონ ევროს სთავაზობს, კარლოსის აგენტი **კია ჯურაბჩიანი** კი 10 მილიონს ითხოვს. ანჩელოტიმ რამდენიმე დღის წინ უკვე განაცხადა, თუკი არგენტინელთან ხელფასზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, კლუბს სათადარიგო ვარიანტებიც აქვსო. ვინ იგულისხმა, მწვრთნელს არ დაუკონკრეტებია.

ტევესის შესახებ კომენტარი გააკეთა მისმა ამჟამინდელმა დამრიგებელმა **რობერტო მანჩინიმაც**. 47 წლის იტალიელმა სპეციალისტმა ისურვა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობას რაც შეიძლება მალე დაესვას წერტილი. *"ურთიერთობის განწყვეტა ორივე მხარისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება. ზუსტად არ ვიცი, ამჟამად სად უნდა მას კარიერის გაგრძელება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ "მილანთან" მოლაპარაკება არ უწარმოებია. "ინტერთან" და "პარი სენ-ჟერმენთან"? შეიძლება, აი, "როსონერის" კი გამოვრიცხავ. "სიტიში" ოდესმე კარლოსის დაბრუნება კი აბსოლუტურად გამორიცხულია,"* - უთხრა მან "გაძეტას".

აქვე გეტყვით, რომ "ფრანს ფუტბოლის" ცნობით, "ინტერი" და "პარი სენ-ჟერმენი" უკვე შეთანხმდნენ **ტიაგო მოტას** ტრანსფერზე. ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი ფეხბურთელი "პარკ დე პრენსზე" უახლოეს ხანებში გადავა სათამაშოდ. "ნერაძური" 29 წლის ფეხბურთელში 10 მილიონ ევროს მიიღებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## დროგბა რჩება

"ჩელსის" 33 წლის თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** უარი თქვა ყველანაირ მოლაპარაკებაზე და გადაწყვიტა, რომ სეზონი "ჩელსიში" დაასრულოს. ოთხშაბათს ინგლისურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ კოტდივუარელმა "შანხაი შენხუასთან" პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა. ისიც კი დაიწერა, რომ 3 წლის განმავლობაში ვეტერანი კვირეულ 267-ათასიან ანაზღაურებას მიიღებდა, მაგრამ ინფორმაცია ცრუ აღმოჩნდა. *"მე ჯერ კიდევ ვიღებ სიამოვნებას დიდი ფეხბურთის ციებ-ცხელებისგან, ვნებისგან, იმ ზეწოლისგან, რაც მას თან ახლავს და რასაც მოედანზე მუდმივად ვგრძნობ. სწორედ ამიტომ მიყვარს ჩემი პროფესია ასე ძალიან. მერე რა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ეს ყველაფერი ცოტა მომაკლდა? ეს არ ნიშნავს, რომ "ჩელსიდან" გავრბივარ, ყოველ შემთხვევაში არ ნიშნავს ივნისამდე,"* – განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება.

## კაბანიასი ფეხბურთს უბრუნდება

პარაგვაის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ **სალვადორ კაბანიასს** ფეხბურთი 2010 წლის იანვრის შემდეგ აღარ უთამაშია. მიზეზი ის არის, რომ სალვადორს შეიარაღებული პირები ასუნსიონის ერთ-ერთი ბარის ტუალეტში დაესხნენ თავს და ცეცხლსასროლი იარაღიდან თავში ესროლეს. პარაგვაელი სამართალდამცავების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ შეუწყვეტიათ კრიმინალთა დევნა და გასულ წელს მათი დაკავებაც მოახერხეს. გადარჩებოდა თუ არა კაბანიასი, არავის ეგონა, მაგრამ სპორტსმენის ჯანსაღმა ორგანიზმმა ყველაფერს გაუძლო და გონებაზე რამდენიმე კვირის შემდეგ მოვიდა. არათუ გადარჩა, არამედ ფეხზეც დადგა და ორი წლის თავზე პროფესიულ ფეხბურთში დაბრუნებასაც ცდილობს. 31 წლის ფეხბურთელი პირველ ეტაპზე პარაგვაის მესამე დივიზიონის "12 დე ოქტუბრეში" ითამაშებს, იქ, სადაც მისი კარიერა დაიწყო. *"ამ მომენტს ჩვენ დიდი ხანია ველოდით,* - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა **ლუის სალინასმა** ფეხბურთელის პრეზენტაციაზე. – *ვიცი, რომ ეს სურვილი მასაც ჰქონდა, რადგან, როგორც ფეხბურთელი, ის სწორედ ჩვენთან დაიბადა".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ფიფა

# პელე: ახლა კარგი დროა...

## ...ფიფა გაიწმინდოს, თავიდან ფეხებამდე!

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** უკვე ყველა მხრიდან უტევენ - კრიტიკოსთა რიგებს ფეხბურთის მეფე **პელე** შეემატა. ბრაზილიელ ლეგენდასთან ინტერვიუ ფრანგულმა „ლე მონდმა" ჩაიწერა. მას ბრაზილიურ ფეხბურთში გამეფებულ კორუფციაზე შეეკითხნენ და, აი, რა უპასუხა გაზეთს პელემ: *„გაწმენდა ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არა მხოლოდ ბრაზილიური ფეხბურთის. ახლა ძალიან კარგი დროა, დაიწყოს ფიფას გაწმენდა, თავიდან ბოლომდე".*

ბოლო წლებია ფიფა და კორუფცია ლამის სინონიმებად იქცა, ბლატერის მმართველობა კი უკვე ბევრ ეჭვს ბადებს, მიუხედავად თითქოსდა განხორციელებული მკაცრი ზომებისა - აზიური ფეხბურთის ყოფილი ბოსი **მოჰამედ ბინ ჰამამი** სამუდამოდ ჩამოცილებულია ფეხბურთს, მას მერე, რაც მექრთამეობაში ამხილეს.

სხვათა შორის, ფოტო, რომელსაც გთავაზობთ, სადაც ბლატერსა და პელეს შორის კოლუმბიელი მომღერალი **შაკირაა**, სულ ახალია - 9 იანვრის...

სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა (1958, 1962, 1970) კბილი **ლეო მესისაც** გაჰკრა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჯერ ძალიან ადრეა არგენტინელს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ვუწოდოთ: *„ის დიდი ფეხბურთელია, როცა 1 283 გოლს გაიტანს, მოიგებს სამ მუნდიალს, მერე ვილაპარაკოთ მის საუკეთესოობაზე".*



ბლატერსა და პელეს შორის შაკირამ არა და... შავმა კატამ კი გაირბინა

# ამასობაში ბლატერი პელეს სამშობლოს უტევს

## რუსეთი უფრო მზადაა, ვიდრე ბრაზილია!



ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** სკანდალური განცხადება გააკეთა - ის ძალიან უკმაყოფილოა ბრაზილიის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობით და შიშობს, რომ ბრაზილია ხეირიანად ვერ უმასპინძლებს მუნდიალს, რომელიც 2014 წელს უნდა გაიმართოს. რაც მთავარია, ბლატერმა ეს განცხადება რუსეთში ვიზიტისას გააკეთა: *„ვფიქრობ, რომ აქ საქმეები წინ არის წასული და ბევრი რამ მაკმაყოფილებს. ჩემი აზრით, რუსეთი ახლა უფრო მეტად არის მზად მუნდიალის სამასპინძლოდ, ვიდრე ბრაზილია. ჩვენ ბრაზილიელთა მზადებაში გაცილებით მეტი პრობლემა შევნიშნეთ",* - განაცხადა ფიფას თავკაცმა. წარმოიდგინეთ, ბრაზილიის მუნდიალი კარს მოგვადგა, რუსეთმა კი ტურნირს 2018 წელს უნდა უმასპინძლოს!

ბლატერის აზრით, ბრაზილიელებს ჯერ ვერ მოუგვარებიათ სატრანსპორტო პრობლემები, აეროპორტები მოძველებულია, გზები არ ვარგა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხთა დიდი ნაწილი ისევ პრობლემატურია. შეგახსენებთ, რომ **პელე** 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მსოფლიო ელჩია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის წინ

# ნაკლასიკოევს... კლასიკომდე

## პირველი ტურით პირველი წრე მთავრდება

**დღეს**

**ესპანიოლი-გრანადა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლოპესი (გრანადა)
**ტრავმა:** ალვარესი, ს. გარსია, მარკესი, მატიონი, ა. ვასკესი, პანდიანი (?) - ხუანი, დიახატე, რობერტო, იებდა (?), იგჰალო (?)

**რასინგი-ხეტაფე 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** მუნიტისი (რასინგი)
**ტრავმა:** ფრანსისი - უსტარი (?)

**სოსიედადი-ატლეტიკო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტიაგო (ატლეტიკო)
**ტრავმა:** ილარამენდი (რეალ სოსიედადი)

**ბეტისი-სევილია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარიო - კანუტე
**ტრავმა:** ამაია, პოსუელო, ვადილიო - პეროტი, არმენტეროსი, კასერესი (?), დელ მორალი (?)

**ხვალ**

**ოსასუნა-ვალენსია 15:00**

**ტრავმა:** სოლა, მასუდი, რუბენი, როვერსიო, ეჩაიდე, იბრაჰიმა - ალკასერი, კანალესი, მადურო, მიგელი (?), გუაიტა (?)

**რ/ვალეკანო-მალიორკა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** სენდროსი (მალიორკა)
**ტრავმა:** ლ. ბანგურა, ბოტელიო, პაჩეკო, ბრავო (?) - ლაკრუსი

**მალაგა-ბარსელონა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტულალანი (მალაგა)
**ტრავმა:** ხოაკინი, ბაპტიშტა, რუბენი (?) - აფელაი, ფონტასი, კეიტა, პედრო, ვილია

**ლევანტე-სარაგოსა 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი, ბალესტეროსი (ლევანტე)
**ტრავმა:** ვალდო, ხუანლუ, სუარესი (?), ლოპესი (?) - მატეოსი, ტომასი (?)

**რეალი-ბილბაო 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** აურტენეჩე (ბილბაო)
**ტრავმა:** ხედირა, პეპე, დი მარია - ოსიო, კასტილიო, გურპეგი, გაბილონდო

**ზეგ**

**ვილიარეალი-სპორტინგი 00:00**

**ტრავმა:** კამუნიასი, კატალა, ვაკასო, როსი - სანგოი (?)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 18 | 15 | 1 | 2 | 63-17 | 46 |
| 2. ბარსელონა | 18 | 12 | 5 | 1 | 55-11 | 41 |
| 3. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 28-19 | 34 |
| 4. ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 25-22 | 30 |
| 5. ბილბაო | 18 | 6 | 8 | 4 | 26-19 | 26 |
| 6. ოსასუნა | 18 | 6 | 8 | 4 | 21-30 | 26 |
| 7. სევილია | 18 | 6 | 7 | 5 | 19-19 | 25 |
| 8. მალაგა | 18 | 7 | 4 | 7 | 21-24 | 25 |
| 9. ესპანიოლი | 18 | 7 | 4 | 7 | 18-21 | 25 |
| 10. ატლეტიკო | 18 | 6 | 5 | 7 | 26-27 | 23 |
| 11. ბეტისი | 18 | 7 | 1 | 10 | 21-26 | 22 |
| 12. ვალეკანო | 18 | 6 | 4 | 8 | 21-27 | 22 |
| 13. ხეტაფე | 18 | 5 | 6 | 7 | 18-24 | 21 |
| 14. სოსიედადი | 18 | 5 | 6 | 7 | 17-23 | 21 |
| 15. რასინგი | 18 | 4 | 8 | 6 | 14-21 | 20 |
| 16. მალიორკა | 18 | 4 | 7 | 7 | 16-24 | 19 |
| 17. გრანადა | 18 | 5 | 4 | 9 | 12-23 | 19 |
| 18. სპორტინგი | 18 | 5 | 3 | 10 | 18-30 | 18 |
| 19. ვილიარეალი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-28 | 16 |
| 20. სარაგოსა | 18 | 2 | 5 | 11 | 14-33 | 11 |

**ბომბარდირები:** 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი)

ტურის ცენტრალური მატჩი ერთი კაცისთვის განსაკუთრებული დატვირთვისა იქნება - „რეალის“ 30 წლის კაპიტანი **იკერ კასილიასი** „სამეფო კლუბის“ კარს მე-600-ედ დაიცავს. მხოლოდ 5 ლეგენდარული მადრიდისტა დაიკვეხნის, რომ მეტი უთამაშია: **რაული** (741 თამაში!), **სანჩისი** (709), **სანტილიანა** (645), **ხენტო** (602) და **იერო** (601). იკერს დებიუტი 13 სეზონის წინ ჰქონდა. მას მერე მან გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი, ერთხელ ევროპის სუპერთასი, ოთხჯერ ლა ლიგა, ერთხელ კოპა და 3-ჯერ სუპერკოპა. დამთხვევაც საოცარია, 1999 წლის 12 სექტემბერს ლეგენდარულ გოლკიპერს დებიუტი სწორედ „ბილბაოსთან“ ჰქონდა, ოღონდ, „სან მამესზე“.

კლასიკოს შემდეგ კიდევ ერთხელ გაეხვია სკანდალში პორტუგალიელი **პეპე**, რომელიც „ბარსელონასთან“ მატჩმა სხვა მხრივაც დააზარალა, კუნთი დაიზიანა და ექიმთა დასკვნით, 15-დღიანი დასვენება მოუწევს. ეს პეპეს საშინელ ობსტრუქციას ააცილებს, რაც მას საპასუხო სათასო მატჩში „კამპ ნოუზე“ გამოჩენისას ელოდა. ბევრს არც კი სჯერა, რომ პეპემ ნამდვილად მიიღო ტრავმა. გაირკვა, რომ **ანხელ დი მარია** კიდევ 10 დღეს ვერ გავა მოედანზე, ასე რომ, არგენტინელი ტურსაც გამოტოვებს და საპასუხო კლასიკოსაც. დავუმატოთ ამას **სამი ხედირაც**, რომლის თამაშიც კარგა ხნის წინ გამოირიცხა და ლიდერის საკადრო პრობლემებს სრულად მივიღებთ.

„რეალმა“ განაახლა ვარჯიში, როგორც ჩანს, ჟოზე მოურინიოს „ბარსასთან“ მარცხი მწარედ „მოხვდა“, თუმცა კი ლაპარაკისას არ იმჩნევს. მან „სამეფო კლუბი“ დახურულ კარს მიღმა ავარჯიშა, არც ვიდეოკამერები და არც ფოტოგრაფები არ დაუშვეს, არც რამე სიახლე შესთავაზა „რეალმა“ ესპანურ მედიას.

„რეალის“ ხვალინდელი ოპონენტი ბრწყინვალე ფორმაში შევიდა, 26 ქულით მე-5 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. **მარსელო ბიელსამ**, როგორც იქნა, ისე დაალაგა „ბილბაო“, როგორც მას სურდა. გამოჯანმრთელდა **ფერნანდო ლორენტეც**, რომლის არყოფნაც ბასკებს დიდას ეტყობოდათ: *„ჩემთვის „რეალთან“ თამაში წლის ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირებაა. მინდა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დავამტკიცო, რას წარმოვადგენ“*, - უთხრა „მარკას“ ფერნანდო ლორენტემ, რომლის მთავარი მიზანი ევრო 2012-ზე ესპანეთის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრებაა.

ბასკთა მარჯვენა მცველ **ანდონი ირაოლას** გრიპი ჰქონდა, თუმცა გამოჯანმრთელდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ითამაშებს. დისკვალიფიცირებული მარცხენა მცველის, **იონ აურტენეჩეს** ადგილს **ინიგო პერესი** დაიკავებს. არგენტინელი მწვრთნელი ჩვეულ, 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემას გამოიყენებს.

ჩემპიონს მართლა მძიმე მატჩი ელის ანდალუსიაში. მართალია, **მანუელ პელეგრინის** გუნდი დამაჯერებლად ვერ თამაშობს (ლა ლიგაში 6 ტურია არ მოუგია), მაგრამ „მალაგაში“ ბევრი ვარსკვლავი თამაშობს, რომელთაც ამბიციურობას ვერ დავუკარგავთ. **მარტინ დემიკელისის** აზრით, შესაძლებელია იმის გამოყენება, რომ „ბარსა“ ყველა ფრონტზე იბრძვის და კვირას მოსაგებად ვიბრძოლებთ. გუშინ კლუბმა „ესპანიოლისგან“ შეძენილი **კარლოს კამენი** წარადგინა, რომელიც შეიძლება ამ ტურშივე კარში ვიხილოთ.

არადა, „ბარსა“, როგორც წესი, კარგად თამაშობს კლასიკოს შემდეგ. ეს ბუნებრივიცაა, ბოლო დროს კატალონიელები ხშირად ჯაბნიან „რეალს“ და შემდეგი ტურისთვის აღმაფრენის განწყობას ინარჩუნებენ. სხვათა შორის, **დავიდ ვილიამ** ვარჯიში დაიწყო! ელ გუახემ „ფეისბუქზე“ ტრენაჟორ „ველოსიპედზე“ თავისი ვარჯიშის ვიდეორგოლი დადო, თუმცა ბუნებრივია, ფორვარდს ჯერ კიდევ ბევრი უკლია გამოჯანმრთელებამდე.



ჟოზე მოურინიომ ყველაფერი დამალა, რეალი საიდუმლოდ ემზადება



ხვალ იკერ კასილიასის „იუბილეა“

ეს ტური ესპანური ფეხბურთის „მენიუში“ ნომერ პირველად იყო შეტანილი, მაგრამ შარშანდელი ლოკაუტის გამო გადაიდო. ასე რომ, ცოტა უცნაურია, მაგრამ „პირველი“ ტური ლა ლიგის პირველ წრეს ასრულებს. კიდევ ერთი რამით იქნება ტური გამორჩეული, ის ორ სათასო კლასიკოს შორის არის „გაჩხერილი“ სენდვიჩივით. ცენტრალური მატჩი ხვალ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება - კლასიკოზე „დაჭრილი“ „რეალი“ ბილბაოს „ატლეტიკს“ მასპინძლობს. მანამდე რამდენიმე საათით ადრე მდევარი „ბარსელონა“ „მალაგას“ სტუმრობს, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს ქულების განიავების უფლება აღარ აქვს, თორემ მართლა ისე მოხდება, როგორც **ჟოზე მოურინიომ** აღიარა: *„მირჩევნია „ბარსას“ ვერც ჩემპიონატში მოვუგო, ოღონდ ჩემპიონი გავხდეო“.*

საინტერესო თამაშების ნუსხა ამით არ ამოიწურება. ასე მაგალითად, „ატლეტიკოს“ ვიზიტი სან სებასტიანში არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული, ალაფერს ვამბობთ „ბეტისისის“ დაბრუნებით აღდგენილ სევილიურ დერბიზე. მესამეადგილოსანი „ვალენსია“ ხვალ ნავარაში მიდის, ტურნირის ერთ-ერთ სენსაცია „ოსასუნასთან“ სათამაშოდ.

კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი


ამ ეპიზოდში პაბლო პიატიმ მესამე გოლი გაიტანა

# ვალენსია, ცალი ფეხით

**ვალენსია-ლევანტე 4:1**

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, რუისი, ალბა - ალბელდა, ტ. კოსტა - პაბლო ერნანდესი (67. ფეგული), ჟონასი (83. ადურისი), პიატი (46. ბანეგა) - სოლდადო.
**ლევანტე (4-3-3):** კ. ნავასი (46. მუნუა) - ვენტა, ბალესტეროსი, კაბრალი, ხუანფრანი - ხ. ტორესი, პალიარდო, იბორა - კონე, როხერი (71. რაფა ხორდა), ბარკერო (11. ელ ჟარი).
**გოლები:** 1:0 ჟონასი (24), 2:0 სოლდადო (31), 2:1 კონე (37), 3:1 პიატი (45), 4:1 ტ. კოსტა (94)

**საპასუხო მატჩები**

24 იანვარი: **მირანდესი-ესპანიოლი.**
25 იანვარი: **მალიორკა-ბილბაო, ბარსელონა-რეალი.**
26 იანვარი: **ლევანტე-ვალენსია.**

ვალენსიური დერბი „მესტალიაზე“ ისეთი ანგარიშით დასრულდა, „ლევანტეს“ ნახევარფინალში გასვლის დიდი იმედები აღარ უნდა ჰქონდეს - „ვალენსია“ ცალი ფეხით ნახევარფინალშია. მასპინძელთაგან გოლები **ჟონასმა, რობერტო სოლდადომ, პაბლო პიატიმ** და **ტინო კოსტამ** გაიტანეს, მაგრამ სტუმარი **არუნა კონეს** გოლი ყველას ერთად სჯობდა. **პაბლო ერნანდესმა** სამი საგოლე პასი მიითვალა.

გამარჯვებულთა 40 წლის თავკაცი **უნაი ემერი** მედიას შეჰპირდა, რომ „ვალენსია“ საპასუხო მატჩსაც მთელი სერიოზულობით მოეკიდება და ძირითად შემადგენლობას გამოიყვანს.

ამბები

## პეპემ მესის ბოდიში მოუხადა

მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა მცველმა **პეპემ** კლუბის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით ბოდიში მოუხადა **ლიონელ მესის**, რომელსაც სათასო მატჩში ნაქცეულს ხელზე დააბიჯა. *„მე ეს ძალით არ გამიკეთებია, თუმცა როგორც არ უნდა იყოს, თუკი მესი ფიქრობს, რომ ძალით დავუშავე, მას ბოდიშს ვუხდი. ყოველთვის მხოლოდ კლუბის კეთილდღეობისა და წარმატებისთვის ვიბრძვი მოედანზე და კოლეგების ძალით დაშავება აზრად არასოდეს მომსვლია“*, - განაცხადა პეპემ.

ვნახოთ, ეყოფა თუ არა ეს ბოდიში საიმისოდ, რომ პორტუგალიელმა დისკვალიფიკაცია არ მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, „ბარსელონა“ ამ ინციდენტის გამო ჩივილს და პეპეს დასჯის მოთხოვნას არ აპირებს. საინტერესოა, „რეალის“ ლეგენდის, **მიჩელის** კომენტარი ამ საკითხზე: *„სამწუხაროდ, უკვე შეუძლებელია შეცვალო პეპე, ის ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის“.*

## ბარსამ სორიანო გაყიდა



როგორც იქნა, „ბარსელონამ“ თავიდან მოიცილა 26 წლის ფორვარდი **ჯონათან სორიანო**, რომელიც, მართალია, კარგად თამაშობდა სეგუნდა დივიზიონში, მაგრამ რეზერვისტებისთვის აშკარად გადაზრდილი იყო. სორიანო მომავალ სამ სეზონ-ნახევარს ავსტრიულ „ზალცბურგში“ გაატარებს. კატალონიელები ახლავე 500 ათას ევროს მიიღებენ, თუკი სორიანო მატჩების განსაზღვრულ რაოდენობას ჩაატარებს, „ბარსა“ კიდევ ნახევარ მილიონს მიიღებს.

## ბარსას მომავალი მაისურა

„მარკას“ ცნობით, „ბარსელონაში“ უკვე დაამტკიცეს ახალი სათამაშო ფორმა, რომლითაც კლუბი 2012/13 წლების სეზონში შეიმოსება. ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება ახლანდელისგან, თუმცა ნახეთ და თავად შეაფასეთ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ძიუდო. ნაკრები.

# ახალი მიდგომები – ფედერაციაში

## ძველი პრობლემები - ნაკრებში

სამწუხაროდ, ისევ გვიწევს წერა საქართველოს ძიუდოს ფედერაციაზე, როგორც „ორსახა იანუსზე" - ერთ მხარესაა საჭირო და აუცილებელი რეფორმები, რაც სხვა ფედერაციებისთვისაც სამაგალითო შეიძლება გახდეს, მეორე მხარეს კი არეულ-დარეული და გაურკვეველი ვითარება ეროვნულ ნაკრებში. მოსალოდნელ ცვლილებებზე „ლელოს" მკითხველს უკვე ესაუბრა ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე**, თუმცა განსახორციელებელი საკითხები იმდენად ვრცელია, იმ ინტერვიუში ყველაფერზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. დღეს სწორედ მაშინ მორჩენილ საინტერესო რეფორმებზე გვინდა გესაუბროთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ თუ ნაკრებში ვითარება არ დალაგდა, თუ იქ არ შეიქმნა მწყობრი, ეფექტური სისტემა, მაშინ ეს ყველაფერი აზრს დაკარგავს. ქვეყნის მთავარ გუნდში ჭანჭიკები რამდენიმე წლის წინათ მოიშალა, როცა ნებით თუ უნებლიედ საქმე ბუნტამდე და გუნდის გახლეჩამდე მივიდა. დღეს ეს პრობლემა აღმოიფხვრა (იქნებ სრულად არა, მაგრამ აღარც იმდენად აქტუალურია), თუმცა ახლა სხვა წინააღმდეგობამ იჩინა თავი - ძიუდოს ოჯახის გასაერთიანებლად მოყვანილი ავსტრიელი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** ვერ გამოდგა მთლად შესაფერისი კანდიდატურა, თუმცა მის პროფესიონალიზმზე უფრო დიდ თავსატეხად ის გვექცა, რომ ქართული ძიუდო ავსტრიელის გამო საერთაშორისო მასშტაბის ხაფანგში თავგვივით გამოჭერილი აღმოჩნდა. მიგვაჩნია, რომ იმ მარწუხებიდან თავის დახსნა მეტ-ნაკლებად ღირსეულად მაინც შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ისეთი რეალობაა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერის** შეპირებით დაიმედებულები მივდივართ, რომელიც ზაიზენბახერის „თბილად შენახვის" სანაცვლოდ თამაშებზე, მინიმუმ, არდაჩაგვრას გვპირდება. ამის თქმის საფუძველს სპორტისა და კონკრეტულად ძიუდოს არაერთ ხელმძღვანელებთან კულუარული თუ სატელეფონო საუბრები მაძლევს, თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც - საერთაშორისო ფედერაციები რომელიმე ქვეყნის ნაკრების წევრებს შეკრებებზე კარგად ვარჯიშისთვის პრემიებს არ უხდიან! ვიზერის სახელი იმთავითვე ძალზე საეჭვოდ დაუკავშირდა ზაიზენბახერს - თუ ეს კავშირი ქართული ძიუდოს განვითარებას წაადგებოდა, ძალიან კარგი, მაგრამ არა გვგონია, თუნდაც ერთი ოლიმპიური მედალი საერთო ქაოსის ფონზე წინსვლა იყოს. ცხადია, ის მედალიც დიდი საქმეა, თუმცა ამით უფრო მნიშვნელოვანი რამე ფუჭდება - ეროვნული ნაკრები მოიშალა, მის აწყობას კი წლები დასჭირდება. ესეც - საუკეთესო მუშაობის პირობებში, თორემ საეჭვო რეპუტაციის მწვრთნელი ამას კიდევ უფრო დიდხანს ვერ შეძლებს. ზაიზენბახერი თავიდან ძალიან კარგი ჩანაფიქრით ჩამოჰყავდათ. სამწუხაროდ, საქმე რადიკალურად შეიცვალა. ახლა მას პირდაპირ უთხრეს, რომ ოლიმპიადის შემდეგ მაინც მიდის პოსტიდან და, როგორც ამბობენ, მის მთავარ ამოცანად მხოლოდ იმ 4-5 ოლიმპიელის მომზადება დარჩა, რომლებსაც უკვე განალდებული აქვთ საგზურები. სიმართლე გითხრათ, მისი მომზადებისა უკვე აღარც გვჯერა, მაგრამ თუ ეს ინფორმაცია მართალია, მაშინ ნაკრების სხვა წევრების მომზადება მაინც მიანდონ ვინმე უფრო გამოცდილს, იმ ხალხს ნულარ სწირავენ. საუბედუროდ, დასაშვებზე ბევრია იმ უცხოელ მწვრთნელთა რიცხვი, რომლებსაც კულუარებში საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელთა პროტეჟეებად ასახელებდნენ - ეს ფაქტი სამომავლოდ ყველა ფედერაციამ უნდა გაითვალისწინოს და ღირსება არ დაკარგოს; შეეცადოს, არ იქცეს ზემდგომთა ტყვედ.

ჩემთვის არახალია, რომ ოლიმპიადაზე მედლები მართლაც ვაჭრობის საგანია (გაცილებით დაბალი რანგის ტურნირებზე კი ეს ჩვეულებრივი ამბავია) - ამაზე ჯერ კიდევ ათენის თამაშების წინ ღიად მესაუბრა სპორტის ერთ-ერთი მაშინდელი მაღალჩინოსანი. მან მაშინ ფასებიც დამისახელა - ჭიდაობა და ძიუდო პრესტიჟულ სახეობათა შორის გადიოდნენ და ოქროს მედალი 150-დან 200 ათას დოლარამდე ღირსო. იმ პიროვნებამ სხვა საგულისხმო რამეებიც მითხრა, მაგრამ ამ თემაზე მეტს აღარ გავაგრძელებ. სამაგიეროდ, ევროპულ სპორტულ წრეებში საკმაოდ გარკვეული კიდევ ერთი პიროვნების მოსაზრებას გაგაცნობთ ვიზერსა და მის შეპირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ვიზერი რუმინელია ანუ აღმოსავლეთევროპელი, ისინი კი ქვეცნობიერად დასავლეთევროპელებისკენ მიილტვიან, რადგან ისინი მიაჩნიათ ელიტად. აქედან გამომდინარე, ნუ გაგვიკვირდება, ვიზერმაც მათი ინტერესებისთვის რომ გაგვწიროს და შეთანხმება დაარღვიოსო! წინასწარ ვერაფერს იტყვი, მაგრამ, ვფიქრობ, საინტერესო მოსაზრებაა და საფრთხე მართლაც მოსალოდნელია. მით უფრო, კონკრეტულად იმავე ძიუდოში კლანად შეკრული ელიტარული ქვეყნების ჯგუფი მართლაც რომ არსებობს, ამაზე ნუცუბიძეც საუბრობდა ზემოხსენებულ ინტერვიუში.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფედერაციულ რეფორმებს და ამჯერად იმაზე ვთქვათ, როგორ ცდილობს ის სპორტსმენთა სოციალური მდგომარეობის მოგვარებას და მათ აქტიურად ჩართვას შიდა შეჯიბრებებში. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფორმები ბავშვთა ასაკში იწყება და მათთვის განზრახულია არაერთი ერთობლივი შეკრება შინ თუ უცხოეთში, სადაც მოზარდები სხვადასხვა საჭიდაო სტილს აითვისებენ და არ იქნებიან მხოლოდ ერთზე ჩაციკლულები. ამასთან, ვინც პროფესიულ სპორტს გაჰყვება, ფედერაციისთვის გარკვეული გადასახადის გადახდაც მოუწევს, როგორც ეს წამყვან ქვეყნებშია (ცხადია, ჩვენებური რეალობიდან გამომდინარე), თუმცა ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვნად სატურნირო სისტემის შეცვლა მიგვაჩნია - ამიერიდან საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად სეზონში მასთან გათანაბრებული სამი სარეიტინგო ტურნირიც ჩატარდება, ოღონდ წლეულს რადგან ოლიმპიადაა, ერთით ნაკლები გაიმართება. ამ შეჯიბრებების შედეგებით შედგება შიდა რეიტინგი და ამის მიხედვით დაინიშნება ხელფასიც. ცხადია, თუ სპორტსმენი ყველა ამ ტურნირში არ იასპარეზებს და ქულებს ვერ დააგროვებს, ეს ხელფასზეც აისახება. ამიტომ ყველა იძულებული იქნება, მუდმივად იჭიდაოს და რეიტინგისთვის იბრძოლოს. ამით ისინი სატურნირო პრაქტიკასაც მიიღებენ.

ასეთი მიდგომა, გარდა იმისა, რომ შიდა შეჯიბრებების ხარისხსაც აამაღლებს და ადგილობრივ ქომაგს ჩვენი ვარსკვლავების საქმეში უფრო ხშირად ნახვის საშუალებას მისცემს, ბევრ შემთხვევითობასაც გამორიცხავს. მაგალითად, ადრე იქნებ ვინმეს შემთხვევით მოეგო ქვეყნის პირველობა და მერე არაფერი რომც არ გაეკეთებინა, მთელი წელიწადი ეს ხელფასი გარანტირებული ექნებოდა. ანდა პირიქით, ლიდერი თუ ტრავმის გამო ვერ იასპარეზებდა ქვეყნის ჩემპიონატში, მას მთელი წელიწადი დაკარგული ჰქონდა - თავის დროზე სწორედ ამან აიძულა თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი**, საბერძნეთში წასულიყო, რადგან ნაავარიებმა საქართველოს ჩემპიონატში ვერ იჭიდავა და არც ხელფასი დაენიშნა. თან, რაკი ანაზღაურებას რეიტინგი განსაზღვრავს, პრეტენზიაც არავის ექნება.

ოღონდ, ძიუდოში გასათვალისწინებელია საერთაშორისო რეიტინგის ამბავიც - ჩვენს სპორტსმენებს ხომ ამისთვისაც უწევთ ბრძოლა. შიდა რეიტინგის გარდა, ხელფასს საერთაშორისოში 24 საუკეთესოში მოხვედრილებიც მიიღებენ, თუმცა მათი ანაზღაურება განსხვავებული იქნება. ისინი სამ ჯგუფად დაიყოფიან - პირველ რვაში მყოფი პირველი ჯგუფის გასამრჯელოს მიიღებს, X-XVI ადგილებზე მყოფები - მეორე ჯგუფისას და ბოლო რვა კაცი - მესამისას. ეს ცვლილებები ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამოქმედდება. ცხადია, ესეც დიდი სტიმულია ფალავნებისთვის და ყველა ეცდება ქულების დაგროვებას, ხოლო 24 საუკეთესოში წონებში მთლად 3 თუ არა, 2-2 კაცი მაინც რომ იყოს, გამოდის, ყოველ წონაში 2-2 ძლიერი ძიუდოისტი გვეყოლება. შედეგად, გუნდიც თანაბრად დაბალანსებული იქნება. ადრინდელი მიდგომით, ანაზღაურდებოდა მხოლოდ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მოპოვებული მედლები, თუმცა ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ვინმე მოიპოვებდა მედალს ევროპაზე და მერე მთელი წელიწადი შედეგი არ ჰქონდა. აქვე განვმარტავთ, რომ ევროპა-მსოფლიოს მედალოსნები სახელმწიფო პრემიებს ძველებურად მიიღებენ, ეს სარეიტინგო ხელფასი კი იმას დაემატება, ანუ სპორტსმენთათვის დამატებითი ფინანსური შემოსავალი იქნება.

აი, ასეთი მიდგომა მაგალითად შეიძლება გამოიყენონ სხვა ფედერაციებმაც, რადგან ეს კონკურენციასაც გაზრდის.

**ირაკლი თავაძე**

ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები



ავსტრიის საკურორტო ქალაქ ინსბრუკში გრძელდება ზამთრის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობს. გიგანტურ სლალომში ბაკურიანელმა **ნიკოლოზ კოზანაშვილმა** 48 სპორტსმენს შორის მე-20 ადგილი დაიკავა. მისი მამიდაშვილი — **სუსანა გავა** კი 32-ე ადგილით დაკმაყოფილდა (54 მონაწილე). ამ სახეობებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: **გოგონები:**

# კვარცხლბეკთან ბომბი აღმოაჩინეს

1. კლარა დირესი (საფრანგეთი), 2. ესტელ ალფანდი (საფრანგეთი), 3. ჟასმინა სუტერი (შვეიცარია). **ვაჟები.** 1. მარკო შვარცი (ავსტრია), 2. ჰანს ზინგერლი (იტალია), 3. სანდრო სიმონე (შვეიცარია).

ორგანიზატორებს ერთ დღეს დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი ჩაეშალათ, რადგან ბოლნერ პლაზის ტერიტორიაზე, სადაც კვარცხლბეკია მოწყობილი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბი აღმოაჩინეს. სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა ის გააუვნებელყვეს და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

სუსანა გავა ჩვეულებრივ სლალომშიც მოსინჯავს ძალებს.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა. თურქეთის ტურნირები.

# ქართველთა თურქული ტურნირები

საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები ამჟამად სომხეთში არიან, სადაც მაღალმთიან კურორტ წახკაძორში საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გადიან. ისინი თბილისში 25 იანვარს ბრუნდებიან, ბერძენ-რომაელები კი ორ დღეში თურქეთში მიფრინავენ - 28-29 იანვარს სტამბოლში ვეხი ემრეს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" სერიის პირველ ტურნირში იჭიდავებენ. ნაკრების ხელმძღვანელობას იქ სათადარიგო შემადგენლობა მიჰყავს, ძირითადებს კი ასვენებს - საბაზო შეკრებიდან პირდაპირ შეჯიბრებაში ჩართვა არც გამართლებული იქნებოდა და თან ლიდერებს წინ სალიცენზიო ტურნირები ელოდებათ. **ზურაბ მაჭარაშვილი, გოდერძი დავითაძე** (ორივე - 55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **უჩა შავაძე, მამუკა ხოზრევანიძე** (ორივე - 66), **გოგა აფრიამაშვილი, შმაგი გულიაშვილი** (74), **გიორგი ცირეკიძე, მათე სოფაძე, ჯონი მინაძე** (სამივე - 84), **ირაკლი ქაჯაია, მიხეილ ქაჯაია, ამირან ზარნაძე** (96) და **რევაზ ჭელიძე** (120) - აი, ასეთი გუნდით გამოვალთ „ოქროს დიდ პრიზზე".

როგორც ვხედავთ, შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდულია, თუმცა უკლებლივ ყველა მათგანი საქართველოს ბოლო პირველობის მედალოსანია. თუმცა სხვათაგან ერთს გამოვარჩევთ - გულიაშვილს, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სპორტს. მას ერთ-ერთ შეკრებაზე აპენდიციტი გაუსკდა და სპორტი კი არა, სიცოცხლე დადგა საფრთხის ქვეშ, თუმცა დროულად მიუსწრეს და ოპერაციაც გაუკეთეს, ოღონდ ამან ლამის ორი წელიწადი დააკარგვინა. იმედია, ის ისევ აღიდგენს ადრინდელ ფორმას და კვლავ ანგარიშგასაწევ ფალავნად დარჩება წონაში.

თურქეთშივე ცოტა მოგვიანებით, ოღონდ ანკარაში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც მიემგზავრებიან - ისინი 10-12 თებერვალს იაშარ დოგუს სახელობის მემორიალში იასპარეზებენ. მწვრთნელებს იქაც გადახალისებული გუნდი მიჰყავთ და შანსს ძირითადად სათადარიგოებს აძლევენ. **ტრისტან ჩირგაძე** (55), **მურთაზ კვესაძე, გიორგი ბალიაშვილი, ბექა ლომთაძე** (სამივე - 60), **გიორგი ცუცქირიძე, შალვა მუზიაშვილი** (ორივე - 66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **მარად ზოიძე** (84), **დავით ქერაშვილი, მამუკა კორძაია** (ორივე - 96), **ლევან სეთურიძე** (120) - ასეთია „თავისუფალთა" მწვრთნელების არჩევანი. ეს შემადგენლობა არაა ბერძენ-რომაელებივით მთლად ახალგაზრდული, თუმცა ლიდერები აქაც ისვენებენ, მონაწილეებს კი აქაც მთლიანად ქვეყნის ბოლო პირველობის მედალოსნები შეადგენენ.

რაც შეეხება უახლოეს საშინაო შეჯიბრებას, ესაა 25-26 იანვარს სპორტკომპლექს „არენაში" გასამართი ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი. ამით ახალგაზრდული ნაკრები ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას, თუმცა ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწილობრივ თაობათა ცვლის, ნაწილობრივ კი უფროსთა ნაკრებში მივლენილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციის გამო ტურნირს ბევრი ლიდერი დააკლდება და საკადრო ცვლილებებიც ბლომად მოხდება.

რაც შეეხება ახალგაზრდა „თავისუფალთა" საქართველოს ჩემპიონატს, ის ბერძენ-რომაელთაგან ზუსტად ერთ თვეში - თებერვლის იმავე რიცხვებში ჩატარდება, ოღონდ - ბათუმში.

**ირაკლი თავაძე**



ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლოლოსთან ერთად

სუმო. ჰაცუ ბაშო. 8-22 იანვარი

# დიდი ჩემპიონისა და ჩემპიონთა გვერდიგვერდ

ისტორიაში მეორედ მოხდა, რომ სუმოს უპირველესი ტიტული ევროპელმა მოიგო - კვირას იმპერატორის თასს ოძეკი **ბარუტოს** გადასცემენ, 27 წლის ესტონელ **კაიდო ჰიოველსონს**. მისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა კარიერაში 46-ე ბაშო - 13 დღეა ბარუტო ვერავინ წააქცია ტოკიოს დოჰიოზე, დარჩენილ ორ ორთაბრძოლაში კი ამას აზრიც აღარა აქვს, ბალტიელს ვერავინ დაეწევა. სხვათა შორის, დღეს ბარუტო ბულგარელ ოძეკი **კოტოოშუს** ხვდება, სწორედ იმას, ვინც ევროპელთაგან პირველმა მოიგო იმპერატორის თასი.

მეორე ადგილზე 10-3 ბალანსით ერთბაშად 6 რიკიშია. სასიხარულოა, რომ დიდ ჩემპიონსა და სამ ოძეკისთან ერთად სიაში **გაგამარუა (თეიმურაზ ჯუღელი)**. გაგამარუმ მე-10 გამარჯვება 183-კილოიან **ფუჯიაზუმასთან** მოიპოვა, ერთი-ორჯერ ლაზათიანად ჰკრა ხელი, შემდეგ კი დროულად გამოეცალა მას. თუკი დარჩენილ ორ ორთაბრძოლასაც მოიგებს, ჩვენებური რეიტინგში საგრძნობლად დაწინაურდება. შეგახსენებთ, რომ ახლა გაგამარუ მე-10 მაეგაშირაა.

გუშინ დადებითი ბალანსი დაიბევა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. ჩვენებურმა გადამწყვეტი, მე-8 მოგება **ჩიონოკუნისთან** ორთაბრძოლაში მოიპოვა. სამწუხაროდ, ძურიოს დივიზიონში დამარცხდა **კოკაი (ლევან ცაგურია)** და კვლავ უარყოფითი ბალანსი გაუხდა - 6-7. „შავ ზღვას" ორივე დარჩენილი მატჩის მოგება სჭირდება.

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): კოტოოშუ-ჰაკუჰო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-მიაბიამა (იორიკირი), კისენოსატო-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ბარუტო-კოტოშოგიკუ (შიტატენაგე), კაკურიუ-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), ტოიონოშიმა-გოეიდო (უვატედაშინაგე), ვაკაკოიუ-ტაკაიასუ (ოშიდაში), ოკინოუმი-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-კიტატაიკი (იორიკირი), ჰომაშო-ტოსაიუტაკა (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ჩიონოკუნი (იორიკირი), **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა (ჰატაკიკომი). **ძურიო:** ბუშუიამა-**კოკაი** (იორიკირი).




**სატურნირო მდგომარეობა**

**13-0: ბარუტო (ოძეკი).**

**10-3:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 8), **გაგამარუ** (მ 10)... **8-5: ტოჩინოშინი** (მ 9).

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, ბარუტო-კოტოოშუ, ტოიონოშიმა-ამინიშიკი, კაკურიუ-ტაკაიასუ, კიტატაიკი-ვაკაკოიუ, მიაბიამა-ოკინოუმი, ტაკეკაძე-გოეიდო, ტოჩინოვაკა-ტაკანოიამა, ჰომაშოაოიამა, **გაგამარუ**-ტოიოჰიბიკი, **ტოჩინოშინი**-ნიონოუმი.

**ძურიო:** კოკაი-მასურაუმი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ჯერ თასი, მერე ხალიჩაც იქნება

ირანელი დოქტორი **ალი ბაჰავარი** საქართველოში რამდენჯერმეა ნამყოფი. შარშან ჭადრაკში ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშებაზე მოიწვიეს არბიტრად. თეირანში მას საჭადრაკო ცენტრი აქვს. ჩვენი ქვეყნისადმი კეთილგანწყობის დასტურად, გადაწყვიტა თბილისში სწრაფ ჭადრაკში ტურნირის გამართვა. ეს შეჯიბრება ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში 26 იანვარს გაიმართება სახელწოდებით Special Merit cup. სტუმარი პრიზებსაც საკუთარი სახსრებით აწესებს. გამარჯვებულს სპეციალური თასი და ხისდაფიანი ჭადრაკი გადაეცემა, მეორე-მეექვსე ადგილოსნები პლასტმასისდაფიანი ჭადრაკებით დაჯილდოვდებიან. ეს ტურნირი პოპულარული თუ გახდება, ალი ბაჰავარი პრიზებად ირანულ ხალიჩებს დააწესებს.

**ვაჟა დანელია**

# მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა

ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა — ასეთი შედეგით დაასრულა მოჭადრაკეთა პრაღის საერთაშორისო ტურნირი თბილისელმა დიდოსტატმა **ლევან აროშიძემ**, რომელიც ხუთი ტურის განმავლობაში ლიდერთა შორის იმყოფებოდა. გუშინ მან შავი ფიგურებით მასპინძელ სვობოდა სვატოფლეკს სძლია, მესამე-მეათე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით კი მე-7 ადგილი ერგო. პირველი-მეორე ადგილები 7,5-7,5 ქულით ნიჯათ მამედოვმა (აზერბაიჯანი) და ალექსანდრ ფიერმა (ბრაზილია) გაინაწილეს. 6,5 ქულით მე-3 ადგილზე 16 წლის ინდოელი აბჰიმანი პურანიკი (2006) გავიდა, რომელიც გამარჯვებულებს რეიტინგში მთელი 600 პუნქტით ჩამორჩება და ფიდეს ოსტატიც არ არის, თუმცა მან 6 დიდოსტატი ჩამოიტოვა.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიური ფილატელია

Atlanta 1996 CENTENNIAL OLYMPIC GAMES







თარიღი. 21 - 27 იანვარი

**21. 1901 წ.** დაიბადა **რიკარდო ზამორა** — ფეხბურთი (მეკარე, ესპანეთი).

**22. 1920 წ.** დაიბადა **ალფ რამსეი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (ინგლისი).

**23. 1944 წ.** დაიბადა **სერგეი ბელოვი** — კალათბურთი (რუსეთი).

**25. 1942 წ.** დაიბადა **ეუსებიო** — ფეხბურთი (პორტუგალია).

**25. 1980 წ.** დაიბადა **ჩავი** — ფეხბურთი (ესპანეთი).

**25. 1930 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „სან პაულუ" (ბრაზილია).

**26. 1919 წ.** დაიბადა **ვალენტინო მაცოლა** — ფეხბურთი (იტალია).

**26. 1963 წ.** დაიბადა **ჟოზე მოურინიო** — ფეხბურთი (მწვრთნელი, პორტუგალია).

**27. 1950 წ.** დაიბადა **კლოდ სორელი** — რაგბის ფრანგი სპეციალისტი.

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

კურიოზი ობიექტივში



ველური დოღი

ნაკლებად ცნობილი ორთაბრძოლები

# კაპოეირა

**კაპოეირა** ბრაზილიური საბრძოლო ხელოვნების სახეობაა. 1660 წელს პორტუგალიელ პლანტატორთაგან გაქცეულმა შავკანიანმა მონებმა გაუვალ ჯუნგლებში ე.წ. პალმის რესპუბლიკა დააარსეს და დიდხანს წარმატებით იგერიებდნენ პორტუგალიელთა ჯარის შეტევებს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ საბრძოლო ხელოვნების ილეთები, ზანგურ სარიტუალო ცეკვებთან ერთად ბრძოლაში აფრიკიდან წამოყვანილმა მონებმა შეიტანეს. 1888 წელს, ბრაზილიაში მონათმფლობელობის გაუქმებასთან ერთად, კაპოეირამ ჯუნგლებიდან ქალაქებში გადაინაცვლა. 1937 წელს სპორტის ეროვნულმა კონფედერაციამ კაპოეირა ხალხური სპორტის სახეობად ცნო, ქალაქ სალვადორში კი ამ სახეობის პირველი სკოლა გაიხსნა. კაპოეირა არ მოითხოვს საგანგებოდ მოწყობილ სარბიელს. ორთაბრძოლები (პორტუგალიურად როდა), ტარდება როგორც ღია ცის ქვეშ, ისე დახურულ დარბაზებში. შეჯიბრების ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის. როდა მაგიური სიმღერებისა და ტრადიციული საკრავების თანხლებით მიმდინარეობს. როდა, ფაქტობრივად ამ მაგიური რიტუალების შემადგენელი ნაწილია, რომლებშიც ჩართული არიან მაყურებლებიც. მაგიური მუსიკის რიტმს ისინი სხეულის სპეციფიკური მოძრაობებითა და ტაშის ცემით უპასუხებენ და ექსტატიკური ტრანსის მდგომარეობამდე მიდიან. ამ მდგომარეობაში ნებისმიერი რთული ილეთის შესრულება შეიძლება, დაღლილობა კი საერთოდ არ იგრძნობა. საბრძოლო დგომი ძალიან დაბალია. მოწინააღმდეგენი ხელებით თითქმის მიწას ეხებიან და არენაზე ცეკვა-ცეკვით გადაადგილდებიან (ჯინგო), თუმცა საწყის პოზას ინარჩუნებენ. შეტევის ძირითადი იარაღია ფეხით დარტყმა, რომელსაც მებრძოლები ან ნახტომით, ან ხელებზე მდგომნი ასრულებენ. აკრობატული ელემენტები (სალტო, ნისქვილი და სხვ.) გამოიყენება როგორც მოწინააღმდეგის დარტყმის ასაცილებლად, ისე შეტევისთვის. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ბრაზილიაში დაიწყეს ამ სახეობაში რეგულარული ოფიციალური შეჯიბრებების, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარება. 1973 წელს შეიქმნა კაპოეირას ეროვნული ნაციონალური ფედერაცია



პირველი, პირველმა, პირველად

■ ■ ■

**პირველი** ჩოგბურთელი, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობიდან მსაჯის შეურაცხყოფისთვის ტურნირიდან გააძევეს, იყო ამერიკელი **ჯონ მაკინროი**. ეს მოხდა 1990 წელს.

■ ■ ■

**პირველმა** ჩოგბურთში გრანდ სლემი მოიპოვა ამერიკელმა **დონ ბაჯიმ** 1938 წელს.

■ ■ ■

**პირველად** ნბა-ს ისტორიაში გამარჯვებული გუნდის („დეტროიტ ჰისტონზი") ყველაზე შედეგიანმა კალათბურთელმა თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო. ეს მოხდა 2005 წლის 6 იანვარს.

ვიქტორინა

**1. ცნობილი სპორტნაწარმის ფირმა „ნაიკი" (დაარსდა 1865 წელს) თავდაპირველად უშვებდა:**

ა — რეზინის ჩექმებს და საბურავებს

ბ — პერანგებს და ქურთუკებს

გ — თხილამურებს და ციგებს

**2. როდენის განთქმული მოაზროვნის მოდელი იყო...**

ა — მოჭიდავე რობერტ კარი

ბ — მძლეოსანი სპირიდონ ლუისი

გ — პროფესიონალი მოკრივე ჟან ბო

**3. რომელ წელს და სად გახდა ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები?**

ა — 1952 წელს ჰელსინკში

ბ — 1956 წელს მელბურნში

გ — 1960 წელს რომში

**4. ვინ იყო ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ჭადრაკში?**

ა — ვერა მენჩიკი

ბ — ჟუჟა პოლგარი

გ — იიფან ჰუ

**5. ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა რამდენჯერ გაიმარჯვა ოლიმპიურ თამაშებში**

ა — ერთხელ

ბ — ორჯერ

გ — არც ერთხელ

1 — ა, 2 — გ, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ბ.

სახალისო ამბები

**ბრაზილიაში** თავიანთ ფეხბურთელებზე განაწყენებული ერთი გუნდის გულშემატკივრებმა პროტესტი იმით გამოხატეს, რომ სტადიონზე კი მივიდნენ, მაგრამ ტრიბუნებზე მოედნიდან ზურგშექცევით დასხდნენ ასე დარჩნენ მატჩის ბოლომდე...

■ ■ ■

ცნობილი ახალზელანდიელი მორაგბე, 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **სონი ბილ ვილიამსი** პროფესიონალი მოკრივეცაა. ჯერჯერობით სამი ბრძოლა აქვს ჩატარებული და სამივე მოიგო.



მორაგბე და მოკრივე სონი ბილ ვილიამსი



■ ■ ■

მსოფლიოში უდიდესი ბილიარდის მაგიდა გააკეთა **სტივ ვიენეკმა** - სიგრძით 9 მეტრია, ბურთულა 2,7 კგ-ს იწონის.

## ქართული სპორტი

**მილოცვები**

# ჯემალ კუჭავა 70 წლისაა



*ვისაც სიყვარული შეუძლია,*
*ის მოხუცი არ არის*
*პონტანუსი*

**ჩვენო ჯემალ!**

გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადებიდან 70 წლის იუბილეს, ოპტიმიზმით და მომავლის იმედით აღსავსე უბერებელ ვაჟკაცს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელ-ინჟინერს, ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის სამყაროს უახლოეს მეგობარს.

კეთილი გული მზეა, რადგან იგი არ იცვლება მთვარესავით და ერთთავად აბრწყინებს გარემოს. შენ გულის სითბო უხვად დახარჯე ადამიანებისადმი სიყვარულში, ბევრმა მივიღეთ მისი სიკეთე. ალბათ ამიტომაც, შენმა ნათელმა გულმა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა თითოეული ჩვენგანისგან.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად, სიმხნევეს, კიდევ მრავალ საქმიანობაში.

*ვახტანგ ბალავაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ზარბეგ ბერიაშვილი, ვლადიმერ კანკავა, თამაზ მაჭავარიანი, ომარ ბლიაძე, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ აფხაზავა, ომარ მიქელთაძე, ომარ სიხარულიძე, ბათუ კანკავა, გია ჭანტურია, ზურაბ ჯორჯიკია, კოტე ლუღუნიშვილი, ნიაზი გვასალია.* Ⓡ

# გურამ გედეხაური 50 წლისაა



*მხოლოდ იმ კაცის ცხოვრებას ეთქმის*
*ცხოვრება, ვინც არა მხოლოდ თავისი*
*თავისთვის ცხოვრობს*
*მენანდრე.*

**ჩვენო გურამ!**

გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღს. გისურვებთ მზეგრძელ სიცოცხლეს თქვენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად. დიდია თქვენი სიყვარული და ავტორიტეტი მსოფლიო ჭიდაობის სამყაროში, თქვენ ხომ სახელოვნად გააგრძელეთ საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი საფალავნო სკოლის შესანიშნავი ტრადიციები და საქართველოს მთელ პლანეტაზე გაუთქვით სახელი, როგორც ჩემპიონმა, წინა თაობების შრომისა და ამაგის დამფასებელმა, ადამიანური ღირსებით დაჯილდოებულმა, ჭეშმარიტად გამორჩეულმა პიროვნებამ.

თავი არასოდეს აგიმაღლებიათ და ამიტომაც არ დაცემულხართ არასდროს. სხეულის სიმრთელეზე, მაღლა ყოველთვის აყენებდით სულის სიმრთელეს, რადგანაც ღრმად გწამდათ, სული უაღრესია სხეულზე.

ძმობის, ერთგულების, ვაჟკაცობის გრძნობითაა განმსჭვალული მთელი შენი ცხოვრება, მოყვასის სამსახურითა და სურვილით სიკეთის ქმნისა.

*ვახტანგ ბალავაძე, როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, ვლადიმერ კანკავა, მიხეილ სალაძე, თამაზ მაჭავარიანი, ომარ ბლიაძე, ვახტანგ ბლაგიძე, თემურ ყაზარაშვილი, ნოდარ გელიაშვილი, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ ხითარიშვილი, თემურ აფხაზავა, აკაკი ჩაჩუა, ლუკა კურტანიძე, დავით გობეჯიშვილი, ზაურ ცხადაძე, დევი რეხვიაშვილი, ბეგი დარჩია, ვიტალი ზამთარაძე, კაკო თავართქილაძე, ბათუ კანკავა.* Ⓡ

**ჭადრაკი**

# ახალი პროგრამა სექტემბრიდან



**მარცხნიდან: ნანა ალექსანდრია, გია გიორგაძე, გარი კასპაროვი**

უკვე გაუწყეთ, რომ ჭადრაკში მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა **გარი კასპაროვმა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ **დიმიტრი შაშკინთან** ერთად ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ჩვენში ჭადრაკის შემდგომ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. საჭადრაკო ოსკარის თერთმეტგზის მფლობელი კომპიუტერული მეთოდით ბრძენთა თამაშის ახლებურ სწავლებას გვთავაზობს 7-8 ან 8-9 წლის მოზარდებისთვის.

გუშინ გარი კასპაროვმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბ **ნტნ**-ში (პრეზიდენტი **ნანა ალექსანდრია**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებსა და მწვრთნელებს, სახელოვან დიდოსტატებს ჭადრაკის თამაშის სწავლების მისეული პროგრამის არსი გააცნო. საპატიო სტუმარმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ევროპარლამენტში 369 დეპუტატი ხმას თუ მისცემს კასპაროვისეულ პროექტს — „ჭადრაკი სკოლაში", ეს იქნება სპორტის ამ სახეობის აღიარება და ბებერი კონტინენტის სკოლებში დაიწყება ჭადრაკის, როგორც სასწავლო საგნის კომპიუტერული სწავლება. მსოფლიოს ჩემპიონის ინფორმაციით, კასპაროვსა და მის თანამოაზრეებს 238 ხმა უკვე მოუგროვებიათ. ახალი პროგრამის დანერგვას ახლა მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში ვარაუდობენ. ერთ-ერთი პირველი საქართველო იქნება და ეს არ არის შემთხვევითი.

- საქართველო საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაა, სადაც სპორტის ამ სახეობის სიყვარული დღემდე არ განელებულა. საჭადრაკო ექსპერტები საკმარისზე მეტი გყავთ, სკოლების ტექნიკური აღჭურვილობაც ხელს გიწყობთ, რასაც მთავრობის კეთილი ნებაც ემატება. დღეს მსოფლიოში ჭადრაკის შესასწავლად უამრავი პროგრამა მოქმედებს, მაგრამ მერწმუნეთ, კომპიუტერულს — "ჭადრაკი სკოლაში" ვერც ერთი ვერ შეედრება: ეს არის ამ საქმეში ახალი ერა და უდიდესი პრაქტიკული ღირებულება ექნება არა მარტო ბრძენთა თამაშის პოპულარიზაციისთვის, არამედ განათლების სისტემაში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლადაც, - აღნიშნა გარი კასპაროვმა.

- დროულ და ძალიან მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლის თანახმადაც სექტემბრიდან საქართველოს სკოლებში ჭადრაკის კომპიუტერული სწავლების საპილოტე პროგრამა ამოქმედდება. ჩვენს ფედერაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ზღვა სამუშაო აქვს ჩასატარებელი, რათა ახალი სასწავლო წლისთვის ყველაფერი მოესწროს. საამისოდ არაფერს დავიშურებთ, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ.**

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## კალათბურთი

**ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალი**

# წლის პირველი თასი არმიას

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ, **ნოდარ ქორქიამ** გამარჯვებული გუნდის კაპიტან **ზვიად ბაბიაშვილს** თასი საზეიმო ვითარებაში გადასცა. მართალია, მემორიალში გამარჯვება ჩემპიონატის მოგებას ვერ გაუტოლდება, მაგრამ შეჯიბრება მართლაც საინტერესო გამოდგა და არმიელებმაც შესაბამისად გაიხარეს.

მიხეილ ქორქია ფორვარდი იყო, ზურაბ საკანდელიძე - უკანახაზელი. ამიტომ, ტურნირის დაარსების დღიდან სახელდება ამ ამპლუების საუკეთესო მოთამაშეები. მემორიალის №1 ფორვარდი **ჯერემი რიჩარდსონი** გახდა, ხოლო უკანახაზელი - **ბენჯამინ ვუდსაიდი**. ორივე „არმიას" წარმომადგენელია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან **კოტე ტულუშის** შეგირდებმა ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარეს, ჯგუფშიც ორივე მატჩი მოიგეს და ფინალშიც დამაჯერებლად იმარჯვეს.

■ ■ ■

გადახედეთ მატჩის სტატისტიკას: დიდი სხვაობა დაფიქსირდა როგორც ანგარიშში (99:83), ასევე მოხსნებში (54:31). საყურადღებოა ისიც, რომ შსს-ს კალათბურთელები მეტოქის ფარიდან ასხლეტილ ბურთს მხოლოდ 5-ჯერ დაეუფლნენ. მოხსნებში დაფიქსირებული 23-იანი სხვაობა თვალნათლივ მიუთითებს ფარქვეშ არმიელთა უპირატესობაზე. შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი სწორედ ეს იყო. თავად განსაჯეთ: სამნამიანი ზონიდან „არმიამ" ორჯერ მეტი ქულა მოაგროვა - 48 (შსს-მ 24).

ხაზი უნდა გაესვას არმიელთა დაცვის სიმწყობრესაც. შსს-ს რიგებში ძლიერი ინდივიდუალისტები თამაშობენ, რომელთა შეჩერება ბევრ ქართულ გუნდს უჭირს. პირველ მეოთხედში „არმიამ" სათანადოდ დალაგება ვერ შეძლო, თუმცა მეორე ათწუთეულში ევროპული დონის დაცვა დააყენა და მეოთხედი 30:10 მოიგო. ამის შემდეგ შსს-ს კალათბურთელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ არათუ თამაშის შემოტრიალება, სხვაობის შემცირებაც ვერ მოახერხეს...

■ ■ ■

...ან როგორ უნდა შეემცირებინათ, როცა არმიელები სნაიპერის სიზუსტით ისროდნენ: ორქულიანები - 51., ხოლო სამქულიანები - 47.1 პროცენტით. ვუდსაიდი და რიჩარდსონი შემთხვევით როდი დასახელდნენ საუკეთესოებად: პირველმა 22 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა, მეორემ - 21 ქულა და 9 მოხსნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ნელ-ნელა იხსნება ჯერემი რიჩარდსონი, რომელსაც უდავოდ დიდი პოტენციალი აქვს.

*- ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული. დიდებულ ატმოსფეროში მოგვიწია თამაშმა. გულშემატკივრებმა დამატებითი ენერგია შეგვმატეს. გუნდთან ერთად პირველი ჯილდო მოვიგე. იმედი მაქვს, ასევე წარმატებით განვაგრძობთ,* - აღნიშნა საუკეთესო უკანახაზელმა ბენჯამინ ვუდსაიდმა.

არაფერი გვითქვამს **უილიამ ტომასზე**. მართალია, 20 ქულას ვერ ასცდა (16), მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სასარგებლო იყო. უმთავრესად სწორედ მისი დამსახურებაა, შსს-ს კალათბურთელებს სამნამიანი ზონიდან ბურთის ჩაგდება რომ უჭირდათ.

მატჩის ერთადერთო ორმაგი დუბლის ავტორი შსს-ელი **რობო კრეპსი** იყო - 22 ქულა, 10 პასი. **ლარი ბლერის** (მანაც 22 ჩააგდო) ჩამოსვლის შემდეგ კრეპსის ქულათა რაოდენობამ იკლო, თუმცა ამჯერად რობომ საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა. როცა გახსნაზე ვლაპარაკობთ, **ჯეფრი მაკქემონიც** უნდა ვახსენოთ, რომელმაც გუშინ 16 ქულას მოუყარა თავი.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო „არმიას" თავკაცი კოტე ტულუში:

*- ძლიერი მეტოქე გვყავდა. შსს-მ ეს წინა მატჩებშიც დაამტკიცა, მაგრამ ფინალს სათანადოდ მობილიზებულები შევხვდით და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა. აღსანიშნავია დაცვაში დამაჯერებელი თამაში, რამაც გამარჯვება განაპირობა. ქორქია-საკანდელიძის მემორიალი „არმიას" მოგებული არ ჰქონდა და მოხარული ვარ, რომ თასი ჩვენ დაგვრჩა. ვულოცავ ყველა გულშემატკივარს.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

**20 იანვარი. თბილისი, სპორტის სასახლე**

**არმია-შსს 99:83**

25:18, 30:10, 27:26, 17:29

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.
კომისარი: რ. ხომერიკი.

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. რიჩარდსონი | 34 | 9 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 21 |
| 5. ბაბიაშვილი | 11 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 6 |
| 6. ბოისა | 27 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| 7. მინაშვილი | 15 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 5 |
| 8. უგრეხელიძე | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| 9. კვიმსაძე | 18 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 6 |
| 10. ტომასი | 29 | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 16 |
| 12. მოსეშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| 13. ათანელიშვილი | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 14. შელგომი | 14 | 5 | 0 | 3 | 1 | 1 | 3 | 10 |
| 20. ვუდსაიდი | 37 | 6 | 9 | 2 | 0 | 0 | 1 | 22 |
| ჯამი | | 54 | 18 | 7 | 1 | 2 | 15 | 99 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. მაკქემონი | 30 | 6 | 3 | 0 | 0 | 1 | 1 | 16 |
| 7. ლაფანაშვილი | 5 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 |
| 9. ლონდარიძე | 8 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 11. თენიეშვილი | 7 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12. ტუჯანი | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. იმნაძე | 20 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 22. ბლერი | 36 | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 22 |
| 23. კრეპსი | 37 | 8 | 10 | 0 | 1 | 0 | 3 | 22 |
| 24. ბოძოლიშვილი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| 33. სმიტი | 17 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 6 |
| 55. ბეძაური | 27 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 | 9 |
| ჯამი | | 31 | 20 | 4 | 1 | 2 | 14 | 85 |

ლეგიონერები

# ბრივმა პლეი ოფში გააღწია, რიგში სამია


მარცხნივ გიორგი ჟღენტი, შუაში მამუკა გორგოძე

ევროთასების გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო ტური „ემლინ ჩელენჯ კაპზე" ქართველ მორაგბეთა გუნდების მატჩებით გაიხსნა. E ჯგუფში მოასპარეზე **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა" პირველი ეტაპი დაუმარცხებლად განვლო და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ბრიველებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა სტუმრად გამართეს უშუალო კონკურენტთან, ინგლისურ „სეილ შარქსთან" და 19:9 მოიგეს. მატჩის პირველი ნახევარი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა - 9:6, თუმცა შესვენების შემდეგ „ბრივმა" დაცვაში შესანიშნავად ითამაშა, მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ნატრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ხინჩაგიშვილმა მოედანზე 13 წუთით მეტი დაჰყო, კაკოვინი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა" შინ გაანადგურა აუტსაიდერი, ესპანური „ლა ვილა" - 62:7. აჟენელები 10 ქულით ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდნენ. შეყლაშვილი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**E ჯგუფი**

**სეილ შარქსი-ბრივი 9:19, აჟენი-ლა ვილა 62:7.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრივი - 27 ქულა, 2. სეილ შარქსი - 20, 3. აჟენი - 10, 4. ლა ვილა - 0.**

B ჯგუფში გათამაშებას **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი" 20 ქულით ლიდერობს. ჩვენებურთა ამ გუნდს ორი ქულით ჩამორჩება „ნიუკასლი", რომელიც სტუმრად ეთამაშება **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონს".

ლიონელებს ათი ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან. რაც შეეხება „ტულონს", მისი მეტოქე იტალიური „პადოვაა", რომელმაც ერთი თამაშიც კი ვერ მოიგო. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორისაა. გაფართოებულ შემადგენლობაში მიქაუტაძეც იყო, მაგრამ 22-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა.

**B ჯგუფი**

**ლიონი-ნიუკასლი, პადოვა-ტულონი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 20 ქულა, 2. ნიუკასლი - 18, 3. ლიონი - 10, 4. პადოვა - 0.**

**A ჯგუფი**

**კროკიატი-ბუქარესტი, სტად ფრანსე-ვორსტერი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტად ფრანსე - 24 ქულა, 2. ვორსტერი - 20, 3. ბუქარესტი - 5, 4. კრიკიატი - 0.**

**C ჯგუფი**

**ბაიონი-როვიგო, ვოსფსი-ბორდო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ვოსფსი - 19 ქულა, 2. ბაიონი - 17, 3. ბორდო - 10, 4. როვიგო - 1.**

**D ჯგუფი**

**ექსეტერი-პერპინიანი, ნიუპორტი-პრატო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ექსეტერი - 19 ქულა, 2. პერპინიანი - 18, 3. ნიუპორტი - 10, 4. პრატო - 0.**

ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში პლეი ოფში გასვლის შანსი აქ მოასპარეზე ოთხი „ქართული გუნდიდან" მხოლოდ ორს აქვს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზს".

A ჯგუფში წარუმატებლად იასპარეზა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრამ", რომელსაც ბოლო ტურის წინ ექვსი ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. კასტრელები ბოლო ტურში უელსურ „ჰლანეჰლის" მასპინძლობენ, რომელიც მეორე ადგილისთვის იბრძვის. ფეიქრიშვილი განაცხადში არ არის.

ამავე ჯგუფში პლეი ოფში თამაშის უფლება უკვე მოიპოვა ირლანდიურმა „მანსტერმა", რომელიც სტუმრად დაუპირისპირდება ინგლისურ „ნორსჰემპთონს".

**A ჯგუფი**

**კასტრი-ჰლანეჰლი, ნორსჰემპთონი-მანსტერი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მანსტერი - 20 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 12, 3. ჰლანეჰლი - 11, 4. კასტრი - 6.**

C ჯგუფში ასევე უშანსოდაა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე". თუმცა თუ იგი ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს, დიდი შანსია, „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების პლეი ოფში გადაინაცვლოს.

საამისოდ „მონპელიემ" სტუმრად უნდა მოუგოს ირლანდიურ „ლენსტერს", რომელმაც ჯგუფში პირველი ადგილი ერთი ტურით ადრე გაინაღდა. იმავდროულად შინ უნდა მოიგოს შოტლანდიურ „გლაზგოსთან" ინგლისურმა „ბასმა".

გორგოძე და ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში არიან, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ არიან.

**C ჯგუფი**

**ბასი-გლაზგო, ლენსტერი-მონპელიე.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლენსტერი - 20 ქულა, 2. გლაზგო - 11. 3. მონპელიე - 10, 4. ბასი - 7.**

D ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელსაც 16 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. მას სამი ქულით უსწრებს ირლანდიური „ალსტერი". „ვულკანები" ბოლო ტურში შინ სწორედ ირლანდიელებს დაუპირისპირდებიან და გამარჯვების შემთხვევაში მეოთხედფინალში გააღწევენ.

ზირაქაშვილი ტრავმირებულია და განაცხადში არ არის.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ლესტერი" იტალიურ „აირონს" უმასპინძლებს.

**D ჯგუფი**

**კლერმონი-ალსტერი, ლესტერი-აირონი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ალსტერი - 19 ქულა, 2. კლერმონი - 16, 3. ლესტერი - 12, 4. აირონი - 0.**

F ჯგუფის ლიდერია **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზი", რომელსაც 18 ქულა დაუგროვდა და უახლოესი მდევარი ინგლისური „ჰარლიქვინზი" ორი ქულით ჩამორჩება. ტულუზელები სტუმრად ეთამაშებიან უშანსოდ დარჩენილ ინგლისურ „გლოსტერს" და გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში გააღწევენ. გიორგაძე ტრავმირებულია.

ასევე სტუმრად ითამაშებს ირლანდიურ „ქონოთთან" ტულუზელთა კონკურენტი „ჰარლიქვინზი".

**F ჯგუფი**

**ქონოთი-ჰარლიქვინზი, გლოსტერი-ტულუზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 18 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 16, 3. გლოსტერი - 10, 4. ქონოთი - 2.**

**B ჯგუფი**

**კარდიფი-მეტრო რასინგი, ედინბურგი-ლონდონ აირიში.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კარდიფი - 17 ქულა, 2. ედინბურგი - 17, 3. ლონდონ აირიში - 9, 4. მეტრო რასინგი - 8.**

**E ჯგუფი**

**ბენეტონი-სარასენზი, ბიარიცი-ოსფრიზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სარასენზი - 18 ქულა, 2. ოსფრიზი - 13, 3. ბიარიცი - 13, 4. ბენეტონი - 6.**


მარცხნივ დავით ხინჩაგიშვილი

საქართველოს ნაკრები



მილტონ ჰეიგი

# ბორჯღალოსნების ახალი მწვრთნელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი** და **კრის გიბსი.** საქართველოს რაგბის კავშირი ხელშეკრულებას ამ სპეციალისტებთან დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააფორმებენ.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნების" თავკაცის პოსტზე შოტლანდიელ **რიჩი დიქსონს** მილტონ ჰეიგი შეეცვლის, კრის გიბსი კი მისი ასისტენტი იქნება, რომელიც ძირითადად შერკინების მოთამაშეებთან იმუშავებს. ჰეიგის თანაშემწეები იქნებიან ასევე **ილია მაისურაძე** და **ილია ზედგინიძე.**

ახალზელანდიელი მწვრთნელები ნაკრების გარდა სარაგბო აკადემიაშიც იმუშავებენ, სადაც სწავლება ახალი სისტემით წარიმართება. ჰეიგი და გიბსი სემინარებს ჩაუტარებენ როგორც ასაკობრივი ნაკრებების, ისე ქართული კლუბების მწვრთნელებს. ხელშეკრულების მიხედვით, ყოველი წლის ბოლოს რაგბის კავშირი მწვრთნელების მუშაობას შეაფასებს, რომლის შედეგადაც გადაწყვეტს, გაუგრძელოს თუ არა კონტრაქტი ახალზელანდიელებს.

„ბორჯღალოსნების" ახალი მწვრთნელები აეროპორტში მოკლე კომენტარით შემოიფარგლნენ.

მილტონ ჰეიგი: *„საქართველოს ნაკრები კარგი, ძალიან საინტერესო გუნდია. ეს თქვენმა ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაშიც დაამტკიცა. გუნდის ყველა თამაშს ყურადღებით დავაკვირდი და საკმაოდ დიდი პოტენციალი დავინახე. სწორედ ამიტომ დავთანხმდი საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ერთად კიდევ უფრო წარმატებულად ვიასპარეზოთ საერთაშორისო არენაზე."*

კრის გიბსი: *„საქართველოს ნაკრებში მუშაობა კარგი შესაძლებლობაა ჩვენი ცოდნა გამოვამჟღავნოთ. ვფიქრობთ, ამ გუნდს კარგი მომავალი აქვს. ჩვენთვის პატივია ასეთი სერიოზული გამოწვევის მიღება."*

საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ მატჩს 4 თებერვალს, დნეპროპეტროვსკში გამართავს უკრაინის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც ქართველი მწვრთნელი **ზაზა ლეჟავა** თავკაცობს.

ტრანსფერი

# ჯაბა ბრეგვაძე ტულუზს სურს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ლიდერი, ამ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და ევროპული რაგბის გრანდი „ტულუზი" საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭით, **ჯაბა ბრეგვაძით** დაინტერესდა.

ქართველი მორაგბის ფრანგულ კლუბში ჩარიცხვის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, რაც სპეციალურ ტესტებს ჩააბარებს. თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, ბრეგვაძე უკვე მომავალ უქმეებზე ითამაშებს „ტულუზის" შემადგენლობაში „მეტრო რასინგთან" მატჩში. „ტულუზის" ხელმძღვანელები აპირებენ ჯაბა ევროთასების განაცხადშიც შეიყვანონ.

ცოტა რამ ჯაბა ბრეგვაძის შესახებ. ის 24 წლისაა და თბილისის „ყოჩების" აღზრდილია. შარშან სეზონის დასაწყისში „არმიაში" გადაბარგდა. ეროვნულ ნაკრებში 17 კეპი აქვს მოხვეჭილი. ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსანთა" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო და ჯგუფური ტურნირის ოთხივე შეხვედრაში იასპარეზა.

შეგახსენებთ, რომ „ტულუზმა" „სამედიცინო ჯოკერის" პრინციპით იანვრის დასაწყისში შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე** აიყვანა. „გლობუსამ" მხოლოდ ორ შეხვედრაში იასპარეზა და იმდენად მძიმედ დაშავდა, რომ მინიმუმ ოთხი თვე ვერ შეძლებს თამაშს. „ტულუზის" მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ** გადაწყვიტა კიდევ ერთი „სამედიცინო ჯოკერის" დამატება და თვალი მეორე ქართველს, ჯაბა ბრეგვაძეს დაადგა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



კობი ლებრონს უტევს

# გვიან გაღვიძებული კობი

გასული დღის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, ფლორიდაში გაიმართა. **კობი ბრაიანტი** და „ლეიკერსი“ **ლებრონ ჯეიმსსა** და „ჰიტს“ ესტუმრნენ. მატჩის წინ იყო დიდი ალბათობა იმისა, რომ ჯეიმსი გრიპის გამო ვერ შეძლებდა თამაშს, მაგრამ „მეფემ“ მაინც მოახერხა მოედანზე გასვლა. ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა **დუეინ უეიდმა**. მის ნაცვლად სასტარტოში **შეინ ბატიე** ვიხილეთ, რომელმაც პირველ მეოთხედში კარგად დაკეტა ბრაიანტი, რომელსაც ექვსიდან მხოლოდ ერთი ტყორცნა ჩააგდებინა.

პირველმა მეოთხედმა მშვიდად ჩაიარა. არ ყოფილა არც ერთი სწრაფი გარღვევა და გუნდები ბურთის ბოლომდე გათამაშებას ცდილობდნენ. „ლეიკერსს“ პირველი პრობლემა მაშინ შეექმნა, როცა **ბინუმმა** ორი პერსონალური მიიღო და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. **პაუ გასოლს** მარტო მოუწია **კრის ბოშთან** და **ჯოელ ენტონისთან** ბრძოლა.

მეორე მეოთხედში ფლორიდელებმა განავრცეს თავიანთი უპირატესობა - ძირითადად სათადარიგოების კარგი თამაშის ხარჯზე. **უდონის ჰასლემი** და **ნორის კოული** ოპონენტების ფონზე კარგად გამოიყურებოდნენ. „მაიამის“ ახალბედამ პირწმინდად დაჩაგრა თავისი ვიზავი **დარიუს მორისი**. საერთო ჯამში, თამაში მაინც ქაოსური იყო - ბევრი ხისტი ბრძოლით, არაზუსტი პასებით, შეტევების რთული დასასრულით... გუნდებმა ჯამში რვა შეცდომა დააგროვეს, რომელთაგანაც სამი **მეტ ბერნსის** ანგარიშზე იყო. დიდ შესვენებაზე „ჰიტი“ 15-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

დასვენებულმა „ლეიკერსმა“ მეორე ტაიმი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ **კრის ბოშმა** და ჯეიმსმა მალე დაუბრუნეს თამაშს ძველი სცენარი. მათ 10 წუთში 17 ქულა ჩაიწერეს აქტივში, რის შემდეგაც ესტაფეტა ჯოელ ენტონის გადასცეს, რომელიც მოულოდნელად იოლად უმკლავდებოდა ენდრიუ ბინუმს. ფლორიდელებს მხოლოდ პაუ გასოლი ებრძოდა ღირსეულად. ის **მაიკ ბრაუნის** გუნდში ლიდერი იყო. ესპანელი ერთადერთი გახლდათ, რომელიც დამაჯერებლად უტევდა, მაგრამ მეტი პროდუქტიულობისთვის მას პარტნიორების მხარდაჭერა აკლდა. ბოლო მეოთხედისთვის „ჰიტის“ უპირატესობამ 21 ქულას მიაღწია. მატჩის ბოლო მონაკვეთში, როგორც იქნა, გაიღვიძა კობიმ, რომელმაც 12 წუთში 14 ქულა დააგროვა და სამი შედეგიანი პასი გააკეთა, მაგრამ დრო აღარ იყო „ლეიკერსის“ მხარეს.

**მაიამი-ლეიკერსი 98:87**

25:20, 27:17, 25:19, 21:31

მ: ჯეიმსი (31+8 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ბოში (15+8 მოხსნა), ბატიე (11+6 მოხსნა), ჩელმერსი (10+6 პასი).

ლ: პ. გასოლი (26+8 მოხსნა), ბრაიანტი (24+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ბინუმი (15+12 მოხსნა).

# დალასმა ნავსი გატეხა

„დალასმა“ ლოსანჯელესურ კლუბებთან ბოლო წამებზე დასანანი წაგების შემდეგ, სოლტ-ლეიკ-სიტიში შეძლო გამარჯვების შენარჩუნება, არადა, აქამდე „იუტას“ საკუთარ მოედანზე მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა. დაძაბული გრაფიკისა და ლიგაში ყველაზე „ხანდაზმული“ შემადგენლობის მიუხედავად, „დალასმა“ შესანიშნავად დაიწყო და ახალგაზრდა მეტოქეს სოლიდური ტემპი შესთავაზა. მასპინძელი აყვა თამაშის რიტმს, მაგრამ „ჯაზს“ მომენტების რეალიზაციის პროცენტი (33.1) არ უვარგოდა. „მავერიქსის“ ანალოგიური მაჩვენებელი პირველ მეოთხედში 52 პროცენტი იყო. მასპინძლებს დაცვაც არ უვარგოდათ და მეორე მეოთხედის შუაში „დალასმა“ 20:8 გაქცევა მოაწყო, დიდ შესვენებისთვის კი გასახდელში 9-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

„დიდი შესვენებისთვის“ მასპინძლებმა სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და უნარიანად პასუხობდნენ „დალასის“ „ჩხვლეტებს“. „მეორეწლიანმა“ **გორდონ ჰეივორდმა** ორ წუთში თავისი გუნდის 10:0 გაქცევას შეუწყო ხელი და მოედანზე სიტუაცია გათანაბრდა. „დალასმა“ აშკარად უკლო თამაშს. სტუმრებმა მხოლოდ 12 ქულა დააგროვეს მესამე მეოთხედში და ახლა მათ ჰქონდათ ტყორცნების რეალიზაციის 31 პროცენტი. სროლა არ შესდიოდა **დირკ ნოვიცკის**, ძალიან სუსტად შევიდა თამაშში **ჯეისონ ტერი**. ბოლო მეოთხედისთვის მასპინძლებმა ორი ქულით წინ გასვლა მოახერხეს.

მაგრამ მეტის გაკეთება „იუტამ“ ვერ შეძლო. „დალასის“ გეგმებში არ შედიოდა ზედიზედ მესამე მატჩის ბოლო წამებზე წაგება. ამიტომაც **როდრიგ ბობუამ** თავის თავზე აიღო თამაში და გაარღვია „ჯაზმენთა“ დაცვა. ფრანგი მცველი, რომელმაც ბოლო მეოთხედში 10 ქულა დააგროვა, ნებისმიერი სიტუაციიდან უტევდა, თანაც დაცვასაც არ ივიწყებდა - ორი დაფარება გააკეთა. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე მასპინძლებმა ისევ გამოძებნეს საკუთარ თავში ძალები და გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ კვლავ გადამწყვეტ მომენტში ჯეისონ ტერიმ იყოჩაღა, როცა რიგითი სამქულიანი მოათავსა კალათში. მას წამოეხმარა მატჩის მთავარი გმირი **შონ მერიონი** და საქმე გაკეთებული იყო.

■ ■ ■

პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში „ჰიუსტონმა“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მიაღწია - ოვერტაიმში მოუგო „ნიუ ორლეანს“. „რაკეტებმა“ თავად შეიქმნეს პრობლემები მეოთხე მეოთხედში, რომელშიც მხოლოდ შვიდი ქულა დააგროვეს. „ნიუ ორლეანი“ თითქმის მთელი მატჩი მდევრის როლში იყო და საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე 10 ქულას აგებდა. სტუმრებს სამი წუთი ეყოთ 8:0 გაქცევის მოსაწყობად და შემდეგ თამაშის ოვერტაიმში გადასაყვანად, სადაც უკვე თავად დაწინაურდნენ ხუთი ქულით. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თავისი სიტყვა თქვა **სამუელ ლადემბერმა**, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა მეტოქის ფარზე და პარტნიორების შეცდომები გამოასწორა. ცენტრმა წუთ-ნახევარში ხუთი ქულა მოიპოვა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. „ჰორნეტსმა“ მატჩის ხელმეორედ გადარჩენა ვერ შეძლო და ბოლო 13 მატჩში მეთერმეტედ დამარცხდა.

**ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი 90:88 ო**

32:27, 26:22, 17:14, 7:19, 8:6

ჰ: მარტინი (32+8 მოხსნა), ლი (17+3 ჩაჭრა), დალემბერი (15+17 მოხსნა), სკოლა (13).

ნ-ო: სმითი (17+5 მოხსნა+3 დაფარება), ჯეკი (15+5 მოხსნა+7 პასი), ბელინელი (15), ოკაფორი (8+12 მოხსნა).

**იუტა-დალასი 91:94**

22:25, 28:34, 21:12, 20:23

ი: ჯეფერსონი (22+9 მოხსნა), მაილზი (17), მილსეპი (16+12 მოხსნა), ბურქსი (10).

დ: მერიონი (22+7 მოხსნა), ბობუა (17), ნოვიცკი (12+5 მოხსნა), ოდომი (11), ტერი (10), კიდი (2+5 მოხსნა+11 პასი).



იუტა-დალასი

# ნიქსი ნეშს უმიზნებს

„ფინიქს სანზის“ 37 წლის გამთამაშებელი **სტივ ნეში**, შესაძლოა, უკვე ამ სეზონში გახდეს „ნიუ იორკ ნიქსის“ წევრი. როგორც გაზეთი NY Daily News წერს, ამ კალათბურთელის თავის გუნდში ხილვა უკვე დიდი ხანია სურს „ნიქსის“ მთავარ მწვრთნელს **მაიკ დ'ენტონის**, რომელიც მანამდე სწორედ „ფინიქსს“ ავარჯიშებდა. არგუმენტად მოჰყავთ კანადელი პლეიმეიკერის სიტყვები, რომელშიც ამბობს, რომ მზად არის NBA-ში კიდევ ორი სეზონი გაატაროს.

„თავს კარგად ვგრძნობ. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ შემიძლია ასეთ დონეზე კიდევ ორი-სამი სეზონი ჩავატარო. ფიზიკური მდგომარეობა მაძლევს ამის თქმის საშუალებას“, - განაცხადა ნეშმა.

დავამატებთ, რომ მთავარ მწვრთნელთან ნაცნობობის გარდა, „ნიუ იორკში“ თამაშობს ვეტერანი მცველის მეგობარი **ამარე სტაუდმაიერი**. გარდა ამისა, „ფინიქსის“ ლიდერმა რამდენიმე წლის წინ შეიძინა სახლი აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც მისი ოჯახი ყოველ ზაფხულს ატარებს.



უტევს სტივ ნეში

# 80 მილიონი უესტბრუკს

„ოკლაჰომა სიტიმ“ ახალი მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა წამყვან მცველ **რასელ უესტბრუკთან**, რომელიც ამ სეზონის შემდეგ შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი უნდა გამხდარიყო.

მხარეები არ ახმოვანებენ გარიგების დეტალებს. თუმცა ESPN-ის ინფორმაციით, ახალი კონტრაქტი ხუთწლიანია, მისი საერთო თანხა კი 80 მილიონ დოლარს შეადგენს.

დღეისთვის „ოკლაჰომა“ ლიდერობს დასავლეთ კონფერენციას, 23 წლის უესტბრუკი კი საშუალოდ მატჩში 20.5 ქულას, 5.5 შედეგიან გადაცემასა და 5.0 მოხსნას აგროვებს.

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-ნეშვილი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ერატი-11 (ს. კოსტიცინი-13), 0:2 ფიშერი-9 (ერატი-21, იოსი-7), 0:3 შ. უებერი-10 (სმიტსონი-4, კლეინი-8).

**ფილადელფია-აილენდერსი 1:4**

0:0, 0:2, 1:2

გოლები: 0:1 მოულსონი-22 (ტავარესი-28, ოკსოპო-12), 0:2 ბეილი-4 (მ. მარტინი-6), 0:3 შტრაიტი-3 (ტავარესი-29, პარენტო-31), 1:3 რიდი-14 (კუტურიე-8, მეზაროში-11), 1:4 გრაბნერი-14 (პარენტო-32).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 1:4**

0:1, 1:0, 0:3

გოლები: 0:1 კუნიტცი-14 (პ. მარტინი-13, ჯ. ნილი-17), 1:1 ჰაგელინი-8 (გაბორიკი-14, მაკდონაჰი-15), 1:2 პარკი-4 (ენგელანდი-9, კუკი-8), 1:3 მალკინი-23 (ლეტანგი-17), 1:4 მალკინი-24 (ჯ. ნილი-18, კუნიტცი-17).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 1:4**

1:0, 0:0, 0:4

გოლები: 1:0 სიკორა-12 (ზუბრუსი-12, ელიაში-28), 1:1 ფერენსი-3 (შ. ტორნტონი-5, გ. კემპბელი-7), 1:2 ჰორტონი-17 (კრეისი-25, პევერლი-23), 1:3 გ. კემპბელი-5 (შ. ტორნტონი-6, პეი-4), 1:4 კ. კელი-14.

**ტორონტო-მინესოტა 4:1**

2:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 კადრი-4 (ლუპული-29), 2:0 კრები-8 (შტეკელი-1), 3:0 კესელი-25 (ლუპული-30, ტიმ კონოლი-17), 4:0 გრაბოვსკი-15 (ლუპული-31, გარდინერი-11), 4:1 ნ. ჯონსონი-6 (ბროძიაკი-11, სტოუნერი-3).

**სტ. ლუისი-ედმონტონი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 პიეტრანჯელო-8 (პერონი-13, ბეკსი-19).

**ვინიპეგი-ბაფალო 4:1**

1:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 ლედი-16 (ჰეინსი-7, უელვუდი-18), 1:1 სტეფორდი-8 (გერბე-12), 2:1 ენსტრიომი-4 (ლიტლი-11, ველერი-24), 3:1 სტეპლტონი-7 (ანტროპოვი-17, ლედი-8), 4:1 ანტროპოვი-6 (უელვუდი-19, ოდუია-10).

**ფინიქსი-დეტროიტი 2:3 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ტორესი-7 (ჩიპჩურა-10, სამერსი-3), 1:1 ი. უაიტი-6 (ფრანცენი-21, დაციუკი-37), 1:2 ბერტუცი-10 (ფრანცენი-22, დაციუკი-38), 2:2 ბრული-2 (ჩიპჩურა-11).

ბულიტები გაიტანეს: ბერტუცი (დეტროიტი).

**ლოს ანჯელესი-კალგარი 1:2 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 დ. ბრაუნი-13 (ჯასტინ უილიამსი-23, უ. მიტჩელი-8), 1:1 იგინლა-18 (ო. იოკინენი-24, ბროდი-9).

ბულიტები გაიტანეს: ჯასტინ უილიამსი (ლოს ანჯელესი), ო. იოკინენი (კალგარი), კამალერი (კალგარი).

**სან ხოსე-ოტავა 1:4**

1:1, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 ვინჩესტერი-6 (დეჟარდენი-6, დ. ბოილი-23), 1:1 ტარისი-4 (გონჩარი-23, ალფრედსონი-21), 1:2 ე. კარლსონი-7 (ტარისი-9, ფოლინო-17), 1:3 გრინინგი-10 (კუბა-12, სპეცა-29), 1:4 გრინინგი-11 (სპეცა-30, კოუენი-10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ფავორიტები მძლავრობენ



რაფა ნადალი

ავსტრალიის ღია პირველობის მეხუთე სათამაშო დღეს მეთექვსმეტედფინალური ეტაპი დაიწყო. დაძაბული მატჩები ძალიან ცოტა იყო - გადამწყვეტი სეტის ჩატარება ქალების ერთ და მამაკაცების ორ მატჩში გახდა საჭირო.

მამაკაცთა ბადეში გაცილებით ბევრი დაძაბული შეხვედრა ვიხილეთ. ერთადერთი, ვინც იოლ გამარჯვებას მიაღწია, **რაფაელ ნადალი** იყო. მას მეტოქედ სლოვაკი **ლუკაშ ლაჩკო** ჰყავდა. ამ ჩოგბურთელების წინა შეხვედრაში ესპანელმა ერთი სეტი „მშრალი" ანგარიშით წააგო. მაგრამ, ამჯერად, ნადალმა ასეთი გაუგებრობა არ დაუშვა, ძალიან მოტივირებული გავიდა კორტზე და მხოლოდ ერთხელ მისცა მეტოქეს ბრეიკის გაკეთების საშუალება - 6:2, 6:4, 6:2.

**როჯერ ფედერერს** არ ჰქონია იოლი გასეირნება. როცა ხორვატ **ივო კარლოვიჩს** მოწოდება მისდის, მისი თამაშისთვის გასალების მორგება ძალიან რთულია - მთელი პირველი სეტის განმავლობაში შვეიცარიელი ამაოდ ცდილობდა მეტოქის გეიმის აღებას. როგორც მოსალოდნელი იყო, პარტია ტაი-ბრეიკით დასრულდა, სადაც ხორვატ ჩოგბურთელს სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო და ამისთვის დაისაჯა კიდეც. ფედერერმა მოიგო შემოკლებული გეიმი - 8:6, მეორე სეტში კი, როგორც იქნა, ბრეიკიც გააკეთა და 7:5 გაიმარჯვა. მესამე სეტში კარლოვიჩს ფიზიკური ძალა აღარ ეყო საბრძოლველად, ორი პარტიის წაგების შემდეგ განწყობაც გაუფუჭდა. მან 40:15-დან წააგო საკუთარი გეიმი და როჯერმა სამ სეტში გამარჯვება გაიფორმა - 7:6(6), 7:5, 6:3.

შვეიცარიელის მეტოქე სალამოს მატჩში ირკვეოდა, რომელშიც ავსტრალიური პუბლიკის ახალი იმედი **ბერნარდ ტომიჩი** უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვს** ხვდებოდა. მესამე წრემდე უკრაინელმა ორი ხუთსეტიანი მატჩის გამართვა მოასწრო, ავსტრალიელმა - ერთის. ამასთან, ორივეს მოუწია 0:2-დან შეხვედრის გადარჩენა: დოლგოპოლოვს **გრეგ ჯონსთან**, ტომიჩს - **ფერნანდო ვერდასკოსთან**.

ამიტომაც, გასაკვირი არაფერი არ არის იმაში, რომ მათი შეხვედრაც ხუთ სეტამდე გაიწელა. პირველ პარტიაში ბერნარდმა შეძლო 4:2 დაწინაურება, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო, თანაც თავისი მოწოდება 40:15-დან დათმო. მეორე პარტიაშიც ტომიჩმა პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ დოლგოპოლოვმა დაიბრუნა მოწოდება, თუმცა ამჯერად გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწია. სეტის ბოლოს მასპინძელმა აქტიურობას უმატა და სათამაშო ინიციატივა იგდო ხელთ. ბოლო გეიმი უკრაინელმა ორი სეტბოლიდან გადაარჩინა, მაგრამ ტაი-ბრეიკი ჩააგდო - ვერც ერთი ქულა ვერ აიღო „საჩოგბურთო ლატარიაში".

მესამე პარტია დოლგოპოლოვმა შესანიშნავად დაიწყო და დამსახურებულად დაწინაურდა - 3:0. მაგრამ იქვე მოდუნდა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მერვე გეიმში უკრაინელს რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ეს შანსი არარეალიზებული დარჩა და საბოლოოდ, საქმე ისევ ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ამჯერად „შემოკლებული გეიმი" გაცილებით დაძაბული გამოვიდა - ჩოგბურთელები მორიგეობით იღებდნენ მინი-ბრეიკებს, მაგრამ ბოლოს მაინც ტომიჩი იყო უფრო ძლიერი - 8:6.

მეოთხე სეტის შუაში ბერნარდმა წააგო საკუთარი მოწოდება, რის შემდეგაც მეხუთე სეტისთვის ძალების შენახვა გადაწყვიტა და ამიტომაც ამ პარტიაში ბრძოლა შეწყვიტა. მეხუთე სეტში კი მაყურებელმა ერთადერთი ბრეიკი იხილა, რომელიც ავსტრალიელის ანგარიშზე იყო.

ასევე ხუთსეტიანი გამოვიდა **ფელისიანო ლოპესისა** და **ჯონ ისნერის** მატჩი. ესპანელმა წააგო ორი ტაი-ბრეიკი მეორე და მეოთხე პარტიებში, მაგრამ დანარჩენ სეტებში დაღლილ ამერიკელზე უკეთ გამოიყურებოდა - 6:3, 6:7(3), 6:4, 6:7(0), 6:1. სხვათა შორის ისნერი აშშ-ის ერთადერთი წარმომადგენელი იყო სატურნირო ბადეში, ასე რომ, პირველად ბოლო 40 (!) წლის განმავლობაში, ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში ვერ გავიდა ამერიკელი ჩოგბურთელი.

■ ■ ■

ქალთა ბადეში გამარჯვებები მოიპოვეს იმ ჩოგბურთელებმა, რომლებსაც სტატუსის მიხედვით ევალებოდათ ამის გაკეთება.

ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** მერვედფინალში გადასასვლელი შეხვედრა მოუგო გერმანელ **მონა ბარტელს**, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობის წინ ჰობარტში მოიგო კარიერაში პირველი ტიტული. პირველი პარტია ბელარუსისთვის საკმაოდ იოლად წარიმართა - ის კარგად უტევდა და ნახევარ საათში გაიფორმა გამარჯვება. მეორე სეტი გაცილებით დაძაბული გამოვიდა. მონამ შეძლო უკანა ხაზზე თამაშის დალაგება და მეტოქეს სერიოზული ბრძოლა გაუმართა. აზარენკამ მოახერხა ერთი ბრეიკის გაკეთება, რის შემდეგაც დიდი გაჭირვებით ინარჩუნებდა თავის მოწოდებებს. განსაკუთრებით ნერვული გამოვიდა ბოლო გეიმი. მასში ბევრი იყო საკამათო სიტუაცია, მაგრამ იმ მომენტისთვის ბელარუსს გამეორებების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა და მსაჯის სწორი გადაწყვეტილების იმედად უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, აზარენკამ მეხუთე მატჩბოლზე მაინც შეძლო თამაშის თავის სასარგებლოდ დასრულება.

**ანა ტატიშვილთან** რთული მატჩის შემდეგ, ამჯერად **კაროლინ ვოზნიაცკიმ** უფრო ყურადღებითა და მობილიზებით ითამაშა **მონიკა ნიკულესკუს** წინააღმდეგ. მეორე სეტში სტარტზე დაკარგული საკუთარი მოწოდება დაიბრუნა და 6:2, 6:2 გაიმარჯვა. **კიმ კლაისტერსს** ერთი გეიმით მეტი დასჭირდა სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** დასამარცხებლად - 6:3, 6:2. თუმცა სლოვაკმა პირველი პარტიის შუაში მარცხენა ფეხთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო და შემდეგ კორტზე გადაადგილება უჭირდა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავსტრალიის ღიას მოქმედი ჩემპიონი ძალიან მაღალ დონეს აჩვენებდა.

**კრისტინა მაკჰეილმა** ერთი სეტი „მშრალი" ანგარიშით წააგო **ელენა იანკოვიჩთან. აგნიეშკა რადვანსკამ** ერთნაირი ანგარიშით - 6:2 მოუგო ორივე სეტი **გალინა ვოსკობოევას. ნა ლისა** და **ანაბელ მედინა გარიგესის** მატჩი კი ძალიან მალე დასრულდა- მეორე გეიმში ესპანელმა ფეხი გადაიბრუნა და მტკივნეული ტრავმა მიიღო. სამედიცინო ტაიმაუტის შემდეგ მან გეიმნახევარი კიდევ ითამაშა და შემდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

### 1/16 ფინალი

#### კაცები

**ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 6:2, 7:6(3); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 11)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:2, 6:3, 6:0; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 13) 4:6, 7:6(0), 7:6(6), 2:6, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:6(6), 7:5, 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 30) 7:6(5), 7:6(1), 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 21) 7:6(2), 6:2, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 18)**-ჯონ ისნერი (აშშ, 16) 6:3, 6:7(3), 6:4, 6:7(0), 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:2, 6:4, 6:2.

#### ქალები

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ, 31) 6:2, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 13)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:2, 6:0; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 11)**-დანიელ ჰანტუხოვა (სლოვაკ, 20) 6:3, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 5)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 26) 3:0 უარი; **ვიქტორა აზარენკა (ბლრ, 3)**-მონა ბარტელი (გერ) 6:2, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ნინა ბრატჩიკოვა (რუს) 6:1, 6:3; **ჟულია გორგესი (გერ, 22)**-რომინა ოპრანდი (იტა) 3:6, 6:3, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:2, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ლეხი-ზაგლებე | 2:0 |
| კრილია-თუნი | 0:3 |
| ალემანია-ტიროლი | 1:0 |
| რუსენბორგი-ბიასენი | 0:1 |
| სიოგნდალი-ფიორდე | 4:1 |
| ციურიხი-ლოკომოტივი | 0:0 |
| **იტალია** | |
| სერია B | |
| სამპდორია-ლივორნო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| II დივიზიონი | |
| ალკოიანო-ალმერია | 2:2 |
| **გერმანია** | |
| ბორუსია (მ)-ბაიერნი | 3:1 |
| რეგიონალლიგა (დას) | |
| ფორტუნა (კ)-ბოხუმი II | 1:4 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| საბლე-პსჟ | 0:4 |
| **ჰოლანდია** | |
| დენ ჰააგი-როდა | 3:3 |
| II დივიზიონი | |
| ემენი-აპელდოორნი | 1:0 |
| ცვოლე-ალმერი | 3:2 |
| ჰელმონდი-მაასტრიხტი | 2:2 |
| ტელსტარი-ფორტუნა | 2:1 |
| ვილემი-ეინდჰოვენი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| გენკი-სტ. ტრუიდენი | 2:1 |
| II დივიზიონი | |
| შარლერუა-ვაასლანდი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ლეირია | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ლიგის თასი | |
| ჰიკ-მიუპა | 4:0 |
| იუვიასკიულა-კუოპიო | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| II დივიზიონი | |
| ვრასივულოსი-ვისასი | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ანტალია-ბეშიქთაში | 1:2 |
| გაზიანთეფი-მერსინი | 1:0 |
| **უელსი** | |
| ლიგის თასი | |
| ეირბასი-ბალა | 4:1 |
| კარმართენი-პორტ ტელბოტი | 1:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-ბალიმენა | 2:2 |
| პორტდაუნი-დონეგალი | 2:1 |

### კალათბურთი

| [illegible] | |
|---|---|
| [illegible] | 65:78 |
| [illegible] | |
| [illegible] | 83:68 |

### ხელბურთი

| ევ. ჩემპიონატი | |
|---|---|
| კაცები | |
| ისლანდია-სლოვენია | 32:34 |
| რუსეთი-ესპანეთი | 27:30 |
| ხორვატია-ნორვეგია | 26:20 |
| საფრანგეთი-უნგრეთი | 23:26 |

### ჰოკეი

| ავსტრია | |
|---|---|
| ვილახი-ზნოიმო | 7:0 |
| გრაცი-აკრონი | 4:1 |
| ლინცერი-ვენა | 4:3 (ბ) |
| ზაგრები-ზალცბურგი | 6:3 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 0:4 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-მანჰაიმი | 4:2 |
| აისბარენი-მიუნხენი | 1:2 |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 3:0 |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 1:3 |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 6:3 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 3:2 (ო) |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ტრენჩინი | 4:1 |
| ნიტრა-სკალიცა | 4:2 |
| ზვოლენი-მარტინი | 2:3 (ბ) |
| სლოვანი-ბისტრიცა | 3:4 (ბ) |
| ჟილინა-კოშიცე | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ესეტი | 4:1 |
| კერპეტი-ბლუზი | 2:4 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 4:3 (ბ) |
| ტაპარა-ილვესი | 3:1 |
| ტპს-ლუკო | 4:3 |
| ჰიფკ-იუვიასკიულა | 1:3 |
| ჰპკ-სეი პა | 3:2 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პლზენი | 5:3 |
| ჟლინი-ბოლესლავი | 1:4 |
| ბრნო-ტრშინეცი | 1:0 |
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:3 (ო) |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 4:3 (ბ) |
| სპარტა-კლადნო | 1:0 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-კლოტენი | 0:3 |
| ბერნი-ციურიხი | 3:2 |
| ლანგნაუ-ფრიბურგი | 2:5 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ვაქსიო-ჰ371 | 2:1 (ბ) |
| ფრიოლუნდა-მოდო | 2:1 |

## TV პროგრამა

### 21 იანვარი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**14:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. ნორვიჩი-ჩელსი (LIVE).
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:30** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. რომა-ჩეზენა (LIVE).
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ატალანტა-იუვენტუსი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. I ტურის მიმოხილვა.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლეიკერსი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**16:00** ჩოგბურთი. სუპერმატჩი.
**17:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბასი-გლაზგო უორიორზი (LIVE).
**19:40** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კლერმონი-ალსტერი (LIVE).
**21:30** სუპერკოლაჟი.
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნორთჰემპტონი-მანსტერი (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლეიკერსი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
**12:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. გლაზგო უორიორზი-ლენსტერი.
**14:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ბოსტონი.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. შალკე-შტუტგარტი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.

### 22 იანვარი. კვირა

GMG-ფეხბურთი
**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ატალანტა-იუვენტუსი.
**12:00** საფრანგეთი ჩემპიონატი. I წრის მიმოხილვა.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**14:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**15:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ოსასუნა-ვალენსია (LIVE).
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი (LIVE).
**19:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური. მალაგა-ბარსელონა (LIVE).
**23:00** საფრანგეთი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური. რეალი-ბილბაო (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუიორკი-ბოსტონი.
**13:00** ჩოგბურთი. სუპერმატჩი.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ბოლონია-პარმა (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ალკმაარი-აიაქსი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. არსენალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი (LIVE).
**00:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ედინბურგი-ლონდონ აირიში.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**16:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ატლანტა.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი (LIVE).
**20:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბიარიცი-ოსპრეი.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. ინტერი-ლაციო (LIVE).

კალათბურთი. ევროლიგა




ეფესი-გალათასარაი

# გადარჩენილი რეალი

ხუთი მატჩით დასრულდა საკალათბურთო ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი ტური.

E ჯგუფში საინტერესო იყო სტამბოლის დერბი „ეფესსა“ და „გალათასარაის“ შორის. გუნდებმა განსხვავებული ტაიმები ჩაატარეს. პირველში „ეფესი“ დომინირებდა და დიდი შესვენებისთვის 11 ქულით მოახერხა წინ გასვლა. მეორე ტაიმში „გალათასარაიმ“ თანდათან დაიწყო ჩამორჩენის შემცირება – მესამე მეოთხედი სამი ქულით მოიგო, მეოთხე – ორით, მაგრამ ბოლომდე მეტოქის დაწევა ვერ შეძლო.

**ეფესი–გალათასარაი 68:62**

29:19, 16:15, 15:18, 8:10

ე: ვუიაჩიჩი (17), სავანოვიჩი (16+17 მოხსნა), ბარაცი (12).

გ: ანდრიჩი (14), ლაკოვიჩი (13), ლუკასი (10+9 მოხსნა+4 პასი).

■ ■ ■

ყველაზე დრამატულად მოვლენები F ჯგუფის შეხვედრაში განვითარდა, რომელშიც მალაგაში “უნიკახა” „რეალს“ მასპინძლობდა.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, “რეალმა” თითქოს მესამე მეოთხედში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ამ დღეს „უნიკახას“ რიგებში შეუჩერებელი იყო სერბი ლეგიონერი **ზორიჩი**, რომელმაც 32 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა. სწორედ მისი მონდომებით მასპინძლებმა ჯერ თანაფარდობა აღადგინეს, ბოლო წამებზე კი იმავე ზორიჩის ორი ქულით წინ გასვლაც მოახერხეს.

„რეალის“ განკარგულებაში რვა წამი იყო შეხვედრის გადასარჩენად და სწორედ აქ გაიბრწყინა **მიროტიჩმა**, რომელმაც ბოლო წამზე ჩააგდო ორქულიანი და „რეალს“ ერთი ქულით მოაგებინა – 81:80.

**უნიკახა–რეალი 80:81**

20:15, 19:22, 19:25, 22:19

უ: ზორიჩი (32+9 მოხსნა), როდრიგესი (9), ვალტერსი (9+7 აეპელთჩ).

რ: სინგლერი (13), მიროტიჩი (12+6 მოხსნა), ტომიჩი (12+7 მოხსნა), როდრიგესი (11+9 პასი), რეიესი (10+5 მოხსნა).

■ ■ ■

G ჯგუფში გამოდის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი“, რომელიც სტუმრად თამაშობდა „მილანის“ წინააღმდეგ და უპრობლემოდ გაიფორმა გამარჯვება.

ბერძნებმა პირველივე მეოთხედში დაამტკიცეს საკუთარი ამბიციები, როცა საწყისი 12 წუთი 14 ქულით მოიგეს. ამას მეორე მეოთხედში კიდევ ექვსი ქულა დაემატა და სხვაობა 20 ქულამდე ავიდა, რაც პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა. მესამე მეოთხედში ანგარიში კიდევ უფრო გაიზარდა და მხოლოდ მეოთხე მეოთხედში გაიბრძოლეს „მილანის“ რეზერვისტებმა, რომლებმაც 4 ქულით მოიგეს დასკვნითი ნაწილი.

**მილანი–პანათინაიკოსი 57:78**

10:24, 13:19, 10:15, 24:20

მ: ფოცისი (10+6 მოხსნა), როკა (8+6 მოხსნა).

პ: ლოგანი (12), სატო (11+6 მოხსნა), ბატისტი (10).

■ ■ ■

პირველ რიგში გვაინტერესებდა H ჯგუფში იტალიის „კანტუს“ თამაში, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს – „ბარსელონას“ სტუმრობდა. „კანტუს“ ქართველმა ლეგიონერებმა **გიორგი შერმადინმა** და **მანუჩარ მარკოიშვილმა** შესაბამისად, 9 და 4 ქულა დააგროვეს, რაც შეეხება შეხვედრის მსვლელობას, იტალიურმა კლუბმა მოულოდნელად დიდი ბრძოლა გაუმართა „ბარსელონას“ - „კანტუმ“ მოიგო პირველი ტაიმი, ბოლო მეოთხედის წინ კი ანგარიში თანაბარი იყო.

მაგრამ ბოლო მეოთხედში „ბარსამ“ **ეიდსონისა** და **ლორბეკის** მონდომებით ხუთი ქულით წინ გასვლა მოახერხა და საბოლოოდ, 65:60 გაიმარჯვა.

ამავე ჯგუფში გაიმარჯვა მეორე ფავორიტმა – თელ-ავივის „მაკაბიმ“, რომელმაც სტუმრად კაუნასში დაამტკიცა თავისი კლასი. ისრაელის ჩემპიონმა პირველ ტაიმში პირწმინდად დაჩაგრა „ჟალგირისი“ და დიდი შესვენებისთვის 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია. თუმცა ლიტველებმა შეძლეს შეხვედრისთვის ინტრიგის დაბრუნება, როცა ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირა. მაგრამ ამით “ჟალგირისის” წარმატებები დასრულდა. ბოლო მეოთხედმა ისევ “მაკაბის” უპირატესობით ჩაიარა და საბოლოოდ, სტუმრებმა 84:76 მოიგეს.

**ჟალგირისი–მაკაბი 76:84**

16:23, 21:25, 24:16, 15:20

ჟ: რაკოვიჩი (15), პოპოვიჩი (14+5 პასი), კოლინზი (10), კალნიეტისი (10+5 პასი).

მ: მალეტი (15), ელიაჰუ (14), ლენგფორდი (12+7 პასი), ჰენდრიქსი (11).

**ბარსელონა–კანტუ 65:60**

15:18, 13:12, 21:19, 16:11

ბ: ეიდსონი (18+5 მოხსნა+4 პასი), ლორბეკი (13+9 მოხსნა), მარსელინიო (11).

კ: მიჩოვი (13+9 მოხსნა+4 პასი), ბაზილე (13), შერმადინი (9), მარკონატო (9).

ამბები

**მძლეოსნობა**

## ლონდონში ჩემპიონი ვერ მიდის

სამხტომში პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, პორტუგალიელი **ნელსონ ევორა** ლონდონის თამაშებს გამოტოვებს - სპორტსმენს მარჯვენა ფეხის ძველი ტრავმა აწუხებს. პორტუგალიელს ამ დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ და აღდგენითი პროცესი ხანგრძლივი იქნება.

27 წლის ევორა აცხადებს, რომ ამ ტრავმის გამო არ მოუწევს კარიერის დასრულება, მაგრამ ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა გამორიცხულია.

2007 წელს პორტუგალიელმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, 2008 წელს კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 2010 წელს მან მარჯვენა ფეხის მოტეხილობის გამო ოპერაცია გადაიტანა და ამ მიზეზით ერთი წელი გააცდინა.

**დოპინგი**

## ბრაზილიელების შეცდომა

რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ლაბორატორიის მუშაობა ნაწილობრივ შეჩერებულია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლაბორატორიის სპეციალისტებმა შეცდომით დაუდგინეს დადებითი დოპინგტესტი ბრაზილიელ ფრენბურთელს **პედრო სოლბერგს**. გერმანიაში სინჯის გამეორებითმა ანალიზმა არ დაადასტურა პირველადი ვერდიქტი.

ექვსი თვის განმავლობაში ბრაზილიური ლაბორატორია გააგრძელებს მუშაობას, მაგრამ იქ აღებული სინჯები სხვა განყოფილებებში გაიგზავნება. აღსანიშნავია, რომ რიოში მდებარე ლაბორატორია ერთადერთია ბრაზილიაში, რომელსაც WADA-ის ლიცენზია გააჩნია. სწორედ იქ იმუშავებენ დოპინგ-ოფიცრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისა და 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის დროს.

**კრივი**

## მენიმ და ფლოიდმა ტელეფონით ისაუბრეს

ფილიპინების ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **მენი პაკიაომ** განაცხადა, რომ პირადად ესაუბრა ტელეფონით ამავე წონაში WBC-ის ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს**.

მეივეზერმა პაკიაოს მრჩეველს **მაიკლ კონცს** დაურეკა, რომელმაც ყურმილი მენის მიაწოდა. მეივეზერმა და პაკიაომ დაახლოებით ორი წუთი ილაპარაკეს.

*„დიალოგმა კარგად ჩაიარა, - ამბობს პაკიაო. - ჩვენ ვისაუბრეთ მოლაპარაკებების პროცესის გაგრძელებაზე. ვუთხარი მას, რომ მაწყობს ჰონორარის თანაბრად გაყოფა. ყველაფერი მის ხელშია“.*

ფრისტაილი

## ფავორიტი გარდაიცვალა



ცნობილი კანადელი ფრისტაილისტი **სარა ბურკი** 10 იანვარს, იუტაში ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმების შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ერთ-ერთი ილეთის შესრულებისას ბურკი დაეცა და ყინულზე თავი დაარტყა. დაცემისას დაზიანდა ხერხემლის არტერიები, რამაც ტვინში სისხლის ჩაქცევა გამოიწვია. შემდეგ დღეს სპორტსმენს ოპერაცია გაუკეთეს და ის დღემდე კომაში იყო. ხუთშაბათს სარა ბურკი გარდაიცვალა. სპორტსმენის სურვილისამებრ, მის ორგანოებს სამედიცინო მიზნებისთვის გამოიყენებენ.

29 წლის კანადელი წარმატებით გამოდიოდა ფრისტალის დისციპლინა - ჰალფ-პაიპში, რომელიც სოჭის 2014 წლის ზამთრის თამაშებისთვის შეიტანეს ოლიმპიურ პროგრამაში. სწორედ ბურკი ითვლებოდა ამ დისციპლინაში პირველი ოლიმპიური ოქროს მოგების პრეტენდენტად, მაგრამ სარამ თავის პირველ ოლიმპიადამდე ვერ მიაღწია.

რალი




## ლოები უპირატესობას ზრდის

მონტე კარლოში გაგრძელდა კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი. მონაწილეებს ამჯერად ექვსი სპეცმონაკვეთი უნდა გაევლოთ, საერთო დისტანციის სიგრძე 130 კილომეტრს შეადგენდა.

პირველი დღის ლიდერი **სებასტიან ლოები** ამჯერადაც ყველაზე სწრაფი იყო - მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა მოიგო ექვსიდან ხუთი სპეცმონაკვეთი და ერთადერთ წაგებულ საშუალედო ფინიშზე ესპანელ **დანი სორდოს** 2 მეათედი წამით ჩამორჩა. დანარჩენ შემთხვევებში სორდო და **პეტერ სოლბერგი** საშუალოდ 5-6 წამს აგებდნენ მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონთან.

საბოლოოდ, ორი დღის შემდეგ სებასტიან ლოები წუთსა და 37 წამს უგებს უახლოეს მდევარს, „მინითი“ მოასპარეზე დანი სორდოს. ესპანელთან ახლოს არის სოლბერგი.

პირველ დღეს მონაკოს რალიდან **იარი-მატი ლატვალას** გამოთიშვის შემდეგ, მეორე დღეს კიდევ ერთი ავარია ვიხილეთ - ამჯერად მანქანა ვერ დაიმორჩილა შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა **სებასტიან ოჟიემ**. ის კლდეს დაეჯახა და ფრანგისთვის მონაკოს რალი ნაადრევად დასრულდა.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

კვირის ბოლოს



ბრძოლა წესების გარეშე

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი